

აქაქონეზჩივი უფლებები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, № 10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №10

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, № 10

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ცილისწამება

კერძო პირის ცილისწამება 4

საჯარო პირის ცილისწამება 12; 29; 39

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა 62

2. ცილისწამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გავრცელებული ცნობების უარყოფა 89

მორალური ზიანის ანაზღაურება 140; 158

3. ცილისწამების შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 183

1. ცილისნამება

პერკო პირის ცილისნამება

განჩინება

საქართველოს სახელით

№ას-981-2020

21 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ჩ-ა (შემდეგში: მოსარჩელე, კომპანიის დირექტორი აპელანტი ან კასატორი) დაკავებულია პოლიგრაფიული ბიზნესით. მოსარჩელე და ზ. ქ-ა (შემდეგში: მოპასუხე) არიან შპს „ი. ქ-ის“ (შემდეგში: კომპანია) დამფუძნებლები და დირექტორები. პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობა კონფლიქტურია.

2. გაზეთ „ქ-ში“ 2018 წლის 6 თებერვალს და 2018 წლის 13 თებერვალს დაიბეჭდა სტატია, რომელშიც მოპასუხე საუბრობს პარტნიორთან მიმდინარე დავის დეტალებზე. მოპასუხე პარტნიორთან არსებული გართულებული საქმიანი ურთიერთობის აღწერისას მოსარჩელეს იხსენიებს შემდეგ კონტექსტში: „... მამამისისთვის უხეში ფორმით არ მითქვამს, რომ შენი შვილი ვირთხაა, მაგრამ ძალიან კორექტული ფორმით მივანიშნე ამის შესახებ...“. „... თაღლითი გ. ჩ-ას მამა, მ. ჩ-ა, აღნიშნული მანქანით გადაადგილდება-მეთქი...“.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის 2018 წლის 16 თებერვლის დადგენილებით №0010703905, მოპასუხე ცნობილია დაზარალებულად.

3.1. დოკუმენტის მიხედვით, საქმეზე დადგენილი გამოძიებით დადგენილია, რომ 2014-2015 წლებში, კომპანიის დირექტორმა, ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, გამოიყენა მისი უფლებამოსილება ბოროტად, თავისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რაც გამოიხატა მასში, რომ საზოგადოების მეორე პარტნიორის – 50% წილის მფლობელ მოპასუხის

მიერ დამფუძნებლის შენატანის სახით მასზე გადაცემულ თანხებს (ჯამში 291 825 აშშ დოლარი და 6 369 ლარი) კომპანიის საბანკო ანგარიშსა და შესაბამის დოკუმენტაციაში ასახავდა როგორც მის მიერ განხორციელებულ შენატანს. მოგვიანებით, კერძოდ, კი 2016 წლის 14 აპრილს, მოსარჩელემ შესაბამისი სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და კომპანიასთან მოითხოვა ზ. ქ-ას მიერ გადაცემული და საბანკო ანგარიშზე შეტანილი ზემოაღნიშნული თანხის უკან დაბრუნება, რითაც მნიშვნელოვნად დაირღვა საზოგადოების მეორე პარტნიორისა და თანხის რეალური შემტანის – მოპასუხის კანონიერი ინტერესი.

4. სარჩელის მოთხოვნა

4.1. კომპანიის დირექტორმა სარჩელი აღძრა, მოითხოვა მოპასუხისთვის 2018 წლის 6 თებერვალს და 2018 წლის 13 თებერვალს გაზეთ „ქ-ში“ მოსარჩელის მისამართით გამოქვეყნებული არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელი, სახელის გამტეხი, პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადების უარყოფის დავალება და ცილისწამებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, კერძოდ: „თაღლითი გ. ჩ-ას მამა, მ. ჩ-ა, აღნიშნული მანქანით გადაადგილდებოდა-მეთქი“; „მამამისისთვის უხეში ფორმით არ მითქვამს, რომ შენი შვილი ვირთხაა, მაგრამ ძალიან კორექტული ფორმით მივა-ნიშნე ამის შესახებ“.

4.2. ამასთანავე, მოსარჩელემ, მოპასუხისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 1 ლარის დაკისრება მოითხოვა.

5. მოპასუხის შესაგებელი

5.1. მოპასუხემ, წარდგენილი შესაგებლით, აგრეთვე, სასამართლოს სხდომაზე სარჩელი არ ცნო და უსაფუძვლობის მოტივით, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

6.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

8.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

8.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პაცივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობს.

8.4. სასამართლოს შეფასების საგანი იყო, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვისა თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვებოდა.

8.5. განსახილველ შემთხვევაში, უდავო იყო, რომ 2018 წლის 6 თებერვალს და 2018 წლის 13 თებერვალს გაზეთ „ქ-ში“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც მოპასუხე საუბრობს პარტნიორთან მიმდინარე დავის დეტალებზე. პარტნიორთან არსებული გართულებული საქმიანი ურთიერთობის აღწერისას მოსარჩელეს მოიხსენიებს შემდეგ კონტექსტში: „მამამისისთვის უხეში ფორმით არ მითქვამს, რომ შენი შვილი ვირთხაა, მაგრამ ძალიან კორექტული ფორმით მივანიშნე ამის შესახებ...“. „... თაღლითი გ. ჩ-ას მამა, მ. ჩ-ა, აღნიშნული მანქანით გადაადგილდება-მეთქი...“.

8.6. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ განცხადებებში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავდა კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახული იყო მხოლოდ მოპასუხის აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. შესაბამისად, გამოთქმის კონტექსტის შეფასების, შინაარსისა და ნამდვილი აზრის გათვალისწინებით, მოპასუხის გამონათქვამი აზრის გამოთქმად უნდა ჩაითვალოს, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად.

8.7. სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის სუბიექტური შეფასების გამომხატველი სადავო გამონათქვამები, შეურაცხყოფელი, მტკივნეული, უარყოფითი ემოციისა და გარკვეული დისკომფორტის შემქმნელი იყო მოსარჩელისათ-

ვის, დასახელებული მოტივაციით, ცილისწამების გამო, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ შესაძლებლობას გამორიცხავდა.

9. აპელანტის საკასაციო საჩივარი

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9.2. კასატორის განმარტებით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით სადავო გამონათქვამები არასწორად ჩაითვალა აზრის გამოთქმად და არა ფაქტად, რომელიც სპეციალური კანონის მიხედვით მოპასუხის პასუხისმგებლობის საფუძველი იყო.

9.3. კასატორის განმარტებით, სპეციალური კანონით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთი წარმატებით იკისრა, ვინაიდან, ნათელი იყო, რომ განცხადება გაავრცელა მოპასუხემ, სადავო გამონათქვამები არასწორ ინფორმაციას შეიცავდა, ხოლო, ეს გამონათქვამები ზიანს აყენებდა კასატორის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. ამასთან, ზიანი სახეზე იყო როგორც მატერიალური, ასევე მორალური სახით.

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო 2021 წლის 5 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დასაშვებადაა ცნობილი

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა და/ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

12. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

13. მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა. საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლითა და სპეციალური კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება.

14. ზემოაღნიშნული სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხის გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას, რაც სსკ-ის 18.2. მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია, უნდა გაირკვეს მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლი-

რება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ № ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.). გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია ნინამდებარე განჩინების 1-3 (3.1; იხ. სადავო გამონათქვამი) პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომლის სამართლებრივი შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება წარმოადგენს ფაქტს და არა მოსაზრებას, კონკრეტულ პირზე და საკითხზე მითითებით, რაც დადასტურდა კიდევ აღნიშნულთან დაკავშირებით წარდგენილი მტკიცებულებით. (იხ. სუსგ. №ას-790-739-2017, 17.01.2018).

15. სპეციალური კანონი, ამ ნორმატიული აქტის მიზნებისათვის, შემდეგნაირად განმარტავს ტერმინებს: „აზრი — შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვაა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“ (პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო ცილისწამება — არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა“ (დასახელებული კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა.

16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. „შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებული იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე“ (იხ. სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 08.08.1986). იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. „სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან, სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძველით გამყარების გარეშე შეიძლება ზედმეტი იყოს“ (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“, 2002წ., ასევე, სუსგ №ას-1052-1007-2014, 30.09.2015 წ.)

17. პრეცედენტული სამართლის თანახმად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს განცხადებები ფაქტებთან დაკავშირებით და შეფასებითი მსჯელობა („ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივლისი, § 46, სერია A, №10 და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, (№1), 1991 წლის 23 მაისი, § 63, სერია A, №204). ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს, ხოლო, შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცების შესახებ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლებას, რაც წარმოადგენს მე-10 მუხლით დაცული უფლების ძირითად ნაწილს (იხ. „დე ჰაესი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ“, 1997 წლის 24 თებერვალი —, §42, ანგარიშები 1997-I).

18. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ გამოთქმული სადავო გამონათქვამი — „... მამამისისთვის უხეში ფორმით არ მითქვამს, რომ შენი შვილი ვირთხაა, მაგრამ ძალიან კორექტული ფორმით მივანიშნე ამის შესახებ...“. თალლითი გ. ჩ-ას მამა, მ. ჩ-ა, აღნიშნული მანქანით გადაადგილდება-მეთქი...“ არ შეიძლება შეფასდეს როგორც ფაქტი, არამედ, მხარეთა შორის არსებული და-

ძაბული ურთიერთობიდან გამომდინარე წარმოადგენს მოპასუხის სუბიექტურ მოსაზრებას, შეფასებით მსჯელობას.

19. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ უდავო გარემოებაზე, რომ მოსარჩელე წარმოადგენს კერძო პირს (სპეციალური კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა უნდა ექცეოდეს კანონის მე-13 მუხლის ფარგლებში „პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა“. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შინაარსის სწორად განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კანონში გადმოცემული „ცილისწამების“ ცნების დეფინიცია (იხ. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი: ცილისწამება — არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება), „აზრისა“ და „ფაქტის“ გამიჯვნის თაობაზე. საკასაციო სასამართლო ასკენის, რომ დადასტურებულად მიჩნეული მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებები ერთობლიობაში არ წარმოადგენს კანონის მე-13 მუხლით დაცული სფეროში ჩარევას, რომელიც არ სცდება გამოხატვის თავისუფლებას, არ ლახავს პირის ევროკონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ რეპუტაციის უფლებას, არ არღვევს მოსარჩელის დაცულ უფლებას და არ ახდენდა გავლენას მის პატივსა და ღირსებაზე, რაც დიფამაციური სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველია.

20. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. გ. ჩ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 10 მარტის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო პირის ცილისწამება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-706-2020

21 აპრილი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ცნობებთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადანაცვლებების შესახებ, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2007 წლის ნოემბერში ე. გ-ი (შემდგომში „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი.

2. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 7 ნოემბრის №621 ბრძანებულებით ქ. თბილისში არსებული უკიდურესად გამწვავებული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და არეულობის თავიდან აცილების მიზნით, აგრეთვე მართლწესრიგის აღსადგენად საჭირო ღონისძიებათა ეფექტური განხორციელების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის 2007 წლის 7 ნოემბრის №868 ბრძანებით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანების საფუძველზე სპეციალური დავალების შესასრულებლად მივლინებული სწრაფი რეაგირების რაზმის 128 და საავიაციო რაზმის 22 მოსამსახურე, აგრეთვე რაზმის დისლოკაციის ადგილზე მყოფი 23 მოსამსახურე (სულ 173) აყვანილ იქნა კვების კმაცოფაზე 7 ნოემბრის ვახშმიდან. სასაზღვრო პოლიციის სხვადასხვა ქვედანაყოფებიდან მოვლინებული შემადგენლობა აყვანილი იქნა კვების კმაცოფაზე 7 ნოემბრის ვახშმიდან. სასაზღვრო პოლიციის

სხვადასხვა ქვედანაყოფიდან მოვლინებული შემადგენლობა აყვანილ იქნა კვების კმაყოფაზე 7 ნოემბრის ვახშმიდან.

4. შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის, ბ. ბ-ძის 2007 წლის 14 ნოემბრის №554 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობების მაღალ, პროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები, ასევე, მათზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისათვის ერთი თვის ხელფასის (თანამდებობრივი და წოდებრივი სარგო, დანამატი, ტრანსფერი) ოდენობით დაჯილდოვდნენ აგრეთვე დანართი 1-8-ით განსაზღვრული მოსამსახურეები. ამავე ბრძანებით, ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს, სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს. ბრძანების დანართები დანამატის მიმღებ მოსამსახურეთა მითითებით, ხელმოწერილია ე. გ-ის, როგორც სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორის მიერ.

5. სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2007 წლის 16 ნოემბრის №561 ბრძანებით ცვლილება შევიდა №554 ბრძანებაში და ბრძანების სათაური, შესავალი ნაწილი და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვები „ფულადი პრემია“ შეიცვალა სიტყვებით „სპეციალური დანამატით“, ხოლო დანართის 1-8 სათაურში სიტყვები „მოსამსახურეების დაჯილდოების სია“ შეიცვალა სიტყვებით „მოსამსახურეების სია, ვისაც უნესდებათ 2007 წლის ნოემბრის თვის სპეციალური დანამატი“.

6. ვადაზე ადრე სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ი. მ-ის 2007 წლის 21 ნოემბრის №90253/შ ბრძანებით შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს სასაზღვრო პოლიციის უფროს ლეიტენანტ ე. ს. ასულ გ-ს მიენიჭა ვადაზე ადრე საშუალო სპეციალური წოდება „სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი“.

7. ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნდა (გავრცელდა) შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის, ბ. ბ-ძის 2007 წლის 14 ნოემბრის №554 ბრძანება თანამშრომელთა პრემიით დაჯილდოვების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ი. მ-ის 2007 წლის 21 ნოემბრის №90253/შ ბრძანება შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პო-

ლიციის უფროსის მოადგილე-სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის, სასაზღვრო პოლიტიკის უფროს ლეიტენანტ ე. გ-ისათვის ვადაზე ადრე საშუალო სპეციალური წოდების „სასაზღვრო პოლიტიკის კაპიტანის“ მინიჭების თაობაზე.

8. 2014 წლის 30 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც გადაიცა სატელევიზიო არხის, „იმედის“ საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკასა“ და პირველი არხის საინფორმაციო გამოშვება „მომხმეში“, ასევე გამოქვეყნდა ელექტრონული მედიის საშუალებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოპასუხის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, გ. ა-მა (შემდგომში „მოპასუხე“ ან „პირველი მოპასუხე“) გააჟღერა შემდეგი განცხადებები (სარჩელით სადავო წინადადებები):

1) „დოკუმენტებით 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაში გ-ის თანამონაწილეობა დასტურდება“;

2) „ვინც 7 ნოემბრის აქციის მონაწილეები დაარბია, მათ ე. გ-მა ხელფასები და პრემიები გაუორმაგა“;

3) „ამის საფუძველზე კი, 2007 წლის 24 ნოემბერს ვ. მ-მა „კარგი საქმის შესრულებისათვის“ დროზე ადრე დაანინაურა“.

9. 2015 წლის 3 თებერვალს გ. ხ-ვამ (შემდგომში „მოპასუხე“ ან „მეორე მოპასუხე“) პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააჟღერა შემდეგი განცხადებები (სარჩელით სადავო წინადადებები):

1) „გ-ი კი არ ფიგურირებს, გ-ს ევალება [...] ამ სამმართველოს მოსამსახურეების დაჯილდოებაზე კონტროლი და ამ ფულის განაწილება. ეს არის სპეცრაზმი, რომელმაც დაგვლენა ჩვენ 7 ნოემბერს“ (საუბრის დრო 18:04-18:40);

2) „[...] პირდაპირ კავშირშია იმ დანაშაულთან, რომელიც მ-მა ჩაიდინა და ამის გამო დაანინაურეს და ფულადი სახსრებითაც დააჯილდოვეს“ (საუბრის დრო 18:46-18:58);

3) „ეს სულ არ ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც ესეთს საქართველოში და მეც ვარ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთერთი და დიდი ხანია ვმუშაობ ამ სფეროში, მაგრამ მილიონობით გრანტებს არ ვიღებდი და პირდაპირ სპეცრაზმიდან არ გადავმხტარვარ მე იმაში, რა ქვია არასამთავრობო ორგანიზაციაში“ (საუბრის დრო 19:12-19:31).

10. 2010 წლის 21 დეკემბრიდან მოსარჩელე არის ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი.

11. სასარჩელო მოთხოვნა:

11.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე-

ბის მიმართ და მოითხოვა მასთან დაკავშირებით მოპასუხეების მიერ გავრცელებული მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების (წინამდებარე განჩინების მე-8-მე-9 პუნქტებში ასახული განცხადებების) უარყოფა და დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, ასევე მორალური ზიანის სახით თითოეული მოპასუხისთვის 30 თეთრის დაკისრება.

12. მოპასუხეების შესაგებელი:

12.1. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მათი გამონათქვამები არ წარმოადგენს ცილისწამებას. მოსარჩელემ გამონათქვამების ცალკეული ნაწილების იზოლირებით ციტირება მოახდინა ისე, რომ დაიკარგა გამონათქვამების შინაარსი, აზრი. აღნიშნულით კი იგი ცდილობს გამონათქვამების ნამდვილი შინაარსისა და აზრის გაყალბებას, რათა შექმნას პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ხელყოფის იმიტაცია. მოსარჩელე ვერ ამტკიცებს, რომ მის შესახებ გავრცელებული ფაქტები მცდარია და არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, განცხადებების ნაწილი წარმოადგენს მოპასუხეთა შეფასებით მსჯელობას, აზრს, ხოლო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში „სპეციალური კანონი“), აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც გამოირიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

13.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

14. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნები:

14.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

15. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

15.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ პატივისა და ღირსების შემლახავი ცნო-

ბების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

15.3. სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სასამართლოს შესაფასებელია, მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა სსკ-ის მე-18 მუხლითა და „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვება. ამასთან, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის (პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა) ასამოქმედებლად, აუცილებელია დადგინდეს, რომ მოპასუხეთა განცხადებები უშუალოდ მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. ამავე დროს, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხეთა გამონათქვამი შეიცავს, თუ არა ცილისწამებულ განცხადებას, უნდა გაირკვეს მოპასუხეთა მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. მათ შორის განსხვავების დადგენის აუცილებლობა კი განპირობებულია იმით, რომ „აზრის თავისუფლება“ მიჩნეულია კერძო საკითხად, რომელიც გონების სფეროს მიეკუთვნება და ამდენად, იგი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის. აზრის საწინააღმდეგოდ კი, „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილი, რეალური ან არსებული გარემოებები და საგნები, რომლებიც ექვემდებარება მტკიცებულებებით დადასტურებას და იგი მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა კატეგორიას.

15.4. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა განცხადებები გააკეთეს მოსარჩელესთან დაკავშირებით მიმდინარე საჯარო განხილვის ფარგლებში, რასაც გზა გაუხსნა მედიაში გავრცელებულმა ინფორმაციამ, მოსარჩელის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის შესახებ. სასამართლოს მოსაზრებით, გამოთქმის კონტექსტის შეფასების, შინაარსისა და ნამ-

დვილი აზრის გათვალისწინებით, მოპასუხეთა გამონათქვამი წარმოადგენს აზრს, შეფასებით მსჯელობას, დამყარებულს საკმარის ფაქტობრივ საფუძველზე, გამოთქმულს მოსარჩელის, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი) – ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის მიმართ, რომლისკენაც, მის მიერ დაკავებული თანამდებობისა და შესაძლო კანონდარღვევის ჩადენის შესახებ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შედეგად, მიმართული იყო საზოგადოების ნამდვილი და ლეგიტიმური ინტერესი. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო განცხადებების გაკეთებამდე ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნდა (გავრცელდა) და შემდგომ მოცემულ საქმეშიც იქნა წარდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის, ბ. ბ-ის 2007 წლის 14 ნოემბრის №554 ბრძანება მოსამსახურეებისათვის 2007 წლის ნოემბრის თვის სპეციალური დანაშაულის გაცემის თაობაზე, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვალეობის შემსრულებლის, ი. მ-ის 2007 წლის 21 ნოემბრის №90253/შ ბრძანება შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე-სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის, სასაზღვრო პოლიციის უფროს ლეიტენანტ ე. გ-ისათვის ვადაზე ადრე საშუალო სპეციალური წოდების „სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი“-ს მინიჭების თაობაზე. არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით კი, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნიდა საკმარის საფუძველს სარჩელის დაკმაყოფილებისთვის, მით უფრო მაშინ, როდესაც აპელანტს (მოსარჩელე) საწინააღმდეგოდ რაიმე გამომრიცხავი მტკიცებულება არ წარუდგენია.

15.5. სასამართლომ მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლზე, რომელიც მტკიცების ტვირთის გადანაწილების სპეციალურ წესს განმტკიცებს და რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყე-

ნებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.

15.6. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მასზე კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ მოახდინა. შესაბამისად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის გამოსაყენებლად საჭირო ერთ-ერთი წინაპირობა – არსებითად მცდარი ფაქტის მოპასუხეთა მიერ გავრცელება, რომელიც ცილისწამებას გაუთანაბრდებოდა, არ დასტურდება, რაც მოთხოვნის დაკმაყოფილებას საფუძველშივე გამორიცხავს. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში ასახული მსჯელობა არ ქმნიდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

16. კასატორის მოთხოვნა და საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

16.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

16.1.1. სააპელაციო სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია და ყურადღების მიღმა დატოვა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ საქმეში არ მოიპოვება არცერთი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მოპასუხეთა პოზიციას სადავო განცხადებების გაკეთებამდე შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსისა და შსს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებების ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომობის შესახებ. სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში ასახა და საქმეს დაურთო დოკუმენტი, რომელსაც არ აქვს სათანადო იურიდიული ძალა – მას არ ახლავს ბრძანების გამოცემაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა (რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე-52¹-ე მუხლების გათვალისწინებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მნიშვნელოვანი რეკვიზიტია). ესაა შს სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის 2007 წლის 7 ნოემბრის №868 ბრძანება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანების საფუძველზე სპეციალური დავალების შესასრულებლად მივლინებული სწრაფი რეაგირების რაზმის 128 და საავიაციო რაზმის 22 მოსამსახურე, აგრეთვე რაზმის დისლოკაციის ადგილზე მყოფი 23 მოსამსახურე (სულ 173) აყვანილ იქნა კვების კმაყოფაზე 7 ნოემბრის ვახშიმიდან. სასაზღვრო პოლიციის სხვადასხვა ქვედანაყოფებიდან მოვლინებული შემადგენლობა აყვანილი იქნა კვების კმაყოფაზე 7 ნოემ-

ბრის ვახშმიდან.

16.1.2. სასამართლომ არასწორად შეაფასა სადავო განცხადებები მოპასუხეთა მიერ გამოთქმულ აზრად და არ გაითვალისწინა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვით, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახის ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის განცხადება – „დოკუმენტებით 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაში ე. გ-ის თანამონაწილეობა დასტურდება“ – მხოლოდ და მხოლოდ აზრის გამოხატვა რომ იყოს (რომელიც ასახავს პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას), არ უნდა შეიცავდეს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტებს. აღნიშნული განცხადებისთვის კი ფაქტი შეიძლება იყოს მოსარჩელის 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევაში მონაწილეობა და აღნიშნულის დოკუმენტებით დადასტურებადობა, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. ე. გ-ის აქციის დარბევაში მონაწილეობა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდება სადავო განცხადებებში გაჟღერებული სხვა ფაქტებიც – „ვინც 7 ნოემბრის აქციის მონაწილეები დაარბია, მათ ე. გ-მა ხელფასები და პრემიები გაუორმაგა“; „ამის საფუძველზე კი 2007 წლის 24 ნოემბერს ე. მ-მა „კარგი საქმის შესრულებისთვის“ დროზე ადრე დაანინაურა“. პირიქით, მოპასუხეთა განცხადებების უსწორობა დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეზე წარდგენილი მტკიცებულებებით.

16.1.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკას. საქმეზე №ას-790-739-2017 საკასაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის მიერ გავრცელებულ განცხადებაში მითითებულია ისეთი მოქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულს წარმოადგენს. ამდენად, ასეთი სახის ინფორმაციის გავრცელებით, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის გარეშე, უდავოდ ილახება პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რამდენადაც საზოგადოებაში ასეთი პირი შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც დამნაშავე, რაც მისი საზოგადოებრივი სტატუსის დისკრედიტაციას გამოიწვევს“. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მოპასუხეთა განცხადებაში კონკრეტული დანაშაულის შესახებ მითითება, ხოლო განცხადებაში მითითებული გარემოებები სხვადასხვა სა-

ხის მტკიცებულებების შესაბამისად, არ დადასტურდა, სასამართლოს მსჯელობა მოცემულის აზრის კატეგორიად მიჩნევის შესახებ დაუსაბუთებელია და ეწინააღმდეგება როგორც „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე საერთო სასამართლოებისა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

17.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 ივლისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

17.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

18. წინამდებარე დავაში, როგორც კასატორი მიუთითებს, მოპასუხეების განცხადებები შედგება არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და მისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი რეპუტაციის შემლახველი გამონათქვამებისაგან. შესაბამისად, იგი წარმოადგენს ცილისწამებას.

19. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის შეფასების მიზნით, პირველ რიგში, მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სარჩელით შედავებული პირველი მოპასუხის მიერ 2014 წლის 30 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული შემდეგი განცხადებები (განცხადებებიდან ამონარიდები):

1) „დოკუმენტებით 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაში გ-ის თანამონაწილეობა დასტურდება“;

2) „ვინც 7 ნოემბრის აქციის მონაწილეები დაარბია, მათ ე. გ-მა ხელფასები და პრემიები გაუორმაგა“;

3) „ამის საფუძველზე კი, 2007 წლის 24 ნოემბერს ვ. მ-მა „კარგი საქმის შესრულებისათვის“ დროზე ადრე დააწინაურა“.

ასევე, მეორე მოპასუხის მიერ 2015 წლის 3 თებერვალს პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გაუ-

ღერებული შემდეგი განცხადებები:

1) „გ-ი კი არ ფიგურირებს, გ-ს ევალება [...] ამ სამმართველოს მოსამსახურეების დაჯილდოებაზე კონტროლი და ამ ფულის განაწილება. ეს არის სპეცრაზმი, რომელმაც დაგვლენა ჩვენ 7 ნოემბერს“ (საუბრის დრო 18:04-18:40);

2) „[...] პირდაპირ კავშირშია იმ დანაშაულთან, რომელიც მ-მა ჩაიდინა და ამის გამო დაანინაურეს და ფულადი სახსრებითაც დააჯილდოვეს“ (საუბრის დრო 18:46-18:58);

3) „ეს სულ არ ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც ესეთს საქართველოში და მეც ვარ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ერთერთი და დიდი ხანია ვმუშაობ ამ სფეროში, მაგრამ მილიონობით გრანტებს არ ვიღებდი და პირდაპირ სპეცრაზმიდან არ გადავმხტარვარ მე იმაში, რა ქვია არასამთავრობო ორგანიზაციაში“ (საუბრის დრო 19:12-19:31).

20. ზემოაღნიშნული განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სწორად შეფასდეს, არის თუ არა ეს განცხადებები ცილისწამება და, დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეილახა თუ არა მოსარჩელის კანონით დაცული უფლებები.

21. განცხადებების შინაარსის შეფასებამდე, საკასაციო სასამართლო უპასუხებს კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლობმა მტკიცებულებად არასწორად მიიჩნიეს მოპასუხეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო ინფორმაცია 2007 წლის 7 ნოემბრის აქციაზე სპეციალური დავალების შესასრულებლად სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა მივლინების შესახებ. საკასაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ვინაიდან აღნიშნულ დოკუმენტს არ ახლავს ბრძანების გამოცემაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, მას არ აქვს სათანადო იურიდიული ძალა. აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლო მიუთითებს სადავო ბრძანების (შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის 2007 წლის 7 ნოემბრის №868 ბრძანების) მეორე გვერდზე, სადაც განთავსებულია დოკუმენტზე ხელმოწერი პირის, სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის ხელმოწერა დაშტრიხული სახით. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში დაშტრიხულია ასევე რაზმის მეთაურის მოადგილისა და სხვა მოსამსახურეთა სახელები და გვარებიც. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ მითითებული ბრძანება დანართით მოპასუხეების მიერ მოპოვებულია ოფიციალური წერილის საფუძველზე შს სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურიდან და ინფორმაციის გაცემმა ორგანომ სწორედ ამ სახით (დაშტრიხული) გახადა შესაძლებელი მისი ადრესატისთვის (მოპასუხეები) გადაცემა. მოსარჩე-

ლეს კი, სსსკ 102-ე მუხლის შესაბამისად, არცერთი ინსტანციის სასამართლოსთვის არ წარუდგენია აღნიშნულ ბრძანებაში მითითებული ფაქტების (გარემოებების) გამაბათილებელი რაიმე მტკიცებულება, რაც საფუძველს აცლის მის მტკიცებას მხოლოდ ზემოაღნიშნული მოტივით დოკუმენტის არარელევანტურ მტკიცებულებად მიჩნევის შესახებ.

22. რაც შეეხება თავად სადავო განცხადებებს, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოპასუხეთა მიერ გაკეთებული განცხადებების მართებულობა (სისწორე), რის გამოც არ შეიძლება აღნიშნული განცხადებები შეფასდეს აზრის გამოხატვად.

23. გამომდინარე იქიდან, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის უარყოფა, საკასაციო სასამართლოს შესაფასებელია, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლითა და სპეციალური კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება.

24. ზემოაღნიშნული სპეციალური სამართლებრივი მონესრიგების გათვალისწინებით, განსახილველ დავაში, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხეთა გამონათქვამი შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას (რაც სსკ-ის 18.2. მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია) უნდა გაირკვეს მოპასუხეთა მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“. საკასაციო პალატის არაერთ განჩინებასა თუ გადაწყვეტილებაში, დიფამაციის სარჩელების განხილვისას, წამოჭრილია აზრისა და ფაქტის მცნების გამიჯვნის პრობლემა. შედეგად, სასამართლო პრაქტიკაში განისაზღვრა მათი გამიჯვნის სტანდარტი.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში,

აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამოიყენება რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამოიყენება საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტები-საგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ საქმე №ას-569-540-2014, 11.03.2016; საქმე №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.).

26. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ საქმე №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული არაერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება, სადაც მომხილულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

28. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (Brasillier v. France, no. 71343/01, 11 April 2006, § 37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე

(სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (*Paturel v. France*, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

29. ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცების მოთხოვნა წარმოადგენს იერიშის მიტანას აზრის თავისუფლებაზე („ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“).

30. სხვა საქმეზე ადამიანის უფლებათა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს, როდესაც შესაძლებელია ფაქტების არსებობის დემონსტრირება, სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია. სუბიექტური შეფასების ჭეშმარიტების დამტკიცების მოთხოვნა შეუსრულებელია და ეს მოთხოვნა არღვევს თვით აზრის თავისუფლებას. როდესაც გამონათქვამი სუბიექტურ შეფასებას უთანაბრდება, შეზღუდვის პროპორციულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი განსახილველი გამონათქვამისათვის, ვინაიდან სუბიექტური შეფასებაც კი, ყოველგვარი ფაქტობრივი საფუძვლით გამყარების გარეშე შეიძლება, ზედმეტი იყოს („დიჩანდი და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ“).

31. მოცემულ შემთხვევაში, განსახილველი საკითხის შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1) 2007 წლის ნოემბერში (მაშინ, როდესაც ჩატარდა 7 ნოემბრის საყოველთაოდ ცნობილი აქცია და რომლის დარბევის შესახებაც საუბრობენ მოპასუხეები თავიანთ განცხადებებში) მოსარჩელე იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

2) 2007 წლის 7 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების რაზმის მეთაურის მიერ გამოცა №868 ბრძანება 7 ნოემბრის აქციაზე სპეციალური დავალების შესასრულებლად სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეთა მივლინების შესახებ;

3) 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის შემდგომ, 2017 წლის 14 ნო-

ემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის, ბ. ბ-ძის №554 ბრძანებით სამსახურებრივი მოვალეობების მაღალ, პროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები, ასევე, მათზე დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისათვის ერთი თვის ხელფასის (თანამდებობრივი და ნოდებრივი სარგო, დანამატი, ტრანსფერი) ოდენობით დაჯილდოვდნენ აგრეთვე დანართი 1-8-ით განსაზღვრული მოსამსახურეები და ამავე ბრძანებით, ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა მოსარჩელეს – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს, სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს;

4) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ი. მ-ის 2007 წლის 21 ნოემბრის №90253/შ ბრძანებით შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს სასაზღვრო პოლიციის უფროს ლეიტენანტ ე. ს. ასულ გ-ს (მოსარჩელეს) მიენიჭა ვადაზე ადრე სამუშაო სპეციალური ნოდება „სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი“.

32. ზემოაღნიშნული უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებისა და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მოპასუხეები სადავო განცხადებების გაკეთებისას ეყრდნობოდნენ სწორედ ამ დოკუმენტებს და მიუთითებდნენ მათზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამები მთლიანობაში უნდა ჩაითვალოს აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და არა ფაქტების შემცველ განცხადებად, რადგან ისინი უმთავრესად გამოხატავს და ეფუძნება საქმეში მტკიცებულების სახით წარდგენილ და საჯარო სივრცეში მოპოვებად მტკიცებულებათა შინაარსის მოპასუხისეულ აღქმას და არა ფაქტების კონსტატაციას (შდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-1152-2020 17 მარტი, 2021 წელი).

33. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თავად განცხადებების კონტენტის და მათში ასახული სიტყვები – „დოკუმენტებით დასტურდება“ მიუთითებს მასზე, რომ განცხადებების ავტორები საკუთარ აზრს ამყარებენ არასადავო და დადასტურებად ფაქტებს. სწორედ ზემოთ მითითებულ მტკიცებულებებზე (2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის დროისთვის მოსარჩელეს ეკავა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილის – სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დე-

პარტამენტის დირექტორის თანამდებობა; აქციაზე სპეციალურ დავალებათა შესასრულებლად მივლინებული იქნენ სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები; აქციის დარბევიდან მალევე, 2007 წლის 14 ნოემბერს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა სამსახურებრივი მოვალეობების მაღალ, პროფესიონალურ დონეზე შესრულებისათვის ფულადი პრემიით დააჯილდოვა სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები და აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალა მოსარჩელეს (როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილეს (სასაზღვრო პოლიტიკის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორს); ამ ბრძანების გამოცემიდან რამდენიმე დღეში კი, 2007 წლის 21 ნოემბრის №90253/მ ბრძანებით მოსარჩელეს მიენიჭა ვადაზე ადრე საშუალო სპეციალური ნოდება „სასაზღვრო პოლიციის კაპიტანი“) დაყრდნობით დაასკვნეს მათ, რომ აქციის დარბევაში მონაწილეობისთვის მოსარჩელემ ხელფასები და პრემიები გაანაწილა პოლიციის თანამშრომლებზე, ხოლო „ამ საქმის კარგად შესრულებისთვის“ შინაგან საქმეთა მინისტრმა იგი დროზე ადრე დააჯილდოვა სპეციალური ნოდების მინიჭებით.

34. სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წინამდებარე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, თუ მოპასუხის მიერ განცხადებაში მითითებულია ისეთი მოქმედება, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულს წარმოადგენს, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, აღნიშნული უდავოდ ლახავს პირის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. კასატორის მოსაზრებით, როდესაც სახეზეა მოპასუხეთა მითითება კონკრეტულ დანაშაულში (7 ნოემბრის აქციის დარბევაში) მოსარჩელის მონაწილეობაზე, ამ სახის განცხადება ვერ მიეკუთვნება აზრის კატეგორიას და მიჩნეულ უნდა იქნეს ცილისწამებად.

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხეთა განცხადებები, რაზეც მოსარჩელე მიუთითებს – „დოკუმენტებით კი 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევებში გ-ის თანამონაწილეობა დასტურდება, ანუ ვინც 7 ნოემბერს აქციის მონაწილეები დაარბია, მათ ე.გ-მა ხელფასები და პრემიები გაუორმაგა“; „გ-ი კი არ ფიგურირებს, გ-ს ევალება ამ სამმართველოს მოსამსახურეების დაჯილდოვებაზე კონტროლი და ამ ფულის განაწილება. ეს არის სპეცრაზმი, რომელმაც დაგვლენა ჩვენს 7 ნოემბერს“; „... პირდაპირ კავშირშია იმ დანაშაულთან, რომელიც მ-მა ჩაიდინა და ამის გამო დაანინაურეს და ფულადი სახსრებითაც დააჯილდოვეს“ – შეიცავს არა მითითე-

ბას აქციის დარბევაში მოსარჩელის უშუალო მონაწილეობის შესახებ, არამედ წარმოადგენს სუბიექტურ შეხედულებას და მიმართულია ზოგადად იმ პირთა მიმართ, ვინც დაარბია 7 ნოემბრის აქცია. აღნიშნული კი გამორიცხავს ზემოაღნიშნული განცხადებების ცილისწამებად შეფასებას. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე – სუბიექტური, და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ საქმე №ას-179-172-2012, 01.10.2014 წ.).

36. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მოპასუხეთა გამონათქვამების ერთობლივ კონტექსტში შეფასების შედეგად აზრობრივ კატეგორიად აღქმასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს საჯარო სივრცეში გავრცელებული და საქმეში დაცული მტკიცებულებებით. შესაბამისად, სახეზეა არა პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადება, არამედ აზრი, რომელიც უკავშირდება საჯარო სივრცეში მოპოვებად მტკიცებულებათა შინაარსის მოპასუხისეულ აღქმას.

37. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

38. მოცემულ შემთხვევაში, სადავო განცხადებები სრულად თავსდება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული „აზრის“ დეფინიციაში, რომელიც დაცულია „აბსოლუტური პრინციპული“ (სპეციალური კანონის 4.1 მუხლი), რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლების საფუძველია (სპეციალური კანონის 1-ლი მუხ-

ლის „ფ“ ქვეპუნქტი).

39. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

40. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორს დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია.

41. ზემოთ მითითებული მსჯელობებისა და განმარტებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ ვინაიდან სადავო განცხადებებით ადგილი არ ჰქონია კასატორის ცილისწამებას, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად არ დააკმაყოფილეს წარდგენილი სარჩელი, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 30 დეკემბრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო პირის ცილისნამება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-237-2022

16 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის
შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. გ-დემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ლ. ტ-ისა და ა(ა)იპ „ეურნალისტები მომავლისათვის – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული თანამშრომლობის ინიციატივის“ მიმართ და მოითხოვა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავ ინფორმაციასთან („ინტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართველი საზოგადოების ნომერ პირველ მტერზე“; „ი. გ-ძეს ბრალი ედებოდა 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტზე ე. შ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ორგანიზებაში, სასამართლომ განაჩენი 1997 წლის აპრილში გამოიტანა, მას 17 წლით პატიმრობა მიესაჯა“) დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ მოპასუხეებისთვის ცნობის გამოქვეყნების დავალება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. „ეურნალისტები მომავლისთვის – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული თანამშრომლობის ინიციატივა“ არის საქართველოში დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია 2009 წლის 19 აგვისტოდან და მის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლ. ტ-ი. ორგანიზაციის მიზნებს წარმოადგენს საინფორმაციო სააგენტოს შექმნა და სააგენტოს მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება-გავრცელება, მედიის საშუალებების (ბეჭდური, ელექტრო-

ნული) დაფუძნება და ფუნქციონირება, საქართველოში ჟურნალისტის პროფესიის განვითარებისთვის ხელშეწყობა, საქართველოში თავისუფალი მედიის განვითარებისთვის ხელშეწყობა;

3.2. საინფორმაციო პორტალი „DEMOCRACY & FREEDOM WATCH“ (www.dfwatch.net) წარმოადგენს ა(ა)იპ „ჟურნალისტები მომავლისთვის – სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპული თანამშრომლობის ინიციატივის“ დაფუძნებულ საინფორმაციო საშუალებას;

3.3. ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ „დემოქრასი ენდ ფრიდომ ვოჩ“ (DEMOCRACY & FREEDOM WATCH) არის დემოკრატიისა და თავისუფლების საკითხებზე მომუშავე, დამოუკიდებელი, ახალი ამბების სააგენტო საქართველოში. მის სტატიებს აქვეყნებს საქართველოში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტები მომავლისთვის“, „ღია საზოგადოებისა“ და „ფრიდ-რის ებერტის ფონდის“ მხარდაჭერით;

3.4. საიტი გაშვებულია 2011 წლიდან. სააგენტოს მთავარი რედაქტორია ლ. ტ-ი;

3.5. 1995 წელს მოსარჩელე ი. გ-ძე იყო საქართველოს უშიშროების მინისტრი;

3.6. 2016 წლის 23 ივლისს საინფორმაციო პორტალის – „DEMOCRACY & FREEDOM WATCH“ მეშვეობით, გამოქვეყნდა სტატია, რომლის ინგლისური ვერსია დასათაურებული იყო შემდეგი ტექსტით: „ინტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართული საზოგადოების ნომერ პირველ მტერზე“; სტატიაში აღნიშნულია, რომ „ი. გ-ძეს ბრალი ედება ბოდა 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტზე, ე. შ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ორგანიზებაში, სასამართლომ განაჩენი 1997 წლის აპრილში გამოიტანა, მას 17 წლით პატიმრობა მიესაჯა“. იგივე სტატია ქართულ ენაზე დასათაურებული იყო შემდეგნაირად: „ი. გ-ძე ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს“;

3.7. „ნასამართლობის შესახებ“ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 დეკემბრის ცნობის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, მოქალაქე ი. პ. ძე გ-ძე არ არის ნასამართლევ; 1995 წლის 20 ოქტომბრიდან იძებნება კრიმინალური პოლიციის მიერ.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის) მე-17, მე-19, 24-ე მუხლებზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფ-

ლებათა საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლზე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ, მე-2, მე-4, მე-6, მე-7, მე-14 მუხლებზე. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო პირს, რომლის საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების დაცვისთვის აუცილებელი იყო შემდეგი წინაპირობების ერთდროულად არსებობა: არსებითად მცდარი ფაქტის (ფაქტების) გავრცელება, გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა, განცხადების გავრცელების შედეგად პირისათვის ზიანის მიყენება.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ წინადადება – „ინტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართველი საზოგადოების ნომერ პირველ მტერზე“ – შეიცავდა ინტერპოლის მიერ ძებნის შეჩერების თაობაზე ფაქტობრივ მოცემულობას, რომლის რეალურობა მხარეთა შორის დავას არ იწვევდა, ხოლო სიტყვები „ნომერ პირველი მტერი“ წარმოადგენდა სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გადმოცემას. შესაბამისად, გამოხატვის ფორმის მიუხედავად, აღნიშნულ წინადადებას არ გააჩნდა ცილისწამების მაკვალიფიცირებული აუცილებელი ელემენტი – არ წარმოადგენდა მოსარჩელის შესახებ მტკიცებითი ფორმით მცდარი ფაქტის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას, რომლის სინამდვილესთან შესაბამისობის ან მცდარობის დადასტურება/უარყოფაც შეუძლებელი იქნებოდა. აზრის გამოხატვა კი, მიუხედავად მისი სუბიექტურობისა, მცდარობისა, საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობისა, დემოკრატიულ საზოგადოებაში დაცული იყო ჩარევისაგან.

6. მეორე სადავო წინადადებასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ის წარმოადგენდა ტერორისტული თავდასხმის ორგანიზების შესახებ ბრალდებისა და მოსარჩელის მიმართ 17 წლით პატიმრობის სახით განაჩენის გამოტანის შესახებ ფაქტების შემცველ ინფორმაციას, მოსარჩელემ კი დაამტკიცა მის მიმართ 17 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით განაჩენის არსებობის ფაქტის მცდარობა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო პირისთვის ზიანის მიმყენებელი ფაქტის შემცველი ინფორმაცია ბრალეულად (განზრახ ან ამკარა ან უხეში გაუფრთხილებლობით) უნდა იყოს გავრცელებული. მოპასუხის ბრალეულობასთან დაკავშირებით კი, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარმოდგენილ ვიდეოჩანაწერზე, რომელშიც საქმის ყოფილი პროკურორი აცხადებს, რომ ი. გ-ძის მიმართ სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. ამასთან, მოპასუხისთვის განაჩენის არსებობისა და სასამართლობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ვერ

იქნებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ მოპასუხის ბრალეულობა ვერ დაადასტურა.

7. გარდა ზემოაღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ დიფამაციური სარჩელის წარდგენის ვადა შეადგენს 100 დღეს იმ მომენტიდან, როდესაც პირი გაეცნო, ან შეეძლო, რომ გასცნობოდა სადავო განცხადებას. სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო განცხადებები გავრცელებულ იქნა 2016 წლის 23 ივლისს, ხოლო სარჩელი წარდგენილ იქნა 155 დღის შემდგომ, 2016 წლის 27 დეკემბერს, კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ ხანდაზმულობის შეწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენდა 2018 წლის ნოემბერს მოპასუხისთვის გავრცელებული ცნობების რეალობასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიმართვა. ასევე, სასამართლოს განმარტებით, კანონით დადგენილი სარჩელის წარდგენის ვადას ვერ შეცვლიდა ვებ-გვერდის საძიებო ველის საშუალებით გავრცელებული სტატიის მოძიების შესაძლებლობის კვლავ არსებობა.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი უსაფუძვლობისა და მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება ი. გ-ძემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

12. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, საჯარო პირის ცილისწამებისათვის პირს მაშინ ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა, განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

13. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინადადება – „ინ-

ტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართველი საზოგადოების ნომერ პირ-ველ მტერზე“ – ერთდროულად შეიცავდა ინტერპოლის მიერ ძებნის შეჩერების თაობაზე რეალურ ფაქტობრივ მოცემულობას და პიროვნების შესახებ სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გადმოცემას, რის გამოც ხსენებული წინადადება ცილის-წამებად არ იქნა განხილული.

14. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მეორე სადავო წინა-დადება წარმოადგენდა ფაქტების შემცველ ინფორმაციას. მართა-ლია, მოსარჩელემ დაამტკიცა მის მიმართ 17 წლით თავისუფლე-ბის აღკვეთის სახით განაჩენის არსებობის ფაქტის მცდარობა, თუმცა ვერ დაამტკიცა, რომ ინფორმაციის გამავრცელებელმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ეს გარემოება (სადავო განცხადების გამოქვეყნებამდე გავრცელდა საქმის ყოფილი პროკურორის გან-ცხადება, რომ ი. გ-ძის მიმართ სასამართლომ განაჩენი გამოიტანა. შესაბამისი უწყებებიდან განაჩენის არსებობისა და სასამართლო-ბის შესახებ ინფორმაცია კი მოპასუხისთვის ხელმისაწვდომი არ იყო).

15. ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები არ არსებობდა. ამასთან, პალატამ დამატებით გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯე-ლობა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

16. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. გ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქ-მება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფი-ლება მოითხოვა.

17. კასატორი აღნიშნავს, რომ ჟურნალისტმა დაარღვია ჟურნა-ლისტთა ეთიკის წესები – სათანადოდ არ გადაამოწმა ინფორმა-ცია, მის მიერ გამოქვეყნებული განცხადებები მცდარი ფაქტების შემცველია და ხელყოფს მოსარჩელის პატივსა და ღირსებას. ამას-თან, საკასაციო საჩივრის მიხედვით, მოთხოვნა წარდგენილ იქნა ხანდაზმულობის ვადის დაცვით. ამდენად, კასატორის მოსაზრე-ბით, არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ყველა წინაპირობა.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2022 წლის 11 მარტის განჩინებით ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2022 წლის 21 ივლისის განჩინებით – საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის თა-ნახმად; მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი განიხი-ლებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

19. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადებების ცილისწამებად მიჩნევისა და, შედეგად, სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების არსებობა.

21. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციაზე, რომლის როგორც სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 24-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები, ისე მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

22. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებასაც მოიცავს. თუმცა, ეს თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

23. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით. კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თა-

ვისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44). სწორედ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. გავრცელებული ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევისა და შედეგად სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სპეციალურ წესს კი არეგულირებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

24. ხსენებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამასთან, იმავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით; ე.ი. ექვემდებარება კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრულ და უპირობო გათავისუფლებას. რაც შეეხება ცილისწამებას, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

25. ამრიგად, ინფორმაციის გავრცელების შედეგად სხვა პირის უფლებების შელახვისთვის პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შეფასებისას, პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს აზრისა და ფაქტების გამიჯვნა. „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობი-

ექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 თებერვლის №ას-1278-1298-2011 გადაწყვეტილება). ამასთანავე, საგულისხმოა, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მარტო ის „ინფორმაცია“ თუ „იდევები“, რომლებიც ხელსაყრელად მიიღება ან მიიჩნევა როგორც არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელო, არამედ აგრეთვე ისეთის მიმართ, რომელიც შეურაცხყოფელია, შოკირებადია და შემაწუხებელი. ასეთია მოთხოვნები პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო აზროვნებისა, რომლის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის №5493/72 გადაწყვეტილება საქმეზე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, §49).

26. განსახილველ შემთხვევაში კი, მოსარჩელე სადავოდ ხდის მის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში გაჟღერებულ ორ წინადადებას, რომელთაგან ერთ-ერთი გადმოცემულია შემდეგი შინაარსით: „ინტერპოლმა შეაჩერა ძებნა ქართველი საზოგადოების ნომერ პირველ მტერზე“. მხარეებს შორის სადავო არ არის ინტერპოლის მიერ ი. გ-ძის მიმართ ძებნის შეჩერების თაობაზე გადმოცემული ინფორმაციის სისწორე, ხოლო მოსარჩელის „საზოგადოების ნომერ პირველ მტრად“ მოხსენიება არ წარმოადგენს ფაქტს – შე-

უძლებელია მისი რეალურობის გადამოწმება. მითითებული ფრაზა გამოხატავს არა კონკრეტული ფაქტობრივი ვითარების ასახვას, არამედ – ჟურნალისტის სუბიექტურ დამოკიდებულებასა და შეფასებას. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სამართლოს დასკვნას, რომ ხსენებული წინადადება, როგორც აზრი, დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და მისი გამოქვეყნებისთვის მოპასუხეთათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდება. დამატებით, საკასაციო პალატა მაინც გაამახვილებს ყურადღებას მასზე, რომ სადავო შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელის პატივისა და ღირსების დაცვისა და მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის უფლებები, რომელთა სადავო წინადადების შინაარსის ფარგლებში შეპირისპირებაც ცხადყოფს, რომ მისი ცილისწამებად მიჩნევა და სარჩელის დაკმაყოფილება გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ ხელყოფას გამოიწვევდა.

27. რაც შეეხება მეორე სადავო განცხადებას, ის ფორმულირებულია შემდეგი სახით: „ი. გ-ძეს ბრალი ედებათ 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტზე, ე. შ-ზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ორგანიზებაში, სასამართლომ განაჩენი 1997 წლის აპრილში გამოიტანა, მას 17 წლით პატიმრობა მიესაჯა.“ მითითებული წინადადება შეიცავს ფაქტების გადმოცემას და, ამრიგად, უნდა შეფასდეს, რამდენად ნარმოადგენს ის ცილისწამებას. ამ მხრივ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ნასამართლობის შესახებ“ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 დეკემბრის ცნობაზე, რომლის თანახმად, მოქალაქე ი.პ.ის ძე გ-ძე არ არის ნასამართლევ; 1995 წლის 20 ოქტომბრიდან იძებნება კრიმინალური პოლიციის მიერ. ამრიგად, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავდა არსებითად მცდარ ფაქტს მის შესახებ.

28. თუმცა, სარჩელის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტისას დამატებით მნიშვნელოვანია, რომ კანონი განსხვავებულად არეგულირებს საჯარო და კერძო პირების მიმართ ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს. კერძოდ, საჯარო პირის ცილისწამებისათვის, კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევ-

რობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.

29. სადავო შემთხვევაში, ვინაიდან მოსარჩელე 1995 წელს იყო საქართველოს უშიშროების მინისტრი და გამოქვეყნებული სტატიაც ამავე პერიოდში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, ის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო პირია. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებისთვის მოპასუხე მხარის ბრალეულობის დადასტურებაცაა საჭირო. დასახელებული საკითხის შეფასებისას კი, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ სადავო სტატიის გამოქვეყნებამდე გავრცელდა საქმის ყოფილი პროკურორის ინტერვიუ, რომელშიც ის მიუთითებს ი. გ-ძის მიმართ განაჩენის გამოტანის თაობაზე. ამასთან, განაჩენის არსებობისა და ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტისთვის, კომპეტენტური ორგანოებიდან ინფორმაციის გამოთხოვის გზით, ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა დასკვნას, რომ მოსარჩელემ მოპასუხის ბრალეულობა ვერ დაამტკიცა, რაც ცილისწამებისთვის მოპასუხებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას გამორიცხავს.

30. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა არსებითად სწორად არის გადწყვეტილი – არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამრიგად, მოცემულ საქმეზე მიღებული, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და დასაბუთებული და მისი გაუქმების საფუძვლები არ არსებობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. გ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-

მოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 8 დეკემბრის განჩინება;
3. ი. გ-ძის მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საჯარო პირის ცილისწამება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელისუფლო

№ას-989-2019

28 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის
შემლახველი ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

ლ. შ-ამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ნ-ძისა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „პირველი მოპასუხე“) და მ. ზ-ვას (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მეორე მოპასუხე“, პირველ მოპასუხესთან ერთად – „მოპასუხეები“ ან „კასატორები“) მიმართ გავრცელებული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით.

2. მოპასუხეთა პოზიცია:

მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების
სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში:**

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 21.12.2018 წლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

პირველ მოპასუხეს დაევალა:

1) ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემა „...-ის“ საშუალებით 28.04.2018

წელს გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა ტელეკომპანია „...ის“ გადაცემა „...-ის“ მეშვეობით, კერძოდ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის შესახებ;

2) საინფორმაციო სააგენტო „ლ-ის“ საშუალებით 18.05.2018 წელს გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა საინფორმაციო სააგენტო „ლ-ის“ მეშვეობით, კერძოდ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის შესახებ;

3) რადიო „ა-ის“ ვებგვერდის საშუალებით 18.05.2018 წელს გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა რადიო „ა-ის“ ვებგვერდის მეშვეობით, კერძოდ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის შესახებ.

მეორე მოპასუხეს დავალა: 1) ტელეკომპანია „...-ის“ გადაცემა „...-ის“ საშუალებით 28.04.2018 წელს და გადაცემა „...-ის“ მეშვეობით 18.05.2018 წელს გამოქვეყნებული ცნობების უარყოფა ტელეკომპანია „...ის“ იმავე საშუალებების მეშვეობით, კერძოდ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის, ასევე, ოკუპანტებთან და სეპარატისტებთან კონტრაბანდასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი კავშირის შესახებ;

2) საინფორმაციო სააგენტო „მ-ის“ საშუალებით 18.05.2018 წელს გამოქვეყნებული ცნობის უარყოფა საინფორმაციო სააგენტო „მ-ის“ მეშვეობით, კერძოდ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის შესახებ.

სხვა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება ეფუძნება შემდეგს:

3.1. მოსარჩელე სადავო პერიოდში იყო ... სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, შესაბამისად, იგი წარმოადგენს საჯარო პირს.

3.2. პირველი მოპასუხე არის ... ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო მეორე მოპასუხე – „...ს“ ... რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, შესაბამისად, ისინი არიან საჯარო პირები.

3.3. 28.04.2018 წელს გადაცემა „...ში“ პირველმა მოპასუხემ ... გუბერნატორი რეგიონში კონტრაბანდული სიგარეტის კონტრაბანდის მფარველად დაასახელა და თქვა: „ეს არის კონკრეტული ჯგუფი შ-ას ხელმძღვანელობით, დ. შ-ას ხელმძღვანელობით, შ-ა მართო არ მოქმედებს, შ-ას ჰყავს ე.წ. კრიშა ამ შემთხვევაში, გუბერნატორ ლ. შ-ას სახით“. იმავე გადაცემაში მეორე მოპასუხე ამტკიცებდა:

ცებს: „მათი (ლ. შ-ა, დ. შ-ა) მთავარი ამოცანა იყო, კონტრაბანდული სქემების აწყობა აფხაზეთიდან და ამ სქემებში ცხადია მონაწილეობდნენ აფხაზი სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები. კონტრაბანდა ციდან არ ვარდება, კონტრაბანდა გადმოაქვთ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან და იქ, რომ გამოიაროს ამ ტვირთმა ამას სჭირდება აქტიური მონაწილეობა იქ არსებული ფაქტობრივი ძალების, ოკუპანტების, რუსი ოკუპანტების და აფხაზი სეპარატისტების კონკრეტული დაჯგუფებების და მათ აქვთ ერთმანეთში მჭიდრო კავშირი, ხდება ამ ბიზნესიდან თანხების გაყოფა და არიან პირდაპირი მენილეები, პარტნიორები ამ საქმიანობაში“.

3.4. 18.05.2018 წელს მეორე მოპასუხემ ტელეკომპანია „...ის“ ეთერში განაცხადა შემდეგი: „ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად უნდა დაკითხონ გუბერნატორი, ცხადია, და თუ გამოძიება იქნება ობიექტური და ისეთი როგორიც უნდა იყოს, ცხადია, მას დააპატიმრებენ. ინტენსიური გამოძიების წარმოების შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში, გუბერნატორი შ-ა უნდა დააპატიმრონ, იმისთვის, რომ ის არის უშუალოდ და თვითონ მფარველი კონტრაბანდის“.

3.5. 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „მ-ი“ აქვეყნებს მოპასუხეების შემდეგი შინაარსის განცხადებებს: „ჩვენმა ბრძოლამ გამოიღო შედეგი და მას შემდეგ, რაც ტოტალური გახდა კონტრაბანდა რეგიონში, ფინანსური პოლიცია იძულებული გახდა, ჩვენი არაერთი განცხადების შემდეგ, ამ საქმესთან დაკავშირებით დაეწყო გამოძიება და მე იმედი მაქვს, რომ ამ გამოძიების ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში, ყველა მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს ამ კონტრაბანდასთან, იქნება დაკითხული და აუცილებლად დაისჯება“ (პირველი მოპასუხის განცხადება); „ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად უნდა დაკითხონ გუბერნატორი, ცხადია, და თუ გამოძიება იქნება ობიექტური და ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ცხადია, მას დააპატიმრებენ. ინტენსიური გამოძიების წარმოების შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში, გუბერნატორი შ-ა უნდა დააპატიმრონ იმისთვის, რომ ის არის უშუალოდ და თვითონ მფარველი კონტრაბანდის“ (მეორე მოპასუხის განცხადება).

3.6. 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „ლ-ის“ მეშვეობით გავრცელდა „...“ ზ-ის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პირველი მოპასუხის განცხადება, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტის ... რეგიონულ სამმართველოში გამოკითხვაზე იმყოფებოდა და მას კითხვები კონტრაბანდის გავრცელებაში გუბერნატორის (მოსარჩელის) მონაწილეობის შესახებ დაუსვეს. კონკრეტულად პირველმა მოპასუხემ განაცხადა: „კითხვები ძირითადად ეხებოდა კონ-

ტრაბანდას და სქემაში გუბერნატორ შ-ას მონაწილეობას. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მასაც დაიბარებენ ამ საკითხთან დაკავშირებით. მე მივანოდე ყველა ის ინფორმაცია, რაც ჩვენ გვექონდა და შესაბამისად, დაველოდებით ამ საქმის მიმდინარეობას. კონტრაბანდა არის ტოტალური. ბაზარში, რომ კონტრაბანდული საქონელი იყიდება, მაღალი თანამდებობის პირების და უშუალოდ გუბერნატორის მფარველობის გარეშე შეუძლებელია. მტკიცებულებების მოძიება კი უკვე ფინანსური პოლიციის ვალდებულებაა. ასეთი სქემა 90-იან წლებშიც მოქმედებდა და მასში მონაწილეობდა შ-ა შ-ასთან ერთად, ობიექტური გამოძიების პირობებში დარწმუნებული ვარ, რომ გუბერნატორი შ-ა აუცილებლად აღმოჩნდება გისოსებს მიღმა“.

3.7. 18.05.2018 წელს რადიო „ა-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა „...“ ზ-ის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პირველი მოპასუხის განცხადება ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე დაბარების თაობაზე. იგი აღნიშნავს: „კითხვები ეხებოდა კონტრაბანდას და ამ სქემაში გუბერნატორის მონაწილეობას. მე მათ ვუთხარი სამეგრელოში ტოტალური კონტრაბანდული საქონლის შემოტანისა და გასაღების შესახებ. ჩვენი პეროგატივა არ არის მტკიცებულებების მოძიება. ჩვენ ვაკეთებთ საჯარო განცხადებებს, რომელიც ეფუძნება ლეგიტიმურ ეჭვს. შ-ა-შ-ა სწორედ ამ სქემით მოქმედებდნენ 90-იან წლებში და თუ გამოძიება ობიექტური იქნება, გუბერნატორი უნდა დააკავონ“.

3.8. მოსარჩელე არ არის ნასამართლევი და ძებნაში არ იმყოფება.

3.9. იმ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი და სანდო მტკიცებულება, რაც მოპასუხეს შეუქმნიდა „სიცუვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში „სპეციალური კანონი“) ფარგლებში ჩამოყალიბებულ აზრს მოსარჩელის მხრიდან კონტრაბანდის მფარველობის, ასევე – ამ უკანასკნელის ოკუპანტებსა და სეპარატისტებთან კონტრაბანდასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი კავშირის შესახებ, საქმეში წარმოდგენილი არ არის.

3.10. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) მე-18 მუხლი, რომლის მიხედვით, პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში; პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საი-

დუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. მითითებულ ნორმაში გამოყენებულ კანონში იგულისხმება როგორც სსკ, ისე – სპეციალური კანონი.

3.11. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სპეციალური კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს კერძო პირისა და საჯარო პირის სტატუსს და ამ პირთა მიმართ ცილისწამებას, სარჩელის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია, დადგინდეს მხარეები წარმოადგენენ კერძო პირებს თუ საჯარო პირებს. აღნიშნული პირების განსაზღვრებას იძლევა სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, საჯარო პირი არის „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადანაცვებიდან ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება, ხოლო კერძო პირია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება სახელმწიფო რწმუნებული და მისი მოადგილე. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავო პერიოდში იყო ... ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, ხოლო პირველი მოპასუხე არის „...“ ზ-ის ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მეორე მოპასუხე – „...“ ... რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე იყო ზემოთ მითითებული კანონით თანამდებობის პირი, ხოლო მოპასუხეები არიან საზოგადოების აქტიური წევრები, ცნობადი პიროვნებები საზოგადოებრივ ასპარეზზე და მათი აზრი იწვევს საზოგადოებრივ ყურადღებას, რაც უდავოდ აქცევს მხარეებს საჯარო პირად.

3.12. მხარეთა შორის დავა წარმოშობილია არაქონებრივი ურთიერთობიდან, რასაც საფუძვლად უდევს სპეციალური კანონის მე-14 მუხლი, რომლითაც წესრიგდება საჯარო პირის ცილისწამებასთან დაკავშირებული საკითხი. მოპასუხე მხარემ შესაგებლით და სასამართლოს სხდომაზე სარჩელი არ ცნო.

3.13. სასამართლომ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად. ერთ-ერთი ასეთი უფლება გარანტირებულია საქართველოს

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის მიხედვით, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. სასამართლომ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპსა და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ქვაკუთხედს. დანაშაულის დადგენა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოში უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით მოპოვებულ მტკიცებულებებს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხეების მიერ მასზე გავრცელებული განცხადებები შეიცავს მტკიცებით ფორმაში ფაქტებს დანაშაულის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ სპეციალური კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოში სარჩელის წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა; დ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.

3.14. მოპასუხეები არ უარყოფენ, რომ სხვა გავრცელებული განცხადებები, რომელიც სადავოა სარჩელით, გაკეთებულია როგორც პირველი მოპასუხის, ისე მეორე მოპასუხის მიერ და დადგენილია, რომ პირველი მოპასუხის მსჯელობა ეხება მოსარჩელის მიერ სიგარეტის კონტრაბანდის მფარველობას, ხოლო მეორე მოპასუხის პოზიცია მოიცავს მსჯელობას, როგორც მითითებული ფაქტის, ისე მოსარჩელის მიერ ოკუპანტებთან და სეპარატისტებთან კონტრაბანდასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი კავშირის შესახებ.

3.15. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული პუბლიკაციები და სატელევიზიო ეთერები მიუთითებს, რომ მოპასუხეები მოსარჩელეს აბრალებენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას და, შესაბამისად, განცხადებებით გადმოცემული ფაქტები არ არის მოკ-

ლებული ობიექტურ (ფაქტობრივ) სიცხადეს. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ განაჩენის არარსებობის პირობებში, ასეთი განცხადებები აშკარად ლახავს მოსარჩელის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. მოპასუხეთა გამონათქვამები კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს, მოპასუხე მხარე მტკიცებითი ფორმით ადანაშაულებს მოსარჩელეს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში და, შესაბამისად, განცხადებების დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. სასამართლოს მითითებით, მოპასუხეების ბრალდებები მოსარჩელის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ მტკიცებას ფაქტის შესახებ, ვერ მოექცევა აზრის გამოხატვის დაცულ კატეგორიაში და მიჩნეულ უნდა იქნეს მოსარჩელის, როგორც საჯარო პირის მიმართ ცილისწამებად, რადგან განაჩენის გარეშე ისინი წარმოადგენენ არსებითად მცდარ ფაქტებს, ხოლო ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები საქმეში არ არსებობს. გამომდინარე აქედან, მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ ვალდებულება, უარყონ 28.04.2018 წელსა და 18.05.2018 წელს მათ მიერ გავრცელებული ცნობები.

4. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 01.05.2019 წლის განჩინებით, მოპასუხეთა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სამართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ არსებობდა ცილისწამებისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

6. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხეებმა შეიტანეს საკასაციო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშ-

ვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე (არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის, მისი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავდროულად მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდეგში „კონვენციის“) მე-10 მუხლით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერ-

ძობლობის უზრუნველსაყოფად.

10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მიშენელობას ანიჭებს, მის შე-საზღუდად შეფასების მაღალ სტანდარტებს იყენებს და ამის გა-სამართლებლად წონად დასაბუთებას მოითხოვს. შესაბამისად, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს „სამარ-თლიანი ბალანსის“ განსაზღვრისას, ეროვნულ სახელმწიფოთა შე-ფასების თავისუფლების არეალი ძალიან ფართო არასდროს არის, თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებაში (გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებუ-ლებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-ციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ.128).

11. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შემდეგ ქცევის წესს: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დად-გენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვ-რების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუ-ტაცია შელახვისაგან.

12. მოპასუხეთა საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო პა-ლატის მსჯელობის საგანია სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილე-ბის კანონიერება, კერძოდ, სხვადასხვა მედიასაშუალებით მოპა-სუხეთა საჯაროდ გავრცელებული განცხადებები, რომლებთან მი-მართებითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, არის თუ არა მოსარჩელის სსკ-ის მე-18 მუხლით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევა, რასაც სა-მოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვე-ბა. სხვაგვარად, წარმოადგენს თუ არა მოპასუხეთა გამონათქვა-მები ცილისწამებას (დიფამაციური შინაარსის განცხადებას), რო-მელმაც შელახა მოსარჩელის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუ-ტაცია, მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა აუ-ცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსარჩელის უფლებების დასაცავად. მოცემული დავის გადანყვევებისას გამო-ყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე – სპე-ციალური კანონის ნორმები. სპეციალური კანონის პირველი მუხ-ლის „ე“ პუნქტი განსაზღვრავს, რომ ცილისწამება არის არსები-თად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებე-ლი, მისი სახელის გამტეხი განცხადება.

13. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით, სა-ჯარო პირია „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებ-ლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხ-ლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადან-ყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადო-

ებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. მოსარჩელე და მოპასუხეები მოპასუხეთა მიერ სადავო განცხადებების გაკეთების დროს იყვნენ საჯარო პირები, კერძოდ:

13.1. მოსარჩელე იყო ... ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი („საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო რწმუნებული (ანუ გუბერნატორი) არის თანამდებობის პირი. გუბერნატორის უფლებამოსილებებია: საქართველოს მთავრობის დავალებით კოორდინაციის განწევა რეგიონული პოლიტიკის განხორციელებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ცალკეულ ღონისძიებებზე; საქართველოს მთავრობის დავალებით, შესაბამისი ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება ან/და განხორციელება და მონაწილეობა რეგიონული განვითარების ღონისძიებებში; საქართველოს მთავრობისთვის წარსადგენად რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება შესაბამისი სამოქმედო ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ და ა.შ. (იხ. საქართველოს მთავრობის 29.11.2013 წლის დადგენილება №308 სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ) (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია)) და გახლდათ პოლიტიკური თანამდებობის პირი („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია)).

13.2. პირველი მოპასუხე იყო „...“ ზ-ის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხოლო მეორე მოპასუხე – „...“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

14. სპეციალური კანონის მე-14 მუხლი ადგენს საჯარო პირის ცილისწამებისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სტანდარტს და უშვებს აღნიშნულს ისეთ შემთხვევებში: თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. მითითებული ნორმა მტკიცების ტვირთს მთლიანად მოსარჩელეს აკისრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასა-

მართლოში სარჩელის წარდგენისას, მოსარჩელეა ვალდებული, დაასაბუთოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა წინაპირობის არსებობა, კერძოდ:

- ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება;
- ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია;
- გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებას ან/და საქმიან რეპუტაციას;

დ) მოპასუხემ წინასწარ იცოდა განცხადებული ფაქტის მცდარობის თაობაზე ან მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება მოპასუხის აშკარა და უხეშმა დაუდევრობამ გამოიწვია.

ასევე, უნდა გაირკვეს, ხომ არ არსებობს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები.

15. 28.04.2018 წელს გადაცემა „...“ გავიდა სიუჟეტი (იხ. DVD დისკი) „კონტრაბანდული სიგარეტი აფხაზური აქციზური მარკით“, რომლის დასაწყისშიც გადაცემის წამყვანი აცხადებს: „ოპოზიცია საუბრობს, რომ ამ ბიზნესს რეგიონის გუბერნატორი მფარველობს“, შემდგომ არის სიუჟეტი ზუგდიდის ბაზარში ე.წ. კონტრაბანდული სიგარეტის საკონტროლო შესყიდვის, ასევე მისი შემოტანის სავარაუდო გზების თაობაზე. სიუჟეტის ბოლოს ნაჩვენებია ჟურნალისტის მიერ პირველ მოპასუხესთან ენგურის ხილთან ჩანერილი ინტერვიუ, სადაც მოპასუხე მსჯელობს ე.წ. გამშვებ პუნქტებზე და აცხადებს: „... რანაირად ხდება, რომ ქართული საგუმბაგოები და ქართული ძალოვანი სტრუქტურები ვერ ამჩნევენ იმას, როგორ გადმოდიან ტრაილერები. ეს არის კონკრეტული ჯგუფი შ-ას ხელმძღვანელობით, დ. შ-ას ხელმძღვანელობით, შ-ა მარტო არ მოქმედებს, შ-ას ჰყავს ე.წ. კრიშა ამ შემთხვევაში, გუბერნატორ ლ. შ-ას სახით“. გადაცემა გრძელდება მეორე მოპასუხესთან ჩანერილი ინტერვიუთი, სადაც იგი აცხადებს: „მათი (ლ. შ-ა, დ. შ-ა) მთავარი ამოცანა იყო, კონტრაბანდული სქემების აწყობა აფხაზეთიდან და ამ სქემებში ცხადია მონაწილეობდნენ აფხაზი სეპარატისტები და რუსი ოკუპანტები. კონტრაბანდა ციდან არ ვარდება, კონტრაბანდა გადმოაქვთ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან და იქ, რომ გამოიაროს ამ ტვირთმა ამას სჭირდება აქტიური მონაწილეობა იქ არსებული ფაქტობრივი ძალების, ოკუპანტების, რუსი ოკუპანტების და აფხაზი სეპარატისტების კონკრეტული დაჯგუფებების და მათ აქვთ ერთმანეთში მჭიდრო კავშირი, ხდება ამ ბიზნესიდან თანხების გაყოფა და არიან პირდაპირი მენილეები, პარტნიორები ამ საქმიანობაში“.

16. 18.05.2018 წელს ტელეკომპანია „...“ ეთერით, გადაცემა „...“ გავიდა სიუჟეტი (იხ. DVD დისკი), რომელიც ასევე ეძღვნებოდა აფ-

ხაზეთიდან ე.წ. კონტრაბანდული სიგარეტის შემოტანის პრობლემებს. წამყვანის განცხადებით, „კონტრაბანდის შემოტანის და მაღალჩინოსნების მიერ შესაძლო მფარველობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო“ და პირველი მოპასუხე დაკითხვაზე დაიბარეს. ჯერ წარმოდგენილია პირველი მოპასუხის ინტერვიუ, რასაც მოსდევს ინტერვიუ მეორე მოპასუხესთან, სადაც ის აცხადებს: „ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად უნდა დაკითხონ გუბერნატორი, ცხადია, და თუ გამოძიება იქნება ობიექტური და ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ცხადია, მას დააპატიმრებენ. ინტენსიური გამოძიების წარმოების შემთხვევაში მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში გუბერნატორი შ-ა უნდა დააპატიმრონ, იმისთვის, რომ ის არის უშუალოდ და თვითონ მფარველი კონტრაბანდის“.

17. 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „მ-მა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც მოცემულია ჯერ პირველი მოპასუხის ინტერვიუ, სადაც ის გამოთქვამს იმედს, რომ გამოძიების ობიექტურად ჩატარების შემთხვევაში ყველა მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს ამ კონტრაბანდსთან, იქნება დაკითხული და აუცილებლად დაისჯება. შემდეგ კი მოცემულია მეორე მოპასუხის განცხადება: „ნებისმიერ შემთხვევაში, ცალსახად უნდა დაკითხონ გუბერნატორი, ცხადია, და თუ გამოძიება იქნება ობიექტური და ისეთი, როგორიც უნდა იყოს, ცხადია, მას დააპატიმრებენ. ინტენსიური გამოძიების წარმოების შემთხვევაში, მაქსიმუმ ერთი კვირის ვადაში გუბერნატორი შ-ა უნდა დააპატიმრონ იმისთვის, რომ ის არის უშუალოდ და თვითონ მფარველი კონტრაბანდის“.

18. 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „ლ-ის“ მეშვეობით გავრცელდა პირველი მოპასუხის განცხადება, რომელიც საგამოძიებო დეპარტამენტის რეგიონულ სამმართველოში გამოკითხვაზე იმყოფებოდა და კონტრაბანდის გავრცელებაში გუბერნატორის (მოსარჩელის) მონაწილეობის შესახებ კითხვები დაუსვს. პირველმა მოპასუხემ განაცხადა: „კითხვები ძირითადად ეხებოდა კონტრაბანდას და სქემაში გუბერნატორ შ-ას მონაწილეობას. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, მასაც დაიბარებენ ამ საკითხთან დაკავშირებით. მე მივანოდე ყველა ის ინფორმაცია, რაც ჩვენ გვქონდა და შესაბამისად, დაველოდებით ამ საქმის მიმდინარეობას. კონტრაბანდა არის ტოტალური. ბაზარში, რომ კონტრაბანდული საქონელი იყიდება, მაღალი თანამდებობის პირების და უშუალოდ გუბერნატორის მფარველობის გარეშე შეუძლებელია. მტკიცებულებების მოძიება კი უკვე ფინანსური პოლიციის ვალდებულებაა. ასეთი სქემა 90-იან წლებშიც მოქმედებდა და მასში მონაწილეობდა შ-ა-შ-ასთან ერთად, ობიექტური გამოძიების პი-

რობებში დარწმუნებული ვარ, რომ გუბერნატორი შ-ა აუცილებლად აღმოჩნდება გისოსებს მიღმა“.

19. 18.05.2018 წელს რადიო „ა-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პირველი მოპასუხის განცხადება ფინანსურ პოლიციაში დაკითხვაზე დაბარების თაობაზე. იგი აღნიშნავს: „კითხვები ეხებოდა კონტრაბანდას და ამ სქემაში გუბერნატორის მონაწილეობას. მე მათ ვუთხარი სამეგრელოში ტოტალური კონტრაბანდული საქონლის შემოტანისა და გასაღების შესახებ. ჩვენი პრეროგატივა არ არის მტკიცებულებების მოძიება. ჩვენ ვაკეთებთ საჯარო განცხადებებს, რომელიც ეფუძნება ლეგიტიმურ ეჭვს. შ-ა-შ-ა სწორედ ამ სქემით მოქმედებდნენ 90-იან წლებში და თუ გამოძიება ობიექტური იქნება, გუბერნატორი უნდა დააკავონ“.

20. მოცემულ შემთხვევაში, სადავო განცხადებების გავრცელების ფაქტი დადგენილია. მოსარჩელე ითხოვს განცხადებების უარყოფას შემდეგი სახით: რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია მოსარჩელის მიერ კონტრაბანდის კონტროლის შესახებ (მოთხოვნა ორივე მოპასუხის მიმართ) და ოკუპანტებთან, სეპარატისტებთან კონტრაბანდასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი კავშირის თაობაზე (დამატებით მოთხოვნა მეორე მოპასუხის მიმართ).

21. ამრიგად, იმის გადასაწყვეტად, მოპასუხეთა გამონათქვამები შეიცავს თუ არა ცილისმწამებლურ განცხადებას (რაც სსკ-ის 18.2. მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძველია), უნდა გაირკვეს, მათი მსჯელობა წარმოადგენს „არსებითად მცდარ ფაქტს“, თუ ის „აზრის“ კატეგორიას განეკუთვნება, ასევე, კონტექსტი და ის ვითარება, რაც წინ უძღოდა ამ განცხადებებს. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, „აზრი“ განიმარტება, როგორც შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით და პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, რაც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლების საფუძველია.

22. გასათვალისწინებელია, რომ აზრი ფაქტებთან გარკვეული

დამოკიდებულებით გამოითქმება, ანუ აზრი, როგორც წესი, ეყრდნობა ფაქტებს. ასეთ შემთხვევაში, აზრის დაყოფა შეხედულებად და ფაქტის გადმოცემად დაუშვებელია, რადგან მთლიანად გამონათქვამი აზრის თავისუფლების სფეროში ექცევა (მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, გვ.259).

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე – ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან, როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში (სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012წ; №ას-790-739-2017, 17.01.2018წ; №ას-928-868-2017, 17.01.2018წ.). სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ №ას-1477-1489-2011, 03.04.2012წ; №ას-569-540-2014, 11.03.2016წ; №ას-1366-2019, 06.04.2020წ.). აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხაზგასასმელად აღსანიშნავია, რომ თავის გადანყვეტილებებში

საქმეებზე „ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Lingens v. Austria (საჩივარი №9815/82), 08.07.1986წ., §46) და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“ (Oberschlick v. Austria (საჩივარი №11662/85), 23.05.1991წ., §63) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირდეს, მაშინ, როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს, ამიტომ შეფასების სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს, ეს შეენიანაღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (De Haes and Gijssels v. Belgium, (საჩივარი №19983/92), 24.02.1997წ., §42) (მდრ. სუსგ №ას-938-2020, 18.03.2021წ.).

24. ფაქტის მტკიცებას ახასიათებს – მტკიცებულებით დადასტურებადი – ობიექტური კავშირი გამოთქმულსა და სინამდვილეს შორის, მაშინ, როდესაც, აზრის/მოსაზრების მაკვალიფიცირებელია პოზიციის ან რწმენის ელემენტი. ბერლინის უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მოსარჩელის პიროვნების დამამცირებელი სუბიექტური ელემენტით დატვირთული კომენტარები მიიჩნია შეფასებად და განმარტა, რომ კომენტარების ფორმით გამოხატული ზიზღი და უპატივცემულობა, ვერც ერთად ადებული და ვერც ფაქტის შემცველი ე.წ. ფაქტობრივი ელემენტის მემველობით, ვერ შეფასდება ჭეშმარიტობის ან მცდარობის კრიტერიუმით (მდრ. ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 11.03.2020წ. გადაწყვეტილება სოციალურ ქსელში დიფამაციის თემაზე, №10 W 13/20, §22, იხ. ჟურნალში შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11/2021, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 155, თამარ ერგემლიძის თარგმანი).

25. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გამონათქვამების აზრისა თუ ფაქტისადმი კუთვნილების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მათი წარმოთქმის მთლიანი კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე. ცალკეულ სიტყვებსა და წინადადებებს კონტექსტის გარეშე ვერ მიენიჭება მნიშვნელობა, ვინაიდან მათი განცალკევებულად განხილვა გამოიწვევს გამონათქვამის შინაარსის დაკარგვას. შინაარსს კი სიტყვებსა და წინადადებებთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს (მდრ. სუსგ №ას-547-2020, 14.12.2021წ.).

26. საკასაციო პალატა ამაზვილებს ყურადღებას მასზე, რომ 2018 წლის აპრილსა და მაისში სხვადასხვა მედიასაშუალებაში (პრესა, ტელევიზია) აქტიურად იხილებოდა (არაერთი სიუჟეტი თუ სტატია მომზადდა) საკითხი – „აფხაზური აქციზური მარკით კონტრაბან-

დული სიგარეტი ვაჭრობა“ იმ ადმინისტრაციულ საზღვრებში, სადაც მოსარჩელე იყო სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. აღნიშნულის მიმართ იყო საზოგადოებრივი ინტერესი. ეს ნათლად იკვეთება თუნდაც წარმოდგენილი სარჩელით სადავოდ გამხდარი განცხადებებისა და შესაბამისი სატელევიზიო სიუჟეტების სრული შინაარსის ერთობლივად შეფასებით. ამასთან, მოსარჩელე გახლდათ პოლიტიკური თანამდებობის პირი და მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოა. ასეთმა პირებმა კრიტიკა (ზოგჯერ დაუმსახურებელი) უნდა აიტანონ და ზიდონ ის ტვირთი, რაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე განწესებას ახლავს. თავის მხრივ, თანამდებობრივი პიზიციიდან გამომდინარე, მათ უამრავი საშუალება აქვთ კრიტიკაზე პასუხის გასაცემად (პიზიციის გამოსახატად). როდესაც საკითხი სახელმწიფოს კეთილდღეობასა და წინსვლას უკავშირდება, საზოგადოების კრიტიკა, ბუნებრივია, ხშირად ხელისუფლებისკენ თუ მაღალი თანამდებობის პირებისკენაა მიმართული, რომელთაც მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე შესაძლებლობა აქვთ, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

27. განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ მოპასუხეების შეფასება ეფუძნებოდა ფაქტს მასზე, რომ რეგიონში სამოქალაქო ბრუნვაში იყო ე.წ. კონტრაბანდული სიგარეტი (28.04.2018 წელს გადაცემა „...“ სიუჟეტის დასაწყისში წამყვანი ასევე საუბრობს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ე.წ. კონტრაბანდული სიგარეტის ამოღების სტატისტიკაზე, რის შემდგომაც ჟურნალისტი ბაზარში ახდენს სიგარეტის ე.წ. საკონტროლო შესყიდვას (იხ. DVD დისკი)), რაც, მათი აზრით, მაღალი თანამდებობის პირებისა და გუბერნატორის მფარველობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სადავო არ არის და განცხადებებიდანაც იკვეთება, რომ ფაქტზე დაიწყო გამოძიება. მოპასუხეები ელოდნენ უფლებამოსილი ორგანოების მიერ შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების შედეგს.

28. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისეთი საკითხის კვლევა, როგორიცაა ოკუპირებული ტერიტორიიდან სიგარეტის ე.წ. კონტრაბანდა, უდავოდ უკავშირდება ქვეყნის ინტერესებს და, შესაბამისად, ვერც საზოგადოებრივ ყურადღებას ვერ იქნება მოკლებული, უფრო მეტიც, საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური ინტერესი, ის უფლებამოსილია, ინფორმირებული იყოს მსგავს საკითხებზე, აქციოს იგი განსჯისა და შეფასების საგნად. აღსანიშნავია, რომ მოპასუხეები არიან პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და იმთავითვე ნავარაუდევია, რომ ისინი გამოხატავენ საკუთარ პიზიციას და შეიტანენ წვლილს საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხზე საჯარო დებატებში.

29. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლება, როგორც თითოეული ადამიანის ინდივიდუალური ინტერესი, არა მარტო გადაჯაჭვულია საზოგადოებრივ ინტერესებთან, არამედ, იმავდროულად, თავად წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესს, ის დემოკრატიული პროცესების აუცილებელი წინაპირობაა. საზოგადოებისათვის მგრძნობიარე თემაზე საჯარო კრიტიკა დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფალი დებატების შემადგენელი ნაწილია.

30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საზოგადოებრივი ინტერესი, ჩვეულებრივ, ეხება საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე იმდენად, რომ მას შეუძლია ლეგიტიმურად აღძრას ინტერესი მათში, ასევე – საკითხებს, რომელიც მის ყურადღებას იპყრობს ან მნიშვნელოვნად უკავშირდება მას, განსაკუთრებით კი იმით, რომ ისინი გავლენას ახდენენ მოქალაქეების კეთილდღეობაზე ან საზოგადოების ცხოვრებაზე. ეს ასევე ეხება საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დაპირისპირება, რომელიც ეხება მნიშვნელოვან სოციალურ საკითხს, ან რომელიც მოიცავს პრობლემას, რაზეც საზოგადოებას ექნებოდა ინტერესი, რომ მის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო (Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy v. Finland [GC], #931/13, 27.06.2017w., § 171). სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში მონაწილეობას, ძალიან რთულია, მიჩნეულ იქნეს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მაშინაც კი, როდესაც გამოყენებულია ექსცესიური სიტყვები და ისინი მიმართულია კერძო პირების წინააღმდეგ (Jean-paul Costa, *The European Court of Human Rights and Its Recent Case Law*. Texas International Law Journal, special 2003, #3, vol.38, 465. გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ.90).

31. საზოგადოებაში უნდა არსებობდეს იდეებისა და შეხედულებების პლურალიზმი ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომლებიც მისი კანონიერი ინტერესების სფეროს მიეკუთვნება, რათა იაროს ჭეშმარიტებისა და პროგრესის გზით. სწორედ აქედან წარმოდგება გამოხატვის თავისუფლების, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე საჯარო დისკუსიების, დემოკრატიული პროცესების განვითარების, საზოგადოებრივი მიზნების მიღწევის, მათ შორის – ადამიანის სხვა უფლებათა უზრუნველყოფის საშუალების ხედვა (გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-

ციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ. 18).

32. ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში გაკეთებული სადავო განცხადება სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი ხარისხით (როგორც ევროპული სასამართლო აღნიშნავს, ასეთ დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვიწროა) (Floquet and Esménard v. France, #29064/08, 10.01.2012w.; July and SARL Libération judgment, #20893/03, ECHR 2008; Morice v. France [GC], #29369/10, § 153, 23.04.2015წ.) (მდრ. სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016წ., პუნ. 83). საზოგადოებრივი დებატი და მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური თანამდებობის პირების ქმედებათა შეფასების ინსტრუმენტს და ამ ვითარებაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუკი ინფორმაციის გამავრცელების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს იმ პირის დისკრედიტაცია, რომლის თაობაზეც ავრცელებს ამ ინფორმაციას. სხვა შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევამ შეიძლება დააზარალოს ქვეყნის ინტერესები, შეუძლებელი გახადოს საზოგადოების მხრიდან ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცხოვრების მიმართ აზრის გამოხატვა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება საზოგადოების ინტერესებზე (მდრ. სუსგ №ას-847-791-2017, 05.07.2019წ.).

33. იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯელობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღებით (Brasiliere v. France, #71343/01, 11.04.2006წ., §37), რომ გამონათქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შეფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ განცხადებას (Paturel v. France, #54968/00, 22.12.2005წ., §37). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებით პრობლემურია პირის რეპუტაციის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ განცხადება, რომელიც პირის რეპუტაციას ეხება, პოლიტიკურია ან გაკეთებულია საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში (Sürek v. Turkey (#1) [GC], #26682/95, § 61, ECHR 1999-IV; Lindon, Otchakovsky-Laurens and July v. France [GC], #21279/02, #36448/02, § 46, ECHR 2007-IV; Axel Springer AG v. Germany [GC], #39954/08, § 90,

ECHR 2012). საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას გაკეთებულ განცხადებაში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (E.K. v. Turkey, №28496/95, §§ 79-80, 07.02.2002წ.) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (Thoma v. Luxembourg, #38432/97, § 57, ECHR 2001-III) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას, დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (Paturel v. France, №54968/00, § 42, 22.12.2005წ.) (სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016წ., პუნ. 53, 55; №ას-1366-2019, 06.04.2020წ., პუნ. 88, 90).

34. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 28.04.2018 წლისა და 18.05.2018 წლის სიუჟეტებში გაკეთებული მოპასუხეთა სადავო გამონათქვამები მათი შინაარსის, გამოთქმის ერთიანი კონტექსტისა და მთლიანი სიუჟეტის გათვალისწინებით, წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დისკუსიის დროს მოპასუხეთა მიერ პირადი დამოკიდებულების გამოხატვას, მათ შეფასებით მსჯელობას, რომლითაც გადმოცემულია მათი სუბიექტური შეხედულება სიუჟეტში განხილულ თემასთან მიმართებით. შეფასებითი ხასიათისაა 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტოების „მ-ისა“ და „ლ-ის“ მიერ, ასევე, რადიო „ა-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მოპასუხეთა სადავო გამონათქვამებიც (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 17-19 პუნქტები). თავად სადავო განცხადებები შეიცავს მითითებას გამოძიების საჭიროების შესახებ, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ განცხადებები მოპასუხეთა პირადი შეხედულებები და ვარაუდებია. 18.05.2018 წელს რადიო „ა-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პირველი მოპასუხის სადავო განცხადებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მათი საჯარო განცხადებები „ეფუძნება ლეგიტიმურ ეჭვს“ და მათი „პრეროგატივა არ არის მტკიცებულებების მოძიება“ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პუნქტი 19). 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „ლ-ის“ მიერ გამოქვეყნებულ პირველი მოპასუხის განცხადებაშიც მითითებულია, რომ „მტკიცებულებების მოძიება კი უკვე ფინანსური პოლიციის ვალდებულებაა“ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პუნქტი 18). ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო გამონათქვამები (წინამდებარე გადაწყვეტილების 15-19 პუნქტები) ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მკითხველზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. განცხადებებში მოპასუხეთა მიერ გამოთქმული სადავო ფრაზები არ არის საკმარისად კონკრეტული, უშუალოდ მოსარჩელის თაობაზე არ შეიცავს ცალკეულ დადასტურებად ფაქტებზე მითითებას, არამედ, გამოთქმათა მთლიანი კონტექსტის შესაბამისად, უფრო მეტად განცხადების გამავერცელებლის აზრს, მოვლენის მიმართ მის პირად დამოკიდებულებასა და კომენტარს წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის

მქონე საკითხზე საჯარო დისკუსიის დროს. ყოველივე აღნიშნული კი გამონათქვამების აზრად და არა ფაქტად მიჩნევას განაპირობებს. მოვლენის აღქმა და მისი საკუთარ მოსაზრებად, შეხედულებად გადმოცემა სუბიექტური კრიტერიუმია და ესა თუ ის ფაქტი ამა თუ იმ პირის, ინდივიდის მიერ შეიძლება აღქმულ იქნეს უარყოფითად. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დებატი, რომლის ერთადერთი მიზანი პირის დისკრედიტაცია არ არის, არ შეიძლება უპირობოდ დაექვემდებაროს შეზღუდვას. შესაბამისად, არ არსებობს პასუხისმგებლობის ისეთი წინაპირობაც, როგორიცაა – მოპასუხეთა წინასწარი ინფორმირებულობა განცხადებების მცდარობის თაობაზე ან მათი გავრცელება მოპასუხეთა აშკარა და უხეში დაუდევრობით. რადგან არ დადგინდა კანონით დაცული უფლების დარღვევა, ვერ იქნება გაზიარებული მოსარჩელის მითითება მისთვის მორალური ზიანის მიყენების თაობაზე. სადავო გამონათქვამები ექცევა ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში და გამორიცხავს მოპასუხეთა პასუხისმგებლობას.

35. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ 28.04.2018 წლის სიუჟეტში მოსარჩელესაც მიეცა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა. მოსარჩელის (გუბერნატორის პრესსამსახურის) პოზიცია დაფიქსირებულია 18.05.2018 წელს საინფორმაციო სააგენტო „ლ-ისა“ და რადიო „ა-ის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიებშიც.

36. გამოხატვის თავისუფლება სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია – გამოხატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39). გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ და ფუნქციურ ელემენტს წარმოადგენს, ის საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ საფუძველს ქმნის. [...] ამ უფლებით თანაბარი და სრულფასოვანი სარგებლობის შესაძლებლობა საზოგადოების ღიაობის და დემოკრატიულობის ხარისხს განსაზღვრავს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართვე-

ლოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები — ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

37. იმავდროულად, თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება ალაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40).

38. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სიტყვის თავისუფლება მოიცავს არა მხოლოდ სასურველ, უწყინარ ან ნეიტრალურ „ინფორმაციებსა“ და „იდეებს“, არამედ ისეთებსაც, რომლებიც შეურაცხყოფელი, შოკის მომგვრელი ან შემაშფოთებელია. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და გონიერების მოთხოვნები, ურომლისოდაც „დემოკრატიული საზოგადოება“ ვერ იარსებებს (Nilsen and Johnsen v. Norway (საჩივარი №23118/93), 25.11.1999წ., §43; Matalas v. Greece (საჩივარი №1864/18), 25.03.2021წ., §38). აზრის გამოხატვის თავისუფლებაში მოიაზრება ისეთი განცხადებისა და გამოთქმის უფლებაც, რომელიც შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი და შემანუხეზებელია (Castells v. Spain (საჩივარი #11798/85), 23.04.1992წ., §42). შეურაცხყოფის საქმეების განხილვის დროს სასამართლოს წინაშეა მთავარი კითხვა: იყო თუ არა აღნიშნული განცხადება „გადაჭარბებული“? ევროსასამართლოს განმარტებით, განცხადების შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, რამდენად შეიცავს იგი შეურაცხყოფელ ტერმინებს, ასევე, მათი შინაარსი და გავლენა საზოგადოებაზე (Chauvy and others v. France (საჩივარი №64915/01), 29.06.2004წ.). ამდენად, შესაფასებელია გამოხატვის ფორმა და ღირებულება, მისი საზოგადო-

ებრივი მნიშვნელობა (შდრ. სუსგ №ას-569-540-2014, 11.03.2016წ.).

39. მოცემულ შემთხვევაში, აზრი გამოთქმულია საკითხის განხილვის კონტექსტით, საზოგადოებრივი ყურადღების საგანთან დაკავშირებით, საჯარო დებატების ფორმატში, ამრიგად, საკასაციო სასამართლოს განსჯით, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი გამონათქვამები მათი მიზნისა და იმ ზემოქმედების გათვალისწინებით, რაც მას საზოგადოებაზე შესაძლოა, მოეხდინა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს იმდენად გადაჭარბებულად, რომ გამართლებული იყოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა.

40. პალატა მიუთითებს, რომ გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა განისაზღვროს მკაცრად და მისი გამოყენების საჭიროება სარწმუნოდ დადასტურდეს. შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს „აუცილებელი“ დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. „აუცილებელი“ კი, სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (Handyside v. the United Kingdom (საჩივარი № 5493/72), 7.12.1976წ.; Stoll v. Switzerland ([GC] (საჩივარი № 69698/01), 10.12.2007წ., §101; Animal Defenders International v. the United Kingdom [GC] (საჩივარი №48876/08), 22.04.2013წ., §100; Morice v. France [GC] (საჩივარი №29369/10), 23.04.2015წ., §124; Balaskas v. Greece (საჩივარი № 73087/17), 05.11.2020წ., §36) (შდრ. სუსგ №ას-625-593-2014, 20.05.2016წ.). მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მწვავე საჭიროების დამადასტურებელი რაიმე გარემოება ნინამდებარე საქმეში არ გამოკვეთილა.

41. მოცემულ შემთხვევაში, დავა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ უნდა გადანყდეს, სხვაგვარად, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეზღუდვა ხელყოფდა შეხედულებების თავისუფლების არსს იმის გათვალისწინებითაც, რომ სადავო გამონათქვამები სუბიექტური დამოკიდებულებით გაჯერებული აზრის გამოხატვაა.

42. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილ-

დეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 01.05.2019 წლის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

43. რაც შეეხება საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე კასატორების შუამდგომლობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას და საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, განსხვავებით პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებისაგან, კანონმდებლობით მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია – საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს (სუსგ №ას-48-2020, 17.09.2020წ.). შესაბამისად, შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორებს.

44. ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან), მე-2 (ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას) და მე-3 (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც) ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხეების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელთა მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – თითოეულისთვის ცალცალკე 450 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ა. წ-ძისა და მ. ზ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 01.05.2019 წლის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ლ. შ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. ლ. შ-ას ა. წ-ძისა და მ. ზ-ვას სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – თითოეულისთვის ცალ-ცალკე 450 ლარის ანაზღაურება.

5. ა. წ-ძისა და მ. ზ-ვას შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულებების დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს და მტკიცებულებები დაუბრუნდეს შუამდგომლობის ავტორებს.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-938-2020

18 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: საქმიანი რეპუტაციის შემლახავი, ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ბ-მა“ (შემდეგში: მოსარჩელე ან მოსარჩელე კომპანია ან აპელანტი ან კასატორი) სარჩელი აღძრა ა. ზ-ძის, ლ. ც-ის, ნ. ფ-ძის, გ. კ-ძის, ნ. ვ-ძისა და შ. ლ-ძის (შემდეგში: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე მოპასუხე ან შემდგომში ერთად წოდებული, როგორც მოპასუხეები ან მოწინააღმდეგე მხარეები), რომლითაც მოითხოვა, მოსარჩელის საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების უარყოფა იმავე გზით, რომლითაც მოხდა საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება, სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით: 1. სინამდვილეს არ შეესაბამება – გვაქვს მძიმე და არანორმირებული სამუშაო რეჟიმი. კვირაში 6 დღე და დაახლოებით 60 სთ. ვმუშაობთ. დღის მანძილზე საშუალოდ 10 სთ. გვინევს მუშაობა, არ გვაქვს ოფიციალური შესვენება. 2. სინამდვილეს არ შეესაბამება – მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია ამ შრომას არ

ანაზღაურებს; 3. სინამდვილეს არ შეესაბამება – კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, საწყობის მთვლელისა და მტვირთავის ფუნქციებს; 4. სინამდვილეს არ შეესაბამება – არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისთვის; 5. სინამდვილეს არ შეესაბამება – მძიმე და უსამართლო შრომითი პირობები განსაკუთრებულად აუტანელი გახდა დეკემბრის თვეში, როცა დიდი გაყიდვების გამო, კვირების მანძილზე დასვენების გარეშე, არაადამიანურ პირობებში ვიმუშავეთ. ჩვენი მძიმე შრომის მიუხედავად, კომპანიამ გაცილებით დაბალი ბონუსები დაგვირიცხა, რასაც ჩვენგან სამართლიანი პროტესტი მოჰყვა; 6. სინამდვილეს არ შეესაბამება – საპასუხოდ, კომპანიამ ორი კონსულტანტი სამსახურიდან იმავე დღეს გაათავისუფლა და 6 ჩვენგანის მიმართ მიიღო ქსელის სხვა მაღაზიებში გადაყვანის გადაწყვეტილება, რასაც პროტესტის ჩახშობის მიზანი აქვს; 7. სინამდვილეს არ შეესაბამება – არანორმირებული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, ჩვენი თვიური ანაზღაურება 300 ლარია; 8. სინამდვილეს არ შეესაბამება – მაღაზიაში არ არსებობს უსაფრთხოების სისტემა და ამის შედეგებზე პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე ფლობს ნიგნების მაღაზიათა ქსელს. მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონკრეტული დარღვევების გამო, შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა 2 დასაქმებულთან, 09.02.2017 წელს სოციალურ ქსელ „facebook“-ის მეშვეობით გავრცელდა მისი 2 ყოფილი და 4 მოქმედი თანამშრომლის ერთობლივი ვიდეო და წერილობითი მიმართვა. მიმართვის მონაწილეები მოქმედებდნენ ერთობლივად, ხოლო მიმართვა არის ცილისმწამებლური და შეიცავს ცრუ ფაქტებს, რამაც შელახა კომპანიის საქმიანი რეპუტაცია.

3. მოსარჩელე მიუთითებს, რომ სადავო განცხადება (ვიდეო და წერილობითი მიმართვა) გაკეთებულია/შექმნილია/გავრცელებულია მოპასუხეების მიერ. მათ ერთობლივად მიიღეს მონაწილეობა სადავო განცხადების გაკეთებაში, რასაც ადასტურებს მათი მონაწილეობა ვიდეო მიმართვაში და მასში გაჟღერებული ტექსტი. ამასთან, მიმართვა ეხება უშუალოდ მოსარჩელეს, რომელიც შეიცავს მცდარ ფაქტებს. მოსარჩელე კომპანია აღნიშნავს, რომ განცხადების გავრცელება მოხდა არა პირადი კომუნიკაციის სახით, არამედ საჯარო გზით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

4. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ვინაიდან მიმართვის მონაწილეები საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ კომპანიასთან, მათ უშუალოდ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია, რის მიუხედავადაც, განზრახ გავრცელეს მათთვის ცნობილი ინფორმაცია დამახინჯებუ-

ლი, ცრუ ფორმით. აღნიშნულს კი შედეგად მოჰყვა მომხმარებლის პროტესტი და მათი ნეგატიური შეფასებები, ასევე, სოციალურ ქსელში დაბალი ქულების დაწერა, რასაც ამ დრომდე ადგილი არ ჰქონია და რამაც შედეგად მიიღო მართული სახე. შედეგად, დადგა ზიანი, რაც გამოიხატა მოსარჩელე კომპანიის საქმიანი რეპუტაციის შელახვაში.

5. სადავოდ გამხდარ განცხადებაში მოცემულ თითოეულ ფრაზასთან დაკავშირებით, მოსარჩელე მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებზე და განსხვავებულად წარმოაჩენს მიმართვაში მოცემულ ფაქტებს. კერძოდ, სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელის დასაქმებულებს აქვთ ნორმირებული სამუშაო რეჟიმი, ორცვლიანი სამუშაო გრაფიკი და თითოეული ცვლისთვის სავალდებულოა 8 საათი მუშაობა, რომელშიც ასევე შედის შესვენების დრო. 8 საათზე მეტ ხანს, მხოლოდ გაყიდვების სეზონური გააქტიურებისას შეიძლება დარჩნენ ნებაყოფლობით, რა დროსაც, დასაქმებულებს მიეცემა შესაბამისი დამატებითი ანაზღაურება, რაც დასტურდება ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ანაზღაურებაზე მეტი ჩარიცხვებით.

6. მოსარჩელემ უარყო გარემოება, რომ კონსულტანტებს უწევდათ სხვადასხვა ფუნქციების შესრულება და განმარტავს, რომ მოსარჩელე კომპანიაში არის სხვადასხვა პოზიციები, მათ შორის, მენეჯერი, უფროსი კონსულტანტი, კონსულტანტი, უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერი, უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრატორი, დამლაგებელი.

7. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მაღაზიაში (მაღაზიათა ქსელში) გამოყოფილია ადგილი და დრო კვებისთვის, რომლებიც, აღჭურვილია კამერების სისტემით.

8. გათავისუფლებულ მოპასუხეებთან დაკავშირებით კი, სარჩელში მითითებულია, რომ მათთან შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტა მოხდა არა პროტესტის, არამედ კონკრეტული დარღვევების გამო.

9. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს, მათი განმარტებით, გავრცელებული ვიდეომიმართვა შეიცავს არა არსებითად მცდარ ფაქტებს, რომლებიც არის ცილისმწამებლური, არამედ განცხადება წარმოადგენს მოპასუხე პირების – დასაქმებულების გამოხატვას, დამსაქმებლის მიერ მათთვის შექმნილ შრომით პირობებთან დაკავშირებით, რომელიც შედგება მოპასუხეთა სუბიექტური მოსაზრებების (აზრის) და სწორი, დადასტურებადი ფაქტებისგან, რაც მიმართვის მთელ ტექსტში ურთიერთგადაჯაჭვულია. მიმართვის გავრცელების მიზანს კი, წარმოადგენდა არსებული შრომითი პირობების საჯარო კრიტიკა. ამის საპირისპიროდ, მოსარჩელის მოთ-

ხოვნა წარმოადგენს მოპასუხეთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩა-რევას და მის შეზღუდვას.

10. ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შესაგებელში მითითებულია, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის მცდარობას დაადასტურებდა და რისი მტკიცე-ბის ტვირთიც მას ეკისრება.

11. სადავო განცხადებაში მოყვანილ ფრაზებთან დაკავშირე-ბითაც შესაგებელში მითითებულია კონკრეტულად ფაქტობრივ გა-რემოებებზე. კერძოდ, მოპასუხეები კიდევ ერთხელ განმარტავენ, რომ მაღაზიაში არ არის ნორმირებული სამუშაო რეჟიმი. სამუშაოს მოცულობის გამო, მათ მუდმივად უწევთ ზეგანაკვეთური სამუშა-ოს შესრულება, რაც იმაშიც გამოიხატებოდა, რომ 6 დღიანი სამუ-შაო კვირის ნაცვლად უწევდათ კვირაში 7 დღე მუშაობა. შემდგო-მი, დასვენების სანაცვლოდ, მაგალითად, 2016 წლის დეკემბრის თვეში, თანამშრომლებმა მთელი თვის მანძილზე დასვენების გა-რეშე იმუშავეს. სამუშაო დროის დღიური ხანგრძლივობა კი დამო-კიდებული იყო სამუშაოს მოცულობაზე, რაც სასკოლო და საახალ-წლო გაყიდვების პერიოდში განსაკუთრებით იზრდებოდა. ზეგა-ნაკვეთური შრომა, მათი განმარტებით, არ უნაზღაურდებოდათ. ბონუსი, რომელიც ერიცხებოდათ ხელფასის ზემოთ, დამოკიდე-ბული იყო შესრულების ხარისხზე და გაყიდული პროდუქციის რა-ოდენობაზე, რომელშიც არ მოიაზრებოდა ზეგანაკვეთურად ნა-მუშევარი საათებისა და დღეების ანაზღაურება,

12. მოპასუხეებმა შესაგებელში ასევე მიუთითეს, რომ ფაქტობ-რივად არ ჰქონდათ შესვენება, მხოლოდ რამდენიმე წუთით ცვლი-ან ერთმანეთს კვებისთვის და საწყობში ან გასახდელის ტერიტო-რიაზე იკვებებიან. უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებითაც მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მაღაზიაში მართალია დამონტაჟე-ბულია კამერები, მაგრამ ისინი ძირითადად განთავსებულია თა-ვად კონსულტანტების კონტროლის მიზნით, რამდენადაც, სწო-რედ ამგვარ ადგილებშია განთავსებული, როგორიცაა სალარო და სხვა. მაღაზიაში პერიოდულად ტარდება აღწერა, რა დროსაც, ხდე-ბა დანაკლისის დათვლა და ასეთის გამოვლენის შემთხვევაში, მი-სი ოდენობა ნაწილდება სრულ კოლექტივზე თანაბრად, იმ მოქ-მედ თანამშრომლებზე, რომლებიც აღწერისას შემონმბულ პერი-ოდში მუშაობენ მაღაზიაში.

13. შესაგებელში ყურადღებაა გამახვილებული ასევე, გათავი-სუფლებულ თანამშრომლებზე და მითითებულია, რომ მაღაზიაში დასაქმებულმა კონსულტანტებმა არასათანადო ბონუსის ჩარიც-ხვის შემდგომ, გამოხატეს უკმაყოფილება, რის გამოც, კომპანიის

მხრიდან იმავე დღეს იქნა მიღებული გადაწყვეტილება ორი თანამშრომლის – პირველი და მეორე მოპასუხის გათავისუფლების თაობაზე.

14. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

15. პირველი ინსტანციის სასამართლომ, მოცემულ საქმეზე, სარჩელის უარყოფისას დადგენილად მიიჩნია, რომ ერთი მხრივ, მოსარჩელეს და მეორე მხრივ პირველ მოპასუხეს შორის 20.09.2016 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა კონსულტანტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი, შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

16. მოსარჩელე კომპანიის დირექტორის 03.02.2017წ. №2 ბრძანებით პირველ მოპასუხესთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2017 წლის 4 თებერვლიდან, საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში – სშკ-ი) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ბრძანების წერილობით დასაბუთებაში დამსაქმებელმა მიუთითა დასაქმებულის მხრიდან გამოვლენილ დარღვევებზე.

17. დადგენილია ისიც, რომ ერთი მხრივ, მოსარჩელე კომპანიას და მეორე მხრივ, მეორე მოპასუხეს შორის 5.04.2015 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა კონსულტანტის პოზიციაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი, შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

18. მოსარჩელე კომპანიის დირექტორის 03.02.2017წ. №1 ბრძანებით მეორე მოპასუხესთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2017 წლის 4 თებერვლიდან, საქართველოს სშკ-ის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ბრძანების წერილობით დასაბუთებაში დამსაქმებელმა მიუთითა დასაქმებულის მხრიდან გამოვლენილ დარღვევებზე.

19. ერთი მხრივ, მოსარჩელეს და მეორე მხრივ, მეოთხე მოპასუხეს შორის 09.11.2016 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა კონსულტანტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

20. მოსარჩელე კომპანიის დირექტორის 15.02.2017წ. №4 ბრძანებით მეოთხე მოპასუხესთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება 2017 წლის 16 თებერვლიდან, სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ბრძანების წერილობით დასაბუთებაში დამსაქმებელმა მიუთითა დასაქმებულის მხრიდან გამოვლენილ დარღვევებზე და ასევე, მის მიერ კომპანიის ავტორიტეტის შემლახავი, შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი ინფორმაციის გავრცელებაზე.

21. ერთი მხრივ, მოსარჩელე კომპანიას და მეორე მხრივ, მეექვსე მოპასუხეს შორის 21.08.2016 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა კონსულტანტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

22. ერთი მხრივ, მოსარჩელე კომპანიას და მეორეს მხრივ მეხუთე მოპასუხეს შორის 20.10.2016 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა კონსულტანტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

23. ერთი მხრივ, მოსარჩელე კომპანიას და მეორე მხრივ, მესამე მოპასუხეს შორის 02.01.2017 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, დასაქმებული აყვანილ იქნა რეზერვი კონსულტანტის თანამდებობაზე. ხელშეკრულების მე-2 მუხლით მისი სამუშაო დრო განისაზღვრა 40-საათიანი სამუშაო კვირით. დათქმა ასევე ითვალისწინებდა ზეგანაკვეთური მუშაობის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში. დასაქმებულის დასვენების დროდ ხელშეკრულებაში მითითებულია კვირაში მინიმუმ ერთი დღე. ხელშეკრულების 3.1 მუხლით კი, შეთანხმებულ იქნა დასაქმებულის ანაზღაურება, რაც შეადგენდა თვეში ფიქსირებულ 312.50 ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

24. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე კომპანიაში მოქმედებდა შრომის შინაგანანესი, რომელიც, განსაზღვრავდა მოცემულ დავაში სადავოდ ქცეულ საკითხებს, კერძოდ, ანაზღაურების სისტემასა და სამუშაო დროს. შინაგანანესის მე-6 მუხლით დადგენილია, რომ პერსონალის სახელფასო განაკვეთები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე (6.1 პუნქტი), ხოლო საბონუსე თანხა – კომპანიის მიერ დადგენილი საბონუსე სისტემის მიხედვით (6.2 პუნქტი). შინაგანანესის მე-7 მუხლი სამუშაო დროდ განსაზღვრავს 09:30-18:00 საათს, თუმცა, აღნიშნულია, რომ ცალკეული თანამშრომლებისთვის (ფილიალის მიხედვით) შეიძლება დადგინდეს განსხვავებული სამუშაო დრო, საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო კვირის ხანგრძლივობის მიხედვით (7.1 პუნქტი). ამავე მუხლის მე-2 პუნქტით კი, დასაქმებულს ეძლევა 30 წუთიანი შესვენება. მოსარჩელე კომპანიის მალაზიასთან დაკავშირებით, სადაც იყვნენ მოპასუხეები დასაქმებულები, ორივე მხარე ადასტურებდა, რომ არსებობდა ორცვლიანი სამუშაო გრაფიკი. თუმცა, სადავო გარემოებაა, რამდენად უწევდათ განსაზღვრული საათების ფარგლებში მათ შრომა და სარგებლობდნენ თუ არა კუთვნილი შესვენების დროით.

25. უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ დასაქმებულებს ერიცხებოდათ თანხა ხელფასის და ბონუსის სახით. კომპანიის მხრიდან ჩარიცხვა სხვა დანიშნულებით არ ფიქსირდება ამონაწერებში.

26. უდავოა, რომ მოპასუხეთა მიერ 2017 წლის 09 თებერვალს გავრცელდა მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ინფორმაცია ვიდეო მიმართვის გზით, სოციალურ ქსელ „facebook“-ის მეშვეობით.

27. სადავო ტექსტი მოიცავს შემდეგს: „ჩვენ, მოსარჩელის მალაზიაში დასაქმებულ კონსულტანტებს გვინდა იმ მძიმე და უსამართლო შრომით პირობებზე ვისაუბროთ, რაშიც ყოველდღიურ რეჟიმში გვინევს მუშაობა. 1. გვაქვს მძიმე და არანორმირებული სამუშაო რეჟიმი. კვირაში 6 დღე და დაახლოებით 60 სთ. ვმუშა-

ობთ. დღის მანძილზე საშუალოდ 10 სთ. გვინევს მუშაობა, არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისთვის. 2. არანორმირებული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, ჩვენი თვიური ანაზღაურება 300 ლარია. იგივე დატვირთვის მიუხედავად, რეზერვში მყოფი კონსულტანტების – 250 ლარი. 3. მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია ამ შრომას არ ანაზღაურებს; 4. კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, საწყობის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს; ადმინისტრაცია გაყიდვების წარმოუდგენლად დიდი გეგმის შესრულებას გვთხოვს ყოველთვიურად, რაც იძულებულს გვხდის არანორმირებულად და მძიმე დატვირთვით ვიმუშაოთ, რადგან გეგმის შესრულებას ებმის ჩვენთვის ბონუსების დარიცხვა. ბონუსი ჩვენთვის გაუმჭვირვალე და გაურკვეველი კოეფიციენტით ანგარიშდება და შესაძლოა იყოს თვეში 27 ლარიდან 250 ლარამდე. ამასთან, თანაბარი და მძიმე შრომის მიუხედავად, ბონუსებს არ იღებენ რეზერვში მყოფი თანამშრომლები. მაღაზიაში არ არსებობს უსაფრთხოების სისტემა და ამის შედეგებზე პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ. ნებისმიერი სახის დანაკლისა და ზიანზე, რაც ათეულობით ათას ლარს შეიძლება ადგენდეს, ჩვენი პირდაპირი ბრალეულობის არქონის მიუხედავად, გვინევს მისი ანაზღაურება ჩვენივე შემოსავლიდან. კომპანია პერიოდულად აკეთებს დანაკლისების აღრიცხვას, რომელსაც ანაწილებს ჩვენზე თანაბრად და გვიკვითავს ბონუსიდან. ჩვენ არ გვაქვს არანაირი მექანიზმი ავიცილოთ დანაკლისები ან წინასწარ განვსაზღვროთ რამდენი შეიძლება დაგვეკვითოს ბონუსებიდან, რაც კიდევ ამცირებს ჩვენს ყოველთვიურ ანაზღაურებას. მძიმე და უსამართლო შრომითი პირობები განსაკუთრებულად აუტანელი გახდა დეკემბრის თვეში, როცა დიდი გაყიდვების გამო, კვირების მანძილზე დასვენების გარეშე, არაადამიანურ პირობებში ვიმუშავეთ. ჩვენი მძიმე შრომის მიუხედავად, კომპანიამ გაცილებით დაბალი ბონუსები დაგვირიცხა, რასაც ჩვენგან სამართლიანი პროტესტი მოჰყვა. საპასუხოდ, კომპანიამ ორი კონსულტანტი სამსახურიდან იმავე დღეს გაათავისუფლა და 6 ჩვენგანის მიმართ მიიღო ქსელის სხვა მაღაზიებში გადაყვანის გადანყევტილება, რასაც პროტესტის ჩახშობის მიზანი აქვს.

28. მოპასუხეების მიერ გავრცელებული სადავო განცხადებები პირველი ინსტანციის სასამართლომ შეაფასა, როგორც მოპასუხეთა მიერ გაკეთებული შეფასებითი მსჯელობა, მათი „აზრის“ გაუ-

ღერება და არ უნდა იქნეს აღქმული როგორც „ფაქტის“, მით უფრო, მცდარი ფაქტის გავრცელებად, რაც გამოიწვევდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, კერძო პირის ცილისწამებისთვის. შესაბამისად, სარჩელი უარყოფილი იქნა.

29. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.

31. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი საერთაშორისო და ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად, საჭიროა სადავო გამონათქვამების – მათი შინაარსის, გამოთქმის ფორმისა და კონტექსტის შემოწმება ერთობლიობაში, რათა მოხდეს გამონათქვამის სწორად კვალიფიცირება „ფაქტად“ ან „აზრად“. მოცემულ შემთხვევაში, გამონათქვამები: „არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დროს და სივრცე კვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია შრომას არ გვინაზღაურებს; კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, საწყობის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს“.

32. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფრაზები წარმოადგენენ ფაქტებს, ვინაიდან, გარდა მხარის განმარტებისა, იგი დადასტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოწმის ჩვენებით, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერებით საბანკო ანგარიშებიდან. ისინი წარმოადგენენ ფაქტს, რამდენადაც შესაძლებელია მათი გადამოწმება სხვა ფაქტებით – მტკიცებულებით. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოწმემ დაადასტურა, რომ არ ჰქონდათ დრო შესვენებისათვის, დრო და სივრცე კვებისათვის. დაადასტურა ის გარემოებაც, რომ მათ უწევდათ ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება კონსულტანტის ფუნქციების გარდა. რაც შეეხება ზეგანაკვეთურ სამუშაოს შესრულებას, ეს ფაქტობრივი გარემოება თვით აპელანტის მიერ დადასტურდა, თუმცა, მისივე განმარტებით ხდებოდა ამ სამუშაოს ანაზღაურებაც.

თუმცა, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო არ ანაზღაურებოდა. განსხვავება ხელფასისა და საბონუსე თანხის ჩარიცხვისაგან, ზეგანაკვეთური თანხის ჩარიცხვები მოპასუხეთა ანგარიშებზე არ განხორციელებულა. დანარჩენ ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება, რომ მოპასუხეები მხოლოდ საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რაც დაცული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვით, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.

33. სააპელაციო პალატა სადავო გამონათქვამების ყოველმხრივი და სრული, კონტექსტუალური შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო გამონათქვამები სრულად თავსებადი იყო „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – სპეციალური კანონის) პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემული „აზრის“ დეფინიციაში და ასევე წარმოადგენდნენ ფაქტებს, რომლებიც დადასტურებული იყო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

34. სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოსარჩელემ.

35. კასატორის მოსაზრებით, სწორი ბალანსი უნდა იქნეს დაცული ისეთ უფლებებს შორის, როგორიცაა მენარმის სამენარმეო საქმიანობის უფლება, ცილისწამებისაგან დაცვის უფლება და გამოხატვის თავისუფლება. ამასთან, დავის წინმსწრებია შრომით სასამართლებრივი ურთიერთობა – არ უნდა მოხდეს შრომითსამართლებრივი პრინციპების აღრევა და იმგვარი განმარტება, რაც შელახავს მოსარჩელის (კასატორი) უფლებებს. სწორედ აღნიშნული პრობლემატიკის გადაჭრის მიზნით, უნდა მოხდეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის გადაწყვეტა.

36. კასატორის მოსაზრებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლოს მიდგომა. კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხე არ უარყოფდა, რომ მას ნამეტი თანხა ჩარიცხული აქვს. მეტიც, მსგავსი მტკიცებულებები წარდგენილი აქვს თავადაც. შესაბამისად, მოპასუხე არ უარყოფდა აღნიშნული თანხის მიღებას, როგორც ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას.

37. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით სადავო გამონათქვამები წარმოადგენენ ფაქტს და არა

მოსაზრებას. აღნიშნულს კასატორი იზიარებს თუმცა, აღნიშნავს, რომ ამის შემდგომ, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულებები სათანადოდ არ გამოიკვლია და მცდარი შეფასებები გააკეთა. კასატორი აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან 400 გვერდამდეა მტკიცებულებები წარმოდგენილი, რომლებიც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არ შეუღონებია. ამ მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოპასუხეებს მიღებული აქვთ ბევრად მეტი ანაზღაურება. არცერთი სასამართლო არ დაინტერესებულა, თუ რას ემსახურებოდა ამ ნამატი თანხის ჩარიცხვა. კასატორი მიუთითებს, რომ ნამატი თანხით ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდებოდა. ამასთან კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო თუ ჯეროვნად შეამოწმებდა მოსარჩელის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს დადასტურდებოდა, რომ მოპასუხეებს არ უწევდათ ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება; ასევე, რომ მოპასუხეებს ჰქონდათ გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისათვის.

38. კასატორს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის გადანყევტაში გამოიკვეთა დისკრიმინაციული ხედვა, კერძოდ იურიდიული პირი დისკრიმინირებული იქნა ფიზიკურ პირებთან მიმართებით და შედარებით. ამას ადასტურებს სუბიექტური შეფასებები, რომელიც მოცემული საქმის გადანყევტის დროს გაკეთდა.

39. კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლოს უნდა იმსჯელა იმაზე, თუ რა წვლილი შეიტანა სადავო გამონათქვამებმა საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მიმდინარე დებატებზე. როგორი იყო იმ პირის ცნობადობის ხარისხი, ვისაც სადავო განცხადება ეხება; განცხადებაში ასახულ პირთა ქმედებები როგორი იყო განცხადების გამოქვეყნებამდე; განცხადების გამოქვეყნების ფორმა და მანერა და ა.შ. (ვრცლად იხ., საკასაციო საჩივარი).

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2020 წლის 26 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის სამართლებრივი საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

41. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების განხილვისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ

გარემოებათა გამო:

42. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვე-პუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

43. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

44. მოსარჩელის (კასატორი) მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხეების მიერ გავრცელებული ცნობების იმავე საშუალებით უარყოფა, რომლითაც მოხდა საქმიანი რეპუტაციის შესაძლო შემლახვი ცნობების გავრცელება.

45. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე ფლობს წიგნების მალაზიათა ქსელს. მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონკრეტული დარღვევების გამო, შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა 2 დასაქმებულთან, 09.02.2017 წელს სოციალურ ქსელ „facebook“-ის მეშვეობით გავრცელდა მისი 2 ყოფილი და 4 მოქმედი თანამშრომლის ერთობლივი ვიდეო და წერილობითი მიმართვა. ვიდეო და წერილობითი მიმართვა შეიცავს მცდარ ფაქტებს. ვინაიდან მიმართვის მონაწილეები საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ კომპანიასთან, მათ უშუალოდ ჰქონდათ ზუსტი ინფორმაცია, რის მიუხედავადაც, განზრახ გაავრცელეს მათთვის ცნობილი ინფორმაცია დამახინჯებული, ცრუ ფორმით.

46. სადავოდ გამხდარ განცხადებაში მოცემულ თითოეულ ფრაზასთან დაკავშირებით, მოსარჩელემ კონკრეტულ გარემოებებზე მიუთითა და განსხვავებულად წარმოაჩინა მოპასუხეთა მიმართვაში მითითებული ინფორმაცია, კერძოდ, სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელის დასაქმებულებს აქვთ ნორმირებული სამუშაო რეჟიმი, ორცვლიანი სამუშაო გრაფიკი და თითოეული ცვლისთვის სავალდებულოა 8 საათი მუშაობა, რომელშიც შედის შესვენების დრო. 8 საათზე მეტ ხანს, მხოლოდ გაყიდვების სეზონური გააქტიურებისას შეიძლება დარჩნენ ნებაყოფლობით, რა დროსაც, დასაქმებულებს მიეცემათ შესაბამისი დამატებითი ანაზღაურება, რაც დასტურდება ხელშეკრულებებში დაფიქსირებულ ანაზღაურებაზე მეტი ჩარიცხვებით.

47. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოპასუხეების მიერ გავრცელებული სადავო განცხადებები შეაფასა, როგორც მოპასუხეთა მიერ გაკეთებული შეფასებითი მსჯელობა, რადგან მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა მოპასუხეთა „აზრის“ გაჟღერებას, რაც არ უნდა იქნეს აღქმული როგორც „ფაქტი“, მით უფრო, მცდარი ფაქტი (იხ., ამ განჩინების პ.18). შესაბამისად, პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოს სადავო გამონათქვამის მცდარობა ან სიზუსტე არ შეუძენია. აღნიშნული დასკვნა სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა და მიიჩნია, რომ სადავო გამონათქვამების გარკვეული ნაწილი, კერძოდ: „არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია შრომას არ გვინაზღაურებს; კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, სანყოფის მთვლელისა და მტვირთავეების ფუნქციებს“, წარმოდგენენ ფაქტებს, ვინაიდან, დადასტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოწმის ჩვენებით, ასევე, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერებით საბანკო ანგარიშებიდან. მოწმემ დაადასტურა, რომ არ ჰქონდათ დრო შესვენებისათვის, დრო და სივრცე კვებისათვის. დაადასტურა ის გარემოებაც, რომ მათ უწევდათ ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება კონსულტანტის ფუნქციების გარდა. რაც შეეხება ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას, ეს ფაქტობრივი გარემოება თვით აპელანტის (მოპასუხე) მიერ დადასტურდა, მაგრამ მისივე განმარტებით ხდებოდა ამ სამუშაოს ანაზღაურებაც. თუმცა, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო არ ანაზღაურებოდა. განსხვავებით ხელფასისა და საბონუსე თანხის ჩარიცხვისაგან, ზეგანაკვეთური თანხის ჩარიცხვები მოპასუხეთა ანგარიშებზე არ განხორციელებულა. დანარჩენ ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გამონათქვამები წარმოდგენდა მოპასუხეთათვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას და სრულიად თავსდებოდა მოპასუხეთა „აზრის“ სფეროში (ამ განჩინების პპ:31,32).

48. კასატორის ძირითადი პრეტენზია იმაში მდგომარეობს, რომ სადავო გამონათქვამით შეილახა მისი საქმიანი რეპუტაცია, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დავის განხილვისას არ იქნა გამოკვლეული ყველა ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, კასატორი ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო გამონათქვამები განეკუთვნება ფაქტის კატეგორიას და არ არის მოსაზრება, თუმცა, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დეტალურად არ დაადგინა ფაქტებს მიკუთვნებული გამონათქვამების სისწორე და არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა, ამდენად, დავის არსებითად განხილვამდე, უნდა შემოწმდეს, ვინ, ვისგან, რას, რის საფუძველზე ითხოვს.

50. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ინტერესი მოპასუხეების მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და საქმიანი რეპუტაციის დაცვაა.

51. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლება – გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ ამ ნორმის სუბიექტად აღიარებულია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ იურიდიული პირებიც, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-10 მუხლი ვრცელდება „ყველაზე“, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე (Autronic AG v Switzerland, 1990, §47). გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს იმ „იდებებს“ თუ „ინფორმაციასაც“, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელი ან შეურაცხმყოფელია. ამ მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება უხეში, უტრირებული ფორმითაც გამოთქმული აზრი. დაცვის ხარისხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმ კონტექსტზე, რომელშიც გამოყენებულია ეს ინფორმაცია და მეორეს მხრივ, იმ მიზნებზე, რომელთაც მოცემული კრიტიკა ემსახურება (Thorgeir Thorgeirson v. Iceland, 1992 წელი).

52. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავას ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირს შორის (Steel and Morris v. the United Kingdom) არ გაიზიარა მოდავე მხარის მტკიცება, რომ ისეთ ძლიერ მრავალეროვნულ კომპანიას, როგორიც „მაკდონალდსია“, პრინციპულად უნდა ჩამორთმეოდა დიფამაციური ბრალდებებისაგან თავდაცვის საშუალება, ანდა მოპასუხეებს არ უნდა დაკისრებოდათ გაკეთებული განცხადებების სიმართლის დამტკიცების ვალდებულება. სიმართლეა ის, რომ ძლიე-

რი კომპანიები შეგნებულად და აუცდენლად იყენებენ თავს მდგომარეობაში, როდესაც მათი ქმედებები ღიაა ყოველმხრივი კრიტიკული განხილვისათვის... დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასეთ კომპანიებთან მიმართებაში გაცილებით უფრო ფართოა (იხ. *Fayed v. the United Kingdom*, 1994 წ.). თუმცა, ბიზნესის პრაქტიკის თაობაზე ღია დებატების საზოგადოებრივ ინტერესთან ერთად, არსებობს კომპანიების კომერციული წარმატებისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცვის კონკურენტული ინტერესიც, ამასთან, არა მარტო ამ კომპანიების აქციონერებისა და თანამშრომელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ, ფართო ეკონომიკური სიკეთის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, სახელმწიფო სარგებლობს შეფასების თავისუფლებით შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საშუალებების უზრუნველყოფისას, რომელიც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს საკამათოდ გახადოს იმ განცხადებების სიმართლე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს მის რეპუტაციას, და შეამციროს ზიანი (იხ. *Markt Intern Verlag GmbH and Klaus Beermann v. Germany*, 1989 წელი).

53. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ევროპული კონვენციის სისტემის სუბსიდიური ხასიათიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ხაზს უსვამს ნეფრი სახელმწიფოების თავისუფლებას შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლებრივი საკითხები (შეადრ: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, რედ. კონსტანტინე კორკელია, 2011წ. გვ.115). ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ ცილისწამებასთან დაკავშირებით რეპუტაციის დაცვაზე სათანადო მხარედ შეიძლება მოგვევლინონ იურიდიული პირებიც, თუმცა, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფლება, შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ სამართლის სუბიექტის რეპუტაციის დაცვის საკითხი, როდესაც სადავო ხდება ცილისწამებიდან გამომდინარე მოთხოვნების წარმატება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამგვარ შემთხვევაშიც მკაცრად უნდა იქნეს დაცული პროპორციულობის პრინციპი, რამდენადაც სხვაგვარად შეიძლება ხელყოფილი იქნეს გამოხატვის თავისუფლება (მდრ: გამოხატვის თავისუფლება, ევროპის საბჭო, 2005 წ. გვ.34).

54. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები (შემდეგში – სპეციალური კანონი).

55. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში რეგლა-

მენტირებულია პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმი. ნორმის დანაწესით, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამ უფლებების რეალიზაცია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებთან ერთად, შესაძლებელია სპეციალური კანონით – „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად დაადგინა, როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ“ პუნქტი (ამ კანონის მიზნებისათვის კერძო პირია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო), მე-6 მუხლის პირველი პუნქტით (პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით), რაც შეეხება მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით... „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. „ცილისწამება, სპეციალური კანონიდან გამომდინარე, კერძო პირს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო ორგანო, ამავე კანონის თანახმად, საჯარო პირია სპეციალური კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირი...“ (იხ., ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, მუხლი 18, ველი 56, 2017, 124).

56. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელე, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირს, ითხოვს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობების იმავე საშუალებით უარყოფას, რომლითაც

მოხდა საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობების გავრცელება (იხ., ამ განჩინების პ.1).

57. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იურიდიული პირის მიმართ დიფამაციური განცხადების გავრცელების საკითხის შეფასებისას უნდა გაიმიჯნოს მოდავე სუბიექტის კანონით დაცული ის არაქონებრივი უფლებები, რომელთა ხელყოფამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იურიდიული პირი გათანაბრებულია ფიზიკურ პირთან ყველა იმ უფლებაში, რომელიც თვისობრივად არ უკავშირდება ადამიანს. პიროვნულ უფლებათაგან ნაწილი იურიდიულ პირს შეიძლება მხოლოდ მოდიფიცირებული ფორმით გააჩნდეს შეადრ (სუსგ №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015 წელი). იმისათვის, რათა გადაწყდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი, პასუხი უნდა გაცეს მთავარ კითხვას: რა არის საქმიანი რეპუტაცია?

58. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელთაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, საქმიანი რეპუტაციის შელახვა, რასაც სსკ-ის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, მიმართული უნდა იყოს პირის მიერ განხორციელებული (ან განსახორციელებელი) საქმიანი ოპერაციებისათვის. ასეთი ხელყოფით პირს შეიძლება მიაღდეს მატერიალური ზიანიც, ე.ი ხელიდან გაუშვას მოგება, დაეკარგოს კლიენტი და სხვა“ (იხ. სუსგ-ები №ას-1084-1034-2014, 11 მაისი, 2015; №3/კ376-01, 18 ივლისი, 2001 წელი). მითითებული განმარტების იურიდიული პირის მიმართ მოდიფიცირებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი რეპუტაციის შელახვა სახეზეა მაშინ, თუ გავრცელებული ცნობები ზეგავლენას ახდენს და ეწინააღმდეგება პირის მიერ შერჩეულ საკუთარ „საბაზრო სახეს“, ანუ კომერციულ შეხედულებას, რომლის დამკვიდრებაც იურიდიულ პირს სურს საზოგადოებაში და გავრცელებული ინფორმაცია მას მესამე პირებთან საქმიან ურთიერთობებში განაცდევინებს მარცხს. „ნებისმიერი იურიდიული პირი სარგებლობს სახელის დაცვის საყოველთაო წესებით, რომლის შესახებაც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის მე-18 მუხლი და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება მე-18 მუხლით დადგენილი წესები“ (ირაკლი ბურდული, სამოქალაქო

კოდექსის კომენტარი, ნიგნი 1, მუხლი 27, ველი 22, 2017, 217).

59. ამდენად, უდავოა, რომ იურიდიული პირის დაცულ არაქონებრივ უფლებას წარმოადგენს საქმიანი რეპუტაცია, რომლის შესახებაც გამო, შესაძლოა განხილულ იქნეს მოპასუხის პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, როგორც ამავე განჩინებით განიმარტა ამისათვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ცილისწამებას.

60. განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის წინაპირობების შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

61. საკასაციო პალატა ხაზს უსვამს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით (აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო), თავად სპეციალური კანონის მე-3 მუხლის პირველი (სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით) და მეორე ნაწილით (ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს: ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;...), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (შემდეგში – საერთაშორისო პაქტი) მე-19 მუხლი (თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს მოსაზრებები ვინმეს ჩარევის გარეშე) და ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის (შემდგომში – კონვენცია) მე-10 მუხლით გარანტირებულ გამოხატვის თავისუფლების უფლებას, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია და ემსახურება როგორც თავად დემოკრატიული საზოგადოების, ისე – ინდივიდის ინტერესებს, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები (დამატებით იხ. სპეციალური კანონის მე-2 მუხლი: ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად).

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად: (i) გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძ-

ველს და ერთ-ერთ ძირითად პირობას მისი პროგრესისა და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციისათვის. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, იგი ეხება არა მხოლოდ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომლებიც დადებითი, არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელოა, არამედ შეურაცხყოფელ, შოკისმომგვრელ ან შემაწუხებელ ინფორმაციას, ან იდეებს. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ლიბერალური აზროვნების მოთხოვნები, რომელთა გარეშე „დემოკრატიული საზოგადოება“ არ არსებობს. მე-10 მუხლის შესაბამისად, თავისუფლება ექვემდებარება გამონაკლისებს, რომლებიც ... უნდა განიმარტოს მკაცრად, თუმცა, რაიმე სახის შეზღუდვის საჭიროება დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს...

63. (ii) ზედსართავი სახელი „აუცილებელი“, 10.2 მუხლის მნიშვნელობით, გულისხმობს „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობას. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილების გარკვეული ფარგლები ამგვარი საჭიროების არსებობის შესაფასებლად, თუმცა, ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ ზედამხედველობასთან, რომელიც ეხება როგორც კანონმდებლობას, ისე კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუნდაც ისინი დამოუკიდებელი სამართლოს მიერ იყოს გამოტანილი.

64. (iii) სასამართლომ უნდა განიხილოს სადავო ჩარევა მთლიანი საქმის კონტექსტის ჩრილში და დაადგინოს, იყო თუ არა ის „ლეგიტიმური მიზნის თანაზომიერი“ და რამდენად „სათანადო და საკმარისია“ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ აღნიშნული ჩარევის დასაბუთებისათვის მოყვანილი მიზეზები. სასამართლომ უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენეს სტანდარტები, რომლებიც შესაბამებოდა მე-10 მუხლით განსაზღვრულ პრინციპებს და დაეყრდნენ შესაბამისი ფაქტების მისაღებ შეფასებას...“ („ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1976 წლის 7 დეკემბერი, სერია A, №24), „სტოლი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ([დიდი პალატა] N 69698/01, § 101, ECHR 2007-V), „ცხოველთა უფლებების დამცველები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ [დიდი პალატა] N 48876/08, §100, ECHR 2013).

65. საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლებაზე ყოველი ადამიანის უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებულ ვალდებულებებსა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. შესაბამისად, იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის. მიჩნეულია, რომ

აზრის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება ორი სხვადასხვა უფლებაა. აზრის თავისუფლება მიჩნეულია კერძო საკითხად, რომელიც გონების სფეროს განეკუთვნება, ხოლო გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს საზოგადოებრივ ანუ, ადამიანთა შორის ურთიერთობების საკითხს. ამდენად, აზრის თავისუფლება, აბსოლუტურად იქნა მიჩნეული, რომელიც გამოხატვის თავისუფლები-საგან განსხვავებით, არ ექვემდებარება შეზღუდვებს. შესაბამისად, საერთაშორისო პაქტი ავალდებულებს სახელმწიფოებს თავი შეიკავონ აზრის თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევისაგან, აგრეთვე, აუკრძალონ კერძო პირებს ამის განხორციელების საშუალება (გამოხატვის თავისუფლება, ევროპის საბჭო, 2005, 24, 25).

66. აზრის თავისუფლების დაცვის სტანდარტის ხაზგასასმელად აღსანიშნავია, რომ თავის გადაწყვეტილებებში საქმეებზე ლინგენ-სი ავსტრიის წინააღმდეგ (*Lingens v. Austria*, 8 July 1986, §46, Series A no. 10) და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ (*Oberschlick v. Austria* (no.1), 23 May 1991, §63 Series A no. 204) სტრასბურგის სასამართლომ ზღვარი გაავლო ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას შორის და აღნიშნა, რომ ფაქტის არსებობა შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაშინ როცა შეფასებითი მსჯელობის სიმართლე შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს. ამიტომ შეფასე-ბის სიმართლის დამტკიცება არ შეიძლება ვინმეს დაევალოს. ეს შეეწინააღმდეგებოდა თავად გამოხატვის თავისუფლების არსს (*De Haes and Gijssels v. Belgium*, 24 February 1997, §42, Reports-I). თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩ-ნეული, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობა შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, არსებობს თუ არა ასეთი შეფასებისათვის საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“. თუ საკმა-რისი ფაქტობრივი საფუძველი არ არსებობს, მაშინ შეფასება შეიძ-ლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და მიჩნეულ იქნეს, როგორც „გადაჭარბებული“ (*De Haes and Gijssels*, § 47; *Oberschlick v. Austria* (no. 2), 1 July 1997, § 33, Reports 1997-IV; *Brasilier v. France*, no. 71343/01, § 36, 11 April 2006; and *Lindon, Otchakovsky-Laurens and July*, § 55). იმისათვის, რომ ფაქტობრივი ბრალდება შეფასებითი მსჯე-ლობისაგან გაიმიჯნოს, აუცილებელია საქმის გარემოებებისა და განცხადების ზოგადი ტონის ანალიზი, იმის მხედველობაში მიღე-ბით (*Brasilier v. France*, no. 71343/01, 11 April 2006, § 37), რომ გამონათ-ქვამები საჯარო ინტერესის საკითხზე, შესაძლებელია, სწორედ აღნიშნულ საფუძველზე (სწორედ აღნიშნულის გამო), უფრო შე-ფასებით მსჯელობას წარმოადგენდეს, ვიდრე ფაქტის შესახებ გან-ცხადებას (*Paturel v. France*, no. 54968/00, 22 December 2005, § 37).

67. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია და კასატორს დასა-

ბუთებული შედეგება არ წარმოუდგენია, იმასთან მიმართებით, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული სადავო გამონათქვამების გარკვეული ნაწილი მიეკუთვნა მოპასუხეთა მოსაზრების სფეროს („აზრი“), რომელიც მიეკუთვნა რა გონების სფეროს მასში ჩარევა დაუშვებელია. შესაბამისად, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნულთან მიმართებით აღარ გამოიკვლიეს გავრცელებული ცნობების მართებულობის საკითხი (იხ., ამ განჩინების პ. 47).

68. რაც შეეხება სადავო გამონათქვამების იმ ნაწილს, სადაც საუბარია შემდეგ საკითხებზე (შრომის პირობებზე): „არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას. არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია შრომას არ გვინაზღაურებს; კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, საწყობის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს“, მიეკუთვნა ფაქტის (დადასტურებადი ან უარსაყოფი ინფორმაცია) სფეროს. პრეცედენტული სამართლის თანახმად ფაქტების არსებობა შეიძლება დადასტურდეს („ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1986 წლის 8 ივლისი, §46, სერია A, №10 და „ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ“, (№1), 1991 წლის 23 მაისი, §63, სერია A, №204). სასამართლო ხშირად აღნიშნავს, რომ „ის საბაზისო ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება შეხედულება, შესაძლებელია დამტკიცებულ იქნეს, შეესაბამება თუ არა სიმართლეს“ (გამოხატვის თავისუფლება, თბ., ევროპის საბჭო, 2005, 60).

69. შესაბამისად, საკასაციო პალატა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმებს გავრცელებული გამონათქვამების მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს გამოხატვისა და თავისუფლების შეზღუდვას სხვათა უფლებების დასაცავად. ამასთანავე, ევროპული კონვენციის მსგავსად, იგი მიუთითებს „სხვათა რეპუტაციაზე“, რასაც აშკარად იცავს პაქტის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკანონმდებლო დაცვა არასწორი მტკიცებებით პატივისა და რეპუტაციის განზრახ ხელყოფის წინააღმდეგ. ცილისწამება, რომელიც ეფუძნება სწორ ფაქტებს ან არ ხორციელდება განზრახ, არ ხდება მე-17 მუხლის დაცვის სფეროში (გამოხატვის თავისუფლება, ევროპის საბჭო, 2005, 34).

70. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც გათვა-

ლისწინებულის კონსტიტუციის 17.5 მუხლით გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. ძირითადი უფლებისადმი წაყენებული ეს მოთხოვნა ეხება არა მარტო კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს, არამედ იგი საერთოდ უფლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელი პრინციპია. ერთი ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის უფლება იწყება. აღნიშნული კონსტიტუციური აქსიომა განონასწორებული, დაბალანსებული და მშვიდობიანი ღირებულებითი ურთიერთობების წინაპირობაა. გამოხატვის თავისუფლება იმდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომ თავისუფალი საზოგადოების არსებობა მის გარეშე წარმოუდგენელია. ვინაიდან მას ახორციელებს სამართლის თავისუფალი სუბიექტი, თავისუფალ ნებაზე დამყარებით, შესაბამისად მეტია იმისი ალბათობაც, რომ მოხდეს იმ სადემარკაციო ხაზის გადალახვა, რომლის იქით იწყება ასევე კონსტიტუციით დაცული სხვა ადამიანის უფლება და ღირსება. გამოხატვის ძირითადი უფლება დაკარგავს თავის არსს, თუკი მას მოეხსნება შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. გამოხატვის თავისუფლების დროშით სხვათა უფლებებში გადამეტებული შეჭრა უნდა განვიხილოთ კონსტიტუციის უხეშ დარღვევად. გამოხატვის თავისუფლება სხვათა უფლებებით დეტერმინირებული და მიზეზშედეგობრივად განპირობებული უფლებაა. ნებისმიერი ძირითადი უფლება უფლებრივი წესრიგის ნაყოფია და, შესაბამისად, მისი მოქმედების ფარგლები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ზიანი არ მიადგეს ამ წესრიგს. სხვათა უფლებებისა და ღირსების შელახვის ფაქტის დადგენისას სასამართლოებმა ყოველი კონკრეტული შემთხვევა ეგზისტენციურად უნდა შეაფასოს და ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით დაადგინოს, კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა თუ არა თავისუფლების დასაშვები ფარგლებიდან გადახვევა. ამდენად, სხვათა უფლებების და ღირსებების დაცვა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებისათვის დანესებულ კონსტიტუციურ საპირწონეს (შეადრ: *Sunday Times v. UK*, A30 (1979); 2 EHRR 245 para 49 PC). სხვათა რეპუტაციისა და უფლებების დაცვა არის „კანონიერი მიზანი“, რომელზეც ყველაზე ხშირად მიუთითებს ეროვნული ხელისუფლება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას.

71. სპეციალური კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვინაობა მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს,

ხოლო ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, კანონით შეიძლება დაწესდეს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება, თუ ეს ეხება ცილისწამებას.

72. სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით, ცილისწამება – არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადებაა.

73. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე (კასატორი) მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული გამონათქვამი არასწორია (იხ., საკასაციო საჩივარი). შესაბამისად, საკასაციო პალატის შეფასების საგანია წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეიცავს თუ არა სადავო გამონათქვამები სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტებს და ამდენად, წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის (კასატორი) ცილისწამებას.

74. ზემოაღნიშნული საკითხის გასარკვევად საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე და მიუთითებს სპეციალური კანონის მონესრიგებაზე, კერძოდ, სპეციალური კანონის მე-7 მუხლის პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების მიხედვით. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. სპეციალური კანონის მე-13 მუხლი ეძღვნება კონკრეტულად ცილისწამების პროცედურულ მონესრიგებას. ნორმის დანაწესით პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა.

75. საქართველოს კანონმდებლობა დიფამაციის (ცილისწამება) საკითხის გადაწყვეტისას პრიორიტეტს გამოხატვის თავისუფლებას ანიჭებს. „საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს, გამორიცხავს ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას არაერთ შემთხვევაში. გარდა ამისა, დადგენილია პრინციპი, რომ ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს გამოხატვის თავისუფლე-

ბის შეზღუდვის საწინააღმდეგოდ და, მაშასადამე, რეპუტაციის უფლების საზიანოდ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სასამართლო პროცესზე მტკიცების ტვირთი ეკისრება რეპუტაციაშელახულ პირს; მას ევალება დაამტკიცოს, თანაც უტყუარად, რომ განცხადება შეიცავდა ცილისწამებას; მტკიცების ტვირთის მოსარჩელისათვის დაკისრება, ფაქტობრივად, გულისხმობს ერთგვარი პრეზუმფციის დაშვებას, რომ სახელის გამტეხი ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, სანამ მოსარჩელე არ დაამტკიცებს საწინააღმდეგოს. ასეთი პრეზუმფციის დაშვება ძნელად თუ შეესატყვისება ადამიანის პატივის „ხელშეუვალობას“, რაც კონსტიტუციის მე-17 მუხლით არის გარანტირებული. კანონის ამგვარი მომწესრიგება ნათელყოფს, რომ იგი მეტადაა ორიენტირებული სიტყვის თავისუფლების უფლების დაცვაზე, ვიდრე მის შეზღუდვაზე (შეადრ: *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254 (1964)). ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება (პუბლიკაციის გამოქვეყნება, საჯაროდ ტელევიზიით გამოსვლა და ა.შ), რის გამოც, მოსარჩელემ სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარია და სინამდვილეს არ შეესაბამება. სარჩელის სასამართლოში წარდგენისას მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს შემდეგი: ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ, იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას. შესაბამისად, დიფამაციური სარჩელების განხილვისას, მოსარჩელისთვის დაკისრებული მტკიცების საგანი ამ სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისაგან. შესაბამისად, მტკიცების სტანდარტი ითვალისწინებს შეზღუდვის უტყუარ მტკიცებულებებზე დამყარებას, ხოლო მტკიცების ტვირთს აკისრებს შეზღუდვის ინიციატორს. მომჩივანს (შეზღუდვის ინიციატორი), იმისათვის, რომ მიიღოს სასამართლოსაგან ზიანის ანაზღაურება, ინფორმაციის უარყოფა ან სხვა კანონით გათვალისწინებული ღონისძიება, ევალება საკმარისი მტკიცებულებების წარდგენა, რათა უარყოს გავრცელებულ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის სისწორე. ამ მოცემულობაში, მას შემდეგ, რაც მოსარჩელე დაძლევა კანონით დაკისრებულ ზემოხსენებულ ვალდებულებას, ბუნებრივია, მათი გაქარწყლების საშუალება სადავო განმცხადებლის ავტორს ეძ-

ლევა (დიფამაციურ სარჩელებზე მტკიცების სპეციალური წესის შესახებ იხ., ილონა გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, თბილისი, 2020 წელი, რედაქტორები: ზურაბ ძლიერიშვილი, ნუნუ კვანტალიანი, გვერდი: 246-255).

76. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გამონათქვამი: „არ გვაქვს ოფიციალური შესვენება და ერთმანეთის შეცვლის ხარჯზე დაახლოებით 15 წუთის მანძილზე ვახერხებთ სამუშაო ადგილის დატოვებას“, კასატორის მიერ შედავებულია იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა 30 წუთიან შესვენებას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მითითება შრომითი ხელშეკრულების იმ დანაწესზე, რომლითაც დასაქმებულებს დადგენილი ჰქონდათ ყოველდღიური შეესვენება, ვერ გახდება სადავო გამონათქვამის უსწორობის გაქარწყლების საფუძველი, რამეთუ სადავო შემთხვევაში, გაქარწყლებული უნდა ყოფილიყო რამდენად ეძლეოდათ შესაძლებლობა დასაქმებულებს გამოეყენებინათ კუთვნილი შესვენების დრო დატვირთული სამუშაო გრაფიკის ფონზე.

77. ამ გარემოებს დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს სარჩელზე არ დაურთავს. მოგვიანებით, მოსარჩელემ სასამართლოში წარმოადგინა ე.წ. ტაბელები (იხ., სხდომის ოქმი), რომელშიც მითითებულია დასაქმებულების მიერ საერთო ჯამში შესრულებული სამუშაოს ხანგრძლივობა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადავო გარემოება, მოსარჩელის მიერ კონკრეტული არგუმენტით გაქარწყლებული არ იყო.

78. სადავო გამონათქვამია „არ გვაქვს გამოყოფილი დრო და სივრცე კვებისათვის“. ამ ნაწილში, გამონათქვამის სინამდვილესთან შეუსაბამობის დასადასტურებლად კასატორს კონკრეტული შედავება არ წარმოუდგენია. გავრცელებული ინფორმაციის უარსაყოფად კასატორი შემოიფარგლება იმაზე მსჯელობით თუ როგორი უნდა იყოს კვებისთვის გამოყოფილი სივრცე, თუმცა, კონკრეტულად ვერ აქარწყლებს იმაზე მითითებას, რომ კვებისათვის განკუთვნილი სივრცე დასაქმებულებისათვის გამოყოფილი არ არის.

79. სადავო გამონათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ გვინევს ზეგანაკვეთური შრომა და ღამე მუშაობა, ადმინისტრაცია შრომას არ გვინაზღაურებს“. ამ ნაწილში, კასატორი აღნიშნავს, რომ დასაქმებულებთან გაფორმებული კონტრაქტი ითვალისწინებდა შესაბამის პუნქტს, ხოლო დასაქმებულ პირთა ანგარიშზე ჩარიცხვები ადასტურებს ხელშეკრულებაში ფიქსირებულ ანაზღაურებაზე მეტი თანხის ჩარიცხვას. აქვე კასატორი მიუთითებს სხვა სასამარ-

თლო დავაზე და აღნიშნავს, რომ სასამართლომ განიხილა დავა იმავე მხარეებს შორის, სადაც დადგენილია, რომ ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება დასაქმებულებს მიღებული აქვთ. საკასაციო საჩივარში კასატორი მიუთითებს, რომ წარმოადგენს მითითებულ გადანყვეტილებას (შპს „ბ-ი“ – ა. ზ-ძე; შპს „ბ-ი“ – ლ. ც-ი). მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა ვერ წარმოადგინა ამავე პუნქტში მითითებული სადავო გამონათქვამის სინამდვილესთან შეუსაბამობის დასადასტურებლად შესაბამისი მტკიცებულება, მას არც სასამართლო გადანყვეტილება წარმოუდგენია, ხოლო რაც შეეხება კასატორის მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასაქმებულებთან გაფორმებული კონტრაქტის შესაბამისი პუნქტი ითვალისწინებდა ზეგანაკვეთურ სამუშაოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადავოა არა შრომითი კონტრაქტის დებულება, არამედ ის გარემოება რეალურად ანაზღაურდებოდა თუ არა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დრო და ამგვარად, გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა სინამდვილესთან შეუსაბამო გარემოებას.

80. სადავო გამონათქვამია „კონსულტანტებს გვინევს ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება, ერთდროულად ვასრულებთ კონსულტანტის, მოლარის, დამლაგებლის, სანყობის მთვლელისა და მტვირთავების ფუნქციებს“. ამ გარემოების უარსაყოფად კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე კომპანიაში არის სხვადასხვა პოზიციები, მათ შორისაა, მენეჯერის, უფროსი კონსულტანტის, კონსულტანტის, უსაფრთხოების სამსახურის მენეჯერის, უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრატორის, დამლაგებლის და მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებს ყველა სამუშაოს შესრულება არ ევალებოდათ. საკასაციო პალატა კასატორის მითითებულ პოზიციას ვერ მიიჩნევს სადავო გამონათქვამის საპირწონედ, იქიდან გამომდინარე, რომ აქ სადავოა არა ის გარემოება არსებობდა თუ არა სადავო პოზიციები მოსარჩელე კომპანიაში, არამედ უწევდათ თუ არა მოპასუხეებს მტვირთავის, მოლარის დამლაგებლის და შესაბამისად, ერთდროულად ყველა ტიპის სამუშაოს შესრულება. ამასთან, სარჩელში კასატორი უთითებდა, რომ მაღალია აღჭურვილია შესაბამისი ვიდეო კამერებით. შესაბამისად, ყოველდღიური ფუნქციური დატვირთვის ფაქტის მტკიცების ნაწილში მოსარჩელეს შეეძლო შესაბამისი ამსახველი დოკუმენტის წარდგენა, რაც მისი მხრიდან არ განხორცილებულა.

81. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო გავრცელებული განცხადებებით მისი საქმიანი რეპუტაციის შელახვის დამტკიცება, რაც „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შეზღუდვის ინიციატორს ეკისრებოდა. ამავდროულად, დადგენილია, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.

82. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები.

83. ამასთან, საკასაციო საჩივარი არ შეიცავს რაიმე პრეტენზიას გასაჩივრებული განჩინებით სარჩელში დასახელებული გარემოებების იურიდიული თვალსაზრისით შეფასებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომელიც ეფუძნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილურ პრაქტიკას.

84. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

85. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

86. საკასაციო საჩივრის დამკამყოფილებაზე უარის თქმის პირობებში კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 17 თებერვლის განჩინება;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ცილისნამებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

გავრცელებული ცნობების უარყოფა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-797-2022

25 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების
უარყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2019 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-იას (შემ-
დეგში: სკოლის დირექტორი) სარჩელი მ. კ-ის (შემდეგში: მოპასუ-
ხე, აპელანტი ან კასატორი) მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:

1.1. მოპასუხეს დაეკისრა ცნობის გამოქვეყნება სასამართლო
გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი ფორმით: „სიცრუეა, რომ ნ.
ჯ-ია არის 4-ჯერ ნასამართლევი; სიცრუეა, რომ ნ. ჯ-ამ მ. კ-ის 6
წლის შვილები სკოლიდან გამოყარა“;

**2. შპს „ბ-ქ.ა-ის“ სარჩელი (შემდეგში: სკოლა) იმავე მოპასუ-
ხის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ:**

2.1. მოპასუხეს დაეკისრა ცნობის გამოქვეყნება სასამართლო
გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი ფორმით: „სიცრუეა, რომ და-
ზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს
ემსახურება; სიცრუეა, რომ ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ
პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯან-
მრთელ საკვებს; სიცრუეა, რომ ავტობუსის მომსახურებაში მშობ-
ლები დამატებით 700 დოლარს იხდიან; სიცრუეა, რომ ბ-ქ. ა-ა არის
დისკრიმინაციული, არაეთიკური სკოლა; სკოლა სადაც ყვავის დის-
კრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“;

3. მოსარჩელების: სკოლის დირექტორისა და სკოლის სხვა
მოთხოვნები წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და-
სახელებული მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა; ასევე არ დაკ-
მაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნები მოპასუხე იურიდიული პი-

რების: შპს მედია ჯგუფი „მ-მი“, შპს „ე. ნ-ი“, შპს „პ-ი“, შპს „დ.ჯ.“ წინააღმდეგ;

4. მოპასუხეს, სკოლის დირექტორის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი) ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

5. მოპასუხეს, სკოლის სასარგებლოდ, სახელმწიფო ბაჟის – 50 (ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება:

7.1. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ 2017 წლის 23 თებერვალს სოციალურ მედიაში „ფეისბუქი“, თავის პერსონალურ გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება („პოსტი“): „ბ ქართული სკოლა. ვითომ პრესტიჟული, ყველაზე ძვირიანი სინამდვილეში აღმოჩნდა ყველაზე დისკრიმინატორული და არაეთიკური სკოლა. გაცივანი უამრავი უკმაყოფილო მშობელი და ვინც მათ მობილიზებას და ფარდის ახდას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში ეს სკოლა. ვისაც არ ვიცნობ ისინიც გამომეხმარეთ. ინგლისური არაა ხალხო მთავარი. ამ სკოლას საერთოდ არ გააჩნია ადამიანური ღირებულებები. რას ასწავლიან ბავშვებს თუ არ მოგწონს დაახვიეს? სხვას არ მოუხსნინო იმას? დისკრიმინაციას და იმას რომ ავტობუსი თუ ფუჭდება ქართველი ბავშვისთვის ფუჭდება და უცხოელ ბავშვს მაინც ემსახურება? იმას რომ ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ ფრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ healthy food-ს? ესაა ის ღირებულებები რაზეც გინდათ თქვენი შვილები გაიზარდონ პრესტიჟის სახელით?“;

7.2. მოპასუხემ 2017 წლის 25 თებერვალს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა განცხადება („პოსტი“), სადაც მითითებულია შემდეგი გამონათქვამები: „4000 დოლარად ღირებული პრესქული (ერთ ბავშვზე), სინამდვილეში ჩვეულებრივი ბალია“; „ბავშვები კი, ძირითადად მუხლებზე ხოხვით არიან დაკავებული ისეთი ინტენსივობით, რომ ყოველ საღამო მუხლებდაგლეჯილი შარვლით ბრუნდებიან“; „უკმაყოფილო მშობლებისადმი სკოლის მენეჯმენტის დამოკიდებულება კი ასეთია: თუ არ მოგწონთ მიბრძანდით“; „თავად იყვნენ ნიმუშები ადამიანების უპატივცემულობისა და მოსმენის უუნარობისა“; „რომელიმე ავტობუსი თუ გაფუჭდება, ავტობუსი აღარ ემსახურება ქართველ

ბავშვებს, ემსახურება მხოლოდ უცხოელ ბავშვებს“; „უცხოელი ბავშვების მენიუ არის სხვა, ჯანსაღი პროდუქტებით შედგენილი, ხოლო ქართველ ბავშვებს „ჩუდოს“ იოგურტებით კვებავენ“; „სკოლა მასწავლებლებისადმიც ავლენს იგივე დამოკიდებულებას. კაბალურ პირობებში ამუშავენ ქართველ მასწავლებლებს მიზეზურულ ხელფასებზე... ხოლო თუ ვინმე კონსტრუქციულ საყვედურს გამოთქვამს, თუ არ გინდა მიბრძანდი მომზადებული აქვს სკოლის დირექტორს“; „ჩვენ არ გაგვაჩნია საშუალებები რომ მისი სპეციფიური საჭიროებები დავაკმაყოფილოთ დასკვნა. როგორც ჩანს ელემენტარულ ტერმინებში ვერ ერკვევიან და განვითარების 1 წლით ჩამორჩენა უნარშეზღუდულობაში ემუდბათ“;

7.3. მოპასუხემ 2017 წლის 28 თებერვალს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა განცხადება („პოსტი“), სადაც მითითებულია შემდეგი გამონათქვამები: „სკოლის დირექტორს კი ნ. ჯ-იას ახასიათებენ როგორც ფსიქიკურად არამდგრად ადამიანს“; „3-ჯერ თუ 4-ჯერ ყოფილა ნასამართლევი და კრიმინალები არიან მაშ ვინ არიან“; „სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია“; „სკოლა, საიდანაც სკოლის დირექტორმა ნ. ჯ-იამ ჩემი 6 წლის შვილები გამოყარა“; „მშობლებს მედიასთან ურთიერთობა კონტრაქტით აკრძალული რომ გვაქვს“; „სკოლის დირექტორი ნასამართლევი რომაა“; „სასამართლო მოუფო მაგ სკოლას იმის გამო რომ ბავშვს მოუგონეს ფსიქიკური ავადმყოფია და საშუალო“; „სკოლა ... კადრულობს ცილისნამებას, სკოლა... 7 წლის ბავშვს უგონებს რომ შიზოფრენიკია იმიტომ რომ მისმა დეიდამ პროტესტი გამოთქვა ... სკოლა ... არაერთ მშობელთან სასამართლო წააგო, სკოლა ... კონფლიქტის მოგვარების ნაცვლად სკანდალის და კონფლიქტის გაღვივებაზე ხარჯავს მთელს რესურსს, სკოლა ... მასწავლებელს აგდებს იმის გამო, რომ ... სკოლამ ამ მასწავლებლის კლასში მყოფ ბავშვის მშობელთან სასამართლო წააგო“; „ფაშისტები არიან“; „მშობლებს კონტრაქტში თუ კოდექსში უნერდნენ მედიასთან არ იურთიეთობო“; „ნახევარმა სკოლამ გადაიყვანა ... ვაგებინებთ ეხლა სხვებს რომ შეცდომები არ დაუშვან და მანდ შვილები არ მიიყვანონ“;

7.4. მოპასუხემ 2017 წლის 1 მარტს სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ პირად გვერდზე საჯაროდ გამოაქვეყნა განცხადება („პოსტი“), სადაც მითითებულია შემდეგი გამონათქვამები: „ნ. ჯ-იას მ. პ-ვით მედია სერიების ახალ ვარსკვლავად ვაქცევ“; „ნ. ჯ-იას მედია სერიების ახალ ვარსკვლავად ვაქცევ“;

7.5. სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მედია ჯგუფ „მ-მის“ გვერდზე 2017 წლის 7 მარტს გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ელიტარული სკოლა“ თბილისში, სადაც ირღვევა ქვეყნის კონსტიტუცია“.

სტატიაში მითითებულია შემდეგი გამონათქვამები: „სკოლაში ირ-
ღვევა ბავშვების უფლებები, საქმე გვაქვს არასრულწლოვანი მოს-
წავლეების დისკრიმინაციასთან“; „... სკოლა თავისი შიდა რეგულა-
ციებით და შემუშავებული კანონებით არღვევს ქვეყნის კონსტი-
ტუციას“; „ფინანსური რესურსი, რომელსაც აღნიშნული სკოლა
მათგან იღებს, არასათანადოდ ხმარდებათ მოსწავლეებს“; ... ეს
არის სკოლა, სადაც ყვავის დისკრიმინაცია“; „სკოლა არც დაინტე-
რესდა და ორწინადადებიანი ელექტრონული წერილი მომწერეს:
უკაცრავად, ჩვენ პრე-სკოლაში ბავშვებს ვსვამთ ასაკის მიხედ-
ვით, ამიტომ ბავშვებს ვერ მივიღებთო. გარდა ამისა, წერდნენ, რომ
მათ არ აქვთ ის სპეციალური საჭიროებები“; „სკოლა ტერმინებშიც
ვერ ერკვევა და ჩათვალეს, რომ ბავშვი იყო უნარშეზღუდული“;
„სკოლის დირექტორი ნ. ჯ-ია ხისტი, შეუგნებელი პიროვნებაა“;
„როგორც მშობლებმა მითხრეს, უცხოელ ბავშვებს აქვთ მეტი უპი-
რატესობა, ვიდრე ქართველ ბავშვებს. ავტობუსი თუ ფუჭდება,
უცხოელ ბავშვებს მაინც ემსახურება, ქართველს კი – არა“; „ქარ-
თველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ, უცხოელებს კი ჯანსაღ საკვებს
უმზადებენ“; „ნ-გან (სკოლის დირექტორი) დალაპარაკება და სა-
წინააღმდეგო აზრი ნიშნავს იმას, რომ თუ არ მოგწონს – წადი. თუ
გადაწყვეტ წასვლას. გამოგდებოდა უკვე ბავშვი“; „სწავლის ხა-
რისხი აღნიშნულ სკოლაში დაბალია“; „მისი (მშობლის) თქმით, მან
3 წლის წინ ბავშვის დისკრიმინაციისთვის ნ. ჯ-იას სასამართლოში
უჩივლა და აღნიშნული საქმე მოიგო“; „სკოლის ფსიქოლოგმა სასა-
მართლოზე გამოაცხადა, რომ ჩემი შვილი არის შეურაცხადი, გა-
რემოსათვის საშიში“; „სკოლის მეპატრონეებმა ჭკუა მაინც ვერ ის-
წავლეს და განაგრძობენ ამაზრზენად მოქცევას“ – ნერს მ. გ-ლი“;
„ავტობუსის მომსახურებაში ცალკე 700 დოლარს ვიხდით, მაგრამ,
თუ ავტობუსი გაფუჭდება, მხოლოდ ბრიტანელ ბავშვებს ემსახუ-
რება, ქართველებს კი – არა“; „მშობლების ინფორმაციით, კლასში
ჰყავთ მასწავლებლის დამხმარე ასისტენტები, რომელთა ხელფა-
სი 270 ლარია, იმის ფონზე, როდესაც კლასში დაახლოებით 20 ბავ-
შეა. ასევე, მათი ინფორმაციით, პირველკლასელებს გაკვეთილებს
შორის შესვენებები არ აქვთ“. ეს სტატია მოპასუხემ 2017 წლის 7
მარტს თავის „ფეისბუქ“ გვერდზე გაავრცელა;

7.6. საინფორმაციო სააგენტო „პ. გ“-მ 2017 წლის 2 მარტს გამო-
აქვეყნა სტატია სათაურით „სკოლა, სადაც ყვავის დისკრიმინაცია
და დირექტორი ნასამართლევა ... გააზიარეთ!“;

7.7. საინფორმაციო სააგენტო „ე-მა“ 2017 წლის 28 თებერვალს
გამოაქვეყნა ინფორმაცია მოპასუხის „ფეისბუქ“ გვერდზე 2017
წლის 28 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადების შესახებ სა-
თაურით: „მ. კ-ი – ... სკოლის დირექტორი 4-ჯერ ნასამართლევა“;

7.8. საინფორმაციო სააგენტო „დ-მა“ 2017 წლის 28 თებერვალს გამოაქვეყნა ინფორმაცია მოპასუხის „ფეისბუქ“ გვერდზე 2017 წლის 28 თებერვალს გამოქვეყნებული განცხადების შესახებ სა-თაური: „ბ-ქ. სკოლის დირექტორი 4-ჯერ ნასამართლევა“;

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგ-ში: სსსკ) 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მითითებულ ნორმათა შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მათ მიერ მიეთითება. სსსკ-ი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს. მხარეს, რომელიც თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს აფუძნებს კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, ეკისრება მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი. სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი, ამ სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდება იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომლის მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“- მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ვინ რა უნდა ამტკიცოს.

9. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის სა-

წინააღმდეგოდ. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობას და აფასებს მათ, როგორც ცილისწამებას. სასამართლომ უნდა დაადგინოს, გავრცელებული ცნობები განეკუთვნება „ფაქტს“, თუ წარმოადგენს ავტორთა „აზრის“ შეფასებითი მსჯელობის ნაწილს. დასახელებული სპეციალური კანონი ამ ტერმინებს განმარტავს შემდეგნაირად: „აზრი“ არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს; ხოლო ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტების შემცველი და პირისთვის ზიანის მიყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება. პირს ეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისთვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელების შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელებს მიადგათ ზიანი. სადავო გამონათქვამების სწორი კვალიფიკაციისთვის უნდა შემოწმდეს მათი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივ კომპონენტებს მოიცავს, რა მიზნით იქნა გასაჯაროვებული.

10. მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპის თანახმად, შეზღუდვის ინიციატორს უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას. მოსარჩელებმა სადავო გამონათქვამები მიიჩნიეს ცილისწამებად, რაც ლახავდა მოსარჩელე სკოლის დირექტორის პატივსა და ღირსებას, ხოლო მოსარჩელე სკოლის – საქმიან რეპუტაციას.

11. მოსარჩელებმა სადავოდ გახადეს შემდეგი გამონათქვამები:

11.1. სკოლის დირექტორის ნაწილში – „ნ. ჯ-ია არის ოთხჯერ ნასამართლევ“ და „ნ. ჯ-ამ მ. კ-ის 6 წლის შვილები სკოლიდან გამოყარა“;

11.2. მოსარჩელე სკოლის ნაწილში – „დაზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს ემსახურება“, „ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯანმრთელ საკვებს“, „ავტობუსის მომსახურებაში მშობლები დამატებით 700 დოლარს იხდიან“, „ქართველ მასწავლებლებს ბ ა-აში ამუშავებენ კაბალურ პირობებზე მიზერული ხელფასით, რომ მასწავლებლის დამხმარე ასისტენტის ხელფასი 270 ლარია“, „ბ-ქ ა-ა არის დისკრიმინაციული არაეთიკური სკოლა;

სკოლა, სადაც ყვავის დისკრიმინაცია; რომ არის სატანიზმის კერა, რომ სკოლას დისკრიმინაციის გამო უჩივლეს და სასამართლო პროცესი წააგო“; „სკოლა კადრულობს ცილისწამებას-დამუქრებასთან დაკავშირებით“; „სწავლის ხარისხი სკოლაში დაბალია“; „მოსწავლეებიდან აღებული ფინანსური რესურსი არასათანადოდ ხმარდებათ მოსწავლეებს“; პირველკლასელებს გაკვეთილებს შორის შესვენებები არ აქვთ“; „სკოლაში ირღვევა ბავშვების უფლებები, რომ საქმე გვაქვს არასრულწლოვანი მოსწავლეების დისკრიმინაციასთან“; „ნახევარმა სკოლამ გადაიყვანა ბავშვები ბ-ქ. ა-იდან“; „ქ-ბ. ა-ა თავისი შიდა რეგულაციებით და შემუშავებული კანონებით არღვევს კონსტიტუციას“; „რომ მშობლებს აკრძალული აქვთ მედიასთან ურთიერთობა“; სადავო გამონათქვამები გავრცელებულია სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ მეშვეობით სხვადასხვა „პოსტებში“ და კომენტარებში;

12. მოსარჩელე მხარემ სასამართლოს წარუდგინა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2017 წლის 29 მაისს გაცემული ნასამართლობის ცნობა, რომლის თანახმადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით მოსარჩელე სკოლის დირექტორი, დაბადებული 26.06.1977 წელს, პ/ნ ..., მცხოვრები სოხუმი, ... არ არის ნასამართლეს და ძებნაში არ იმყოფება;

13. მოპასუხის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მისი 6 წლის შვილები დირექტორმა სკოლიდან გამოყარა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეს ერთვის ელექტრონული წერილები, სადაც მოპასუხე ესაუბრება თბილისის ბ-ი საერთაშორისო სკოლის წარმომადგენელს. ამ წერილებით ირკვევა, რომ მოპასუხის სურვილი იყო, მისი სამი შვილიდან ორს მოსარჩელე სკოლის პრესქულის დასრულების შემდეგ სწავლა განეგრძო თბილისის ბ. საერთაშორისო სკოლაში, ხოლო გოგონას, რომელსაც აღენიშნებოდა მცირე პრობლემები ფსიქოლოგიურ განვითარებაში, იმავე სკოლის პრესქულში. მოპასუხის განცხადებით, ფსიქოლოგის რეკომენდაციის მიხედვით, მისი შვილი (გოგონა) არ არის მზად სკოლისთვის, ვინაიდან მას აქვს სირთულეები სწავლაში და აქვს მცირე პრობლემები ფსიქოლოგიურ განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ეს ორი სკოლა დაკავშირებულია ერთმანეთთან როგორც ძირითადი მიმართულებებით, ისე – ტერიტორიულად (სკოლები მდებარეობს ერთ ეზოში), თუმცა მოსარჩელე სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, ხოლო თბილისის ბ. ... სკოლაში – ინგლისურ ენაზე. უდავოა, რომ თბილისის ბ. ... სკოლაში სკოლამდელი კლასი შედგება ბავშვებისგან, რომლებსაც 4 წელი შეუსრულდათ სასწავ-

ლო წლის 1 სექტემბრამდე, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია, რომ პრესქულში ბავშვების მიღება ხდება ასაკის მიხედვით. თავის მხრივ, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მის შვილებს სწავლის გაგრძელებაზე უარი უთხრეს, ხოლო რაც შეეხება ე—ეს, მოპასუხის განმარტებითაც არ არის რეკომენდებული მისი პირველ კლასში შესვლა, ხოლო სკოლამდელ კლასში მის მიღებაზე თბილისის ბ. ... სკოლის უარი შეესაბამება დადგენილ ასაკობრივ შეზღუდვას. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი სასამართლოს შეფასება, რომ მოპასუხის მიერ გავრცელებული ცნობები არის ცილისწამება, რითაც ილახება მოსარჩელე სკოლის დირექტორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.

14. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, ევროპული კონვენციით გარანტირებული ზოგადი პრინციპია, რომელიც ინდივიდს თვითნებობისაგან იცავს; ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ძირითად ასპექტებს (RUIZ TORIJA v. SPAIN). ამავე დროს, სასამართლო ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, რომ თუკი „ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებანი, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს თითოეულ არგუმენტზე პასუხის გაცემის მოთხოვნად“ (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ). სადავო საკითხი განხილულ უნდა იქნეს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული სამართლის წყაროებთან შესაბამისობის კუთხით და შეფასდეს ყოვლისმომცველად. ამ მიზნის მისაღწევად სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია დემოკრატიული საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი ღირებულების – გამოხატვის თავისუფლების, კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი მოვლენის ზოგადი და ისტორიული შეფასება. ამავე დროს, გამოხატვის თავისუფლება, პერიოდულად შესაძლოა კონფლიქტში შედიოდეს სხვათა უფლებებთან, მაგალითად სხვა პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან; ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ ორი უფლების სწორი ბალანსის საფუძველზეა შესაძლებელი კონკრეტულ საქმეზე მართებული გადანწყვეტილების ჩამოყალიბება.

15. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავის საგანია პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის უარყოფა. ამდენად, შესაფასებელია პირველი ინსტანციის

სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები წარმოშობს თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) მე-18 მუხლითა და წინამდებარე გადანაცვეტილების მე-9 პუნქტში დასახელებული სპეციალური კანონით დაცულ სფეროში იმგვარი ჩარევის აუცილებლობას, რასაც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება მოჰყვება. სააპელაციო საჩივრის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანია მოპასუხის მიერ გავრცელებული განცხადება წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას, რასაც შედეგად მოსარჩელის დისკრედიტაცია და მისთვის მორალური ზიანის მიყენება მოჰყვა. მოპასუხე (აპელანტი) არ ეთანხმება ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს გავრცელებული განცხადებების „ცილისწამებად“ კვალიფიკაციის თაობაზე და მიიჩნევს, რომ არ არსებობს სიტყვისა და მისი გამოხატვის შეზღუდვის წინაპირობები. სსკ-ის 18.2 მუხლით „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია“ გათვალისწინებული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის საფუძველი, შესაფასებელია მოპასუხის მსჯელობა წარმოადგენს „აზრს“ თუ „არსებითად მცდარ ფაქტს“.

16. სააპელაციო სასამართლომ სპეციალურ კანონზე მიუთითა, რომელიც განსაზღვრავს როგორც „აზრის“ (შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს), ისე ცილისწამების (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება) დეფინიციას, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისათვის. სპეციალური კანონის საფუძველზე „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შე-

საძლებელია. ევროსასამართლომ ერთმანეთისაგან განასხვავა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა) და არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას. ... „რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს“ (Lingens v. Austria; Jerusalem v. Austria; Dichand and Others v. Austria).

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად: სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამოიჯენა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიციერების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011, 20.02.2012 წ.). „აზრისა“ და „ფაქტის“ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამოიჯენა საკმაოდ რთულია, ამიტომ სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის

ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტები-საგან შედგება გამონათქვამი (იხ. სუსგ, №ას-1477-1489-2011, 03.04.2012 წ.). ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია (იხ. სუსგ, №ას-179-172- 2012, 01.10.2014 წ.).

18. სააპელაციო სასამართლომ სავსებით გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენადაა მიჩნეული, ხოლო მისი უზრუნველყოფა და დაცვა – დემოკრატიული პროცესების წარმატებით ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო პირობად. ამ მოვლენას ორმაგი ბუნება, ორმაგი დატვირთვა გააჩნია. იგი ერთდროულად მიზანიც არის და საშუალებაც. იგი არა მხოლოდ თავისთავადი სიკეთე და ღირებულებაა, არამედ იმავდროულად სხვა ღირებულებათა დაცვის საუკეთესო გზა. „გამოხატვის“ მოთხოვნილება იმანენტურად ახასიათებს ადამიანს, როგორც მოაზროვნე არსებას. იგი განპირობებულია იმით, რომ გონება ადამიანის ბუნებრივი მონაპოვარია, ხოლო შემეცნების შესაძლებლობა – ამ გონების განუყოფელი ატრიბუტი. სწორედ აქედან წარმოდგება ადამიანის ბუნებითი უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, რომელსაც მას გონება კარნახობს ჭეშმარიტების სახით (თუნდაც ის ცდებოდეს). გამოხატვის თავისუფლება, როგორც საჯარო ინტერესის მიღწევის საშუალება, ნათლად დაასაბუთა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ – უენდელ ჰოლმსმა. მან შექმნა მეტაფორა – „იდეთა თავისუფალი ბაზარი“. ჰოლმსი, ყველაზე უფრო გააფთრებული და მცდარი შეხედულებების გამოთქმის დასჯადობის წინააღმდეგ გამოდიოდა. მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას, მისი ონტოლოგიური ბუნების გამო, სხვა ინტერესებში და უფლებებში შეჭრის დიდი პოტენციალი გააჩნია, რაც თავისთავად გამორიცხავს მის „აბსოლუტურ“ და თუნდაც სავსებით შეუზღუდავ ბუნებას. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ გამოხატვის თავისუფლება ერთდროულად ორმაგი ბუნებისა და ღირებულების მატარებელია და ის სხვა ძირითადი უფლებების რეალიზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნდამენტი, თავისთავად უკიდურესად რთულდება მისი შეზღუდვის, მასში ჩარევის გამართლების ლეგიტიმური გზების მოძებნა და გამოყენება. ამიტომაც, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა თავისთავად გულისხმობს რეალური, ჯანსაღი თავისუფლების დამკვიდრებას, რომელსაც არ ახლავს შიშის გრძნობა და

ერთგვარი მოლოდინი იმისა, რომ გამოხატული შეხედულების გამო ადამიანი შეიძლება დაექვემდებაროს რეპრესიას, დევნას, შევიწროებას ანდა ამაზ დააბრკოლოს მისი პროფესიული წინსვლა თუ კარიერული წარმატება.

19. სპეციალური კანონის მე-2 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. ამდენად, მითითებული დანაწესის შესაბამისად მნიშვნელოვანია სადავო საკითხთან მიმართებით მოხმობილი იქნეს ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რათა შესაძლებელი გახდეს ეროვნული თუ საერთაშორისო კანონმდებლობით საკითხის რეგულირების მიზნების სწორი განმარტება.

20. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მითითებული ნორმის მე-5 პუნქტი კი, შეიცავს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვის ლეგალურ საფუძვლებს, კერძოდ კონსტიტუციით გარანტირებული ღირებულების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, კონსტიტუციის მითითებული დანაწესი და მასში მოცემული შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალი, დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის ფორმულირებაზე: ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად... ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ

საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ამრიგად, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით აღიარებულია სიტყვისა და აზრის ნებისმიერი საშუალებით გამოხატვის თავისუფლება. განსხვავებით აზრის ქონის უფლებისაგან, რომლის შეზღუდვაც როგორც დაუშვებელი, ისე ობიექტურად შეუძლებელიც არის, მისი გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის პირობებში. დაცულ უფლებაში ჩარევა გათვალისწინებულია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც ცილისწამების შემთხვევაში სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვას ადგენს.

21. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (რომელსაც ზოგიერთ შემთხვევაში თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ქცევის ზოგად კოდექსსაც უწოდებენ), განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ძირითადი პოსტულატები, ასევე რეგულირებული და დაცულია თანამედროვე კაცობრიობის არსებობისა და ყოფის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. ამ საერთაშორისო ხასიათის მქონე სამართლის წყაროს მე-19 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას გააჩნდეს საკუთარი აზრი ჩარევის გარეშე, აგრეთვე, თავისუფლებას, მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი მედიის საშუალებით და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი ასევე შეიცავს აზრის, ინფორმაციის, იდეების მოძიების, მიღებისა და გავრცელების უსაზღვრო თავისუფლებას და მხოლოდ ვინაობა განსაზღვრულ და კონკრეტულ პირობებში მიიჩნევს დასაშვებად ამ თითქმის უკიდევანო თავისუფლების შეზღუდვას (სხვათა უფლებების დასაცავად და სხვა). საერთაშორისო სამართლის ე.წ. რეგიონალური მნიშვნელობის – კერძოდ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედ უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის შესაბამისად საქართველოში პირდაპირი მოქმედებს და თანაც ეროვნული კანონმდებლობის ზემდგომი სამართლის წყაროა (საქართველოს კონსტიტუციის გარდა), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული საერთაშორისო სამართლის წყაროს საფუძველზეა დადგენილი ევროპაში გამოხატვის თავისუფლების (FREEDOM OF EXPRESSION) არსისა და ფარგლების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც: 1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება. 2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

22. კონვენციის ამ რეგულაციის (ისევე, როგორც ძირითადი უფლებების დამდგენი სხვა რეგულაციების, კონვენციის სხვა მუხლების) ავთენტურ და ავტორიტეტულ განმარტებას იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი (ე.წ. CASE LAW). სწორედ ევროპული სასამართლოს გადანიშნულებები და კონვენციის ნორმათა შეფასებები იძლევა ამ ზოგადი შინაარსის და ხშირ შემთხვევაში კონკრეტიკასმოკლებული (გარკვეულწილად არათვითშესრულებადი) სამართლებრივი დეფინიციების სწორად აღქმის, გააზრებისა და შემდგომ შეფარდების შესაძლებლობას. ვინაიდან კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე რთულია კონვენციის დებულებათა სწორად განმარტება და გამოყენება. აქედან გამომდინარე, ევროსასამართლოს პრეცედენტული სამართალი ეროვნული სასამართლოს მიერ, აღქმულ უნ-

და იქნეს სამართლის პირდაპირ წყაროდ, თანაც ისეთ წყაროდ, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა დგას სამართლის წყაროთა იერარქიაში. პრეცედენტული სამართლის გამოყენების ვალდებულება გამომდინარეობს როგორც უშუალოდ კონვენციიდან, ასევე – ეროვნული (ქართული) კანონმდებლობის რიგი სამართლებრივი აქტებიდან (მაგ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი). ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი ხსნიან და განმარტავენ კონვენციის ტექსტს, ისინი, სავალდებულო პრეცედენტებია და ამდენად, მოახდენენ თუ არა ხელშემკვრელი სახელმწიფო (მათ შორის საქართველოც) კონვენციის რატიფიცირებას, სახელმწიფოს ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა, ევროპის სასამართლოს სამართალი უნდა აღიაროს სავალდებულოდ შესასრულებლად.

23. კონვენცია ადგენს ადამიანის ძირითად უფლებებსა და მათი დაცვის მექანიზმებს, ამ ძირითად უფლებებს ყოფს ე.წ. „აბსოლუტურ“ და „შეზღუდვად“ უფლებებად. აბსოლუტურია უფლება, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება შეიზღუდოს და სახელმწიფო ვერ წარმოაჩენს მათი შეზღუდვის ვერც ერთ ლეგიტიმურ საფუძველს (ასეთია მაგალითად კონვენციის მე-3 მუხლი ნაგებობის აკრძალვის თაობაზე). კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლება კი სწორედ ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ლეგიტიმური წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა შეიზღუდოს. თუმცა, როგორც ევროპის სასამართლოს მიერ შემუშავებული მიდგომებიდან გამომდინარეობს, მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თეზისები უნდა განიმარტოს ძალიან ვიწროდ. საქმეში – OBSERVER AND GUARDIAN VS THE UNITED KINGDOM, სასამართლომ განმარტა, რომ „გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება რიგ გამონაკლისებს, რომლებიც განმარტებული უნდა იყოს ვიწროდ. ამა თუ იმ „შეზღუდვის აუცილებლობა სარწმუნოდ უნდა იყოს დადგენილი“. მთავარი კონცეპტუალური მიდგომა, რომელიც ევროპის სასამართლომ შეიმუშავა, მდგომარეობს იმაში, რომ გამოხატვის თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ის წარმოადგენს დემოკრატიის საყრდენს, მისი პროგრესისა და თითოეული ადამიანის განვითარების წინაპირობას. აღნიშნული ფუძემდებლური დეფინიცია სასამართლომ ყველაზე უფრო სრულყოფილად გადმოსცა საქმეში – HANDYSIDE VS THE UNITED KINGDOM; მასში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა გამოხატვის თავისუფლების ორმაგი დატვირთვა და მისი დაცვის მაღალი სტანდარ-

ტის დამკვიდრების აუცილებლობა (აღნიშნული განჩინება ევროპის სასამართლოს ყველაზე უფრო ციტირებად განჩინებას წარმოადგენს). ევროპული სასამართლოს ყოფილმა პრეზიდენტმა ლუციუს ვილდჰაბერმა მას „ზარის რეკვასავით ხშირად განმეორებადი დეკლარაცია“ უწოდა (იხ. „გამოხატვის თავისუფლება“; ევა გოცირიძე; თბილისი 2008წ.). სწორედ ჰენდისაიდის საქმეში გამოიყენა ევროპის სასამართლომ ცნობილი ფრაზა – „offend, shock or disturb“; აღნიშნულით სასამართლომ განმარტა, რომ დაცულია არა მხოლოდ ისეთი გამოხატვა, ანუ ისეთი ინფორმაციებისა და იდეების გავრცელება, რომლებსაც კეთილგანწყობით ხვდებიან, არამედ ისეთიც, რომელიც ყველაზე შეურაცხყოფელი, გამოგნებელი და შემაშფოთებელია, ვინაიდან, „ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის მოთხოვნა, ურომლისოდაც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“. ევროპის სასამართლო, საზოგადოდ შემწყნარებელია ისეთი იდეებისა და ინფორმაციის მიმართ, რომლებიც ზიანს აყენებენ იმ პირთა უფლებებს, რეპუტაციას, ვისკენაც ისინი მიმართულია. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ დროს, როდესაც ღირებულებათა კონფლიქტში აქტიურად არის ჩართული პრესა და ევროპის სასამართლოს მიერ შემუშავებული ცნება-„საზოგადოებრივი ინტერესების მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსია“ (განსახილველ დავაშიც ხომ ამ ორი უმნიშვნელოვანესი აქტორის მონაწილეობაა გამოკვეთილი) თუმცა, ამავე დროს, გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა ღირებულებათა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევის მიზნით, კონვენციამ და შესაბამისად, ევროპის სასამართლომაც დასაშვებად მიიჩნია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, ანუ ამ უფლების განხორციელებაში „ჩარევა“ სწორედ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ფორმულა – offend, shock, disturb, გაგებული უნდა იქნეს არა ისე, რომ შეურაცხყოფელი, გამოგნებელი და შემაშფოთებელი ინფორმაცია თუ იდეა ყოველთვის და აბსოლუტურად დაცულია, არამედ ისე, რომ ასეთი ინფორმაცია და იდეაც, გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება იყოს დაცული.

24. იმისათვის, რომ შეზღუდვა, ჩარევა გამართლებულად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, ასეთი შეზღუდვა იყოს გათვალისწინებული – ნათლად ჩამოყალიბებული და განჭვრეტადი კანონით. ანუ, გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე სუბიექტის მაღალი დაცვისათვის, აუცილებელია გარკვეული შემუშავებული რეგულაციები სახელმწიფოს მიერ, რომელიც პირს ნათლად დაანახებს რა წესითაა გათვალისწინებული ამა თუ იმ ხელშემკვრელ სა-

ხელმწიფოში მისი თავისუფლების შეზღუდვა. საქმეში – SILVER AND OTHERS VS THE UNITED KINGDOM, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებაში ჩარევა, ვერ ჩაითვლებოდა გამართლებულად, თუ ის კანონზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმის საფუძველზე განხორციელდა. ნათელი და განჭვრეტადი კანონის თაობაზე, რეგულაციას ასევე შეიცავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „პ“ ქვეპუნქტი (ნათელი და განჭვრეტადი კანონი — ჯეროვანი სიზუსტით ფორმულირებული ნორმა, რომელიც არ შეიცავს ზოგად, ორაზროვან და ბუნდოვან დებულებებს და პირს აძლევს საშუალებას, დაარეგულიროს საკუთარი ქმედება, აგრეთვე წინასწარ, ცხადად განსაზღვროს მისი სამართლებრივი შედეგები). ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანი საქმეებია CASE OF MALONE VS THE UNITED KINGDOM და CASE OF WINGROVE VS THE UNITED KINGDOM და სხვა. ასევე, იმისათვის, რომ შეზღუდვა გამართლებულად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია რომ ეს „კანონით“ გათვალისწინებული შეზღუდვა ემსახურებოდეს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც ჩამოთვლილია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში; ესენია: სახელმწიფო უშიშროება, დანაშაულის თავიდან აცილება, სასამართლოს ავტორიტეტი, სხვათა რეპუტაცია, სხვა უფლებები და ა.შ. თუ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა განხორციელდა შესაბამისი კანონის გარეშე, ასევე ეს ჩარევა არ ემსახურება ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნებიდან ერთ-ერთს, სასამართლო თავისთავად ადგენს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას (იხე რომ აღარც გადადის ჩარევის აუცილებლობისა და თანაზომიერების შეფასებაზე). რაც მთავარია, ამ ორი წინარე ეტაპების გადალახვის შემთხვევაში (სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ უმრავლესობა საქმეებისა გადალახავს ხოლმე ამ ორ მოცემულობას), ევროპული სასამართლო უკვე მსჯელობს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში (necessary in the democratic society). აღნიშნული, ასევე გულისხმობს საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (pressing social needs), რომლის აღიარებისთვისაც თავის მხრივ საჭიროა „შესაბამისი და საკმარისი“ (relevant and sufficient) საფუძვლის არსებობა.

25. ევროპის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, სწორედ ამა თუ იმ ჩარევის შეუსაბამობა ზემოაღნიშნულ – „აუცილებლობასთან“ იქცევა ხოლმე კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის განმაპირობებელ ძირითად ასპექტად. მოპასუხე სახელმწიფოები – ხელშემკვრელი მხარეები, სწორედ მათ მიერ გამოხატვის თავისუფლებაში განხორციელებული ჩარევის დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებლობას ვერ ასაბუთებენ იმ შემთხვევა-

ბიდან უმრავლესობაში, რომლებშიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს მე-10 მუხლის დარღვევას. სწორედ ამიტომ, შემთხვევათა უმრავლესობაში, ევროპის სასამართლოს მიერ არ არის ხოლმე შეწყნარებული სახელმწიფოთა მითითებანი შეზღუდვის აუცილებლობასთან (დემოკრატიულ საზოგადოებაში) მიმართებით. თავის მხრივ, შეფასება – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, მოიცავს ორ კომპონენტს: უფლებაში ჩარევის „აუცილებლობისა“ და ჩარევის „თანაზომიერების“ შეფასებას.

26. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში საქალაქო სასამართლომ მართებულად შეიკავა თავი ზემოაღნიშნული მე-2 კომპონენტის – „ჩარევის თანაზომიერების“ კრიტერიუმის ზოგადი განხილვისაგან და ამ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან მიმართებით შეფასებისაგან, რადგან სარჩელით მოთხოვნილია მხოლოდ დიფამაციური განცხადების საჯაროდ უარყოფა და არ არის მოთხოვნილი ამა თუ იმ ოდენობის მატერიალური ანაზღაურება. ევროპის სასამართლო ჩარევის თანაზომიერების საკითხის უარყოფით გადაწყვეტას, როგორც წესი, გამოხატვის თავისუფლებისათვის შეუსაბამოდ მაღალი სანქციით, ან სისხლისსამართლებრივი დევნის წამოწყების არაპროპორციული ხასიათით ხსნის; მაგ: საქმეში CUMPANA AND MAZARE VS ROMANIA, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო მოხელეთა დიფამაციას, ევროპულმა სასამართლომ აღიარა უფლებაში ჩარევის აუცილებლობა და მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, თუმცა ასევე მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და გამოყენებული სანქციები (თავისუფლების აღკვეთა და სხვა), ნამდვილად არ იყო პროპორციული და შესაძლოა მათ ჰქონოდათ „მუსხავი ეფექტი“ პრესის თავისუფლებაზე. აღნიშნულის გამო, ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა (მსგავსი მიდგომები გამოყენებული საქმეებში – KYPRIANOU VS CYPRUS, PEDERSEN AND BAADSGAARD VS DENMARK, RADIO FRANCE VS FRANCE და სხვა).

27. სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული ფორმულიდან – „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, ყურადღებას გაამახვილებს სწორედ პირველ კომპონენტზე: უფლებაში ჩარევის „აუცილებლობა“. ეს კრიტერიუმი გულისხმობს საამისოდ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ (pressing social needs), რომლის აღიარებისთვისაც, თავის მხრივ, საჭიროა „შესაბამისი და საკმარისი“ (relevant and sufficient) საფუძვლის არსებობა. სწორედ ამ კრიტერიუმის სათანადოდ შეფასება წყვეტს ხოლმე ევროპის სასამართლოში, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართებულობის საკითხს და ასევე ეს ცნება იქნება განმაპირობებელი წინამდებარე სასარ-

ჩელო მოთხოვნის თაობაზე მსჯელობისას. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ თავისთავად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად უნდა განიხილებოდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ამა თუ იმ გაჟღერებული ინფორმაციის უარყოფის დავალება, როგორც ამას ითხოვს მოსარჩელე. ამ მიდგომის საფუძვლიანობას ადასტურებს თუნდაც ევროპის სასამართლოს განმარტება საქმეში – STEEL AND MORRIS VS THE UNITED KINGDOM, რომლის თანახმადაც, გაერთიანებულ სამეფოში გამართული „დიფამაციური პროცესი და მისი შედეგები“ (იგულისხმება სასამართლო სამართალწარმოება და ამის შედეგად განმცხადებელთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს მიერ), წარმოადგენდა მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რისთვისაც სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო. შესაბამისად, ნათელია, რომ სანამ სასამართლო ასეთი ფორმით „ჩაერევა“ და „შეზღუდავს“ გამოხატვის თავისუფლებას (განსახილველ შემთხვევაში – მედიის გამოხატვის თავისუფლებას), მან უნდა შეაფასოს და გაიაროს ის ტესტი, რომლითაც აფასებს ევროპის სასამართლო სწორედ ჩარევისა და შეზღუდვის აუცილებლობას.

28. ევროპის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით შემუშავებულია გარკვეული მიდგომები და კრიტერიუმები, გამოკვეთილი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზემოხსენებული „ჩარევის აუცილებლობის“ შეფასებაზე; ასეთი ფაქტორები, იმის გათვალისწინებით თუ რომელი ფაქტორი რა მიმართებაშია სხვა ფაქტორთან, ხშირად წარმოქმნილი ღირებულებათა კონფლიქტის სამართლიანი გადაწყვეტის სხვადასხვა ბალანსს იძლევა.

29. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია საკითხი, შეეხება თუ არა ესა თუ ის გამოხატვა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს. ევროპის სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხის გაგება ძალიან ფართოა. მასში იგულისხმება მრავალი სფერო, რაც საზოგადოების მხრიდან ზრუნვისა და ინტერესის საგანია: საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მორალი, ეკონომიკური საკითხები და სხვა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ის რაც ნამდვილად არ იგულისხმება მასში, ეს არის ადამიანთა პირადი თუ ოჯახური ცხოვრება, თუმცა აქაც არსებობს გამოწვევისი და მიჩნეულია, რომ პოლიტიკოსისა და მაღალი თანამდებობის პირის, ასევე, რიგ შემთხვევაში, საზოგადოდ ცნობადი პირის პირადი ცხოვრება შეიძლება წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების თაობაზე საჯარო დებატებში მონაწილეობა არის ის კრიტერიუმი, რომლის გამოც ღირებულება-

თა კონფლიქტში უპირატესობა გამოხატვის თავისუფლებას ენიჭება. ზემოაღნიშნულ საქმეში – STEELAND MORRIS VS THE UNITED KINGDOM, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი კორპორაციის რეპუტაციის შელახვის საკითხებს შეეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კორპორაციის სანინალმდევოდ გავრცელებული ინფორმაცია, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ინტერესის საგანს და ასეთ საკითხებზე თავისუფალი და ღია საჯარო განხილვის უზრუნველყოფა მეტად არსებითი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდებაში გამოთქმული თითოეული ეპიზოდის ზედმიწევნით დამტკიცების მოთხოვნა, არ შეესაბამებოდა დემოკრატიისა და პლურალიზმის ღირებულებებს. აღნიშნული მიდგომების დასტურად გამოდგება ევროპის სასამართლოს მიერ განხილული სხვა არაერთი საქმე (მათ შორის, ამ გადაწყვეტილებაში მითითებული უმრავლესი საქმე). ასევე მნიშვნელოვანია, რა სფეროს შეეხება გამოხატვა და ვის მიმართ არის ის გამოთქმული (პოლიტიკის სფერო და პოლიტიკოსთა მიმართ გამოთქმული თუნდაც შეურაცხყოფელი გამოხატვამები, მასმედიის თავისუფლების სფერო და სხვა); ასეთი შემთხვევებისათვის ევროპული სასამართლო გარკვეულ გრადაციებს აყალიბებს და შემოშავებს ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლებს.

30. დასაშვები კრიტიკის ფარგლები ყველაზე ფართოა ხელისუფლებისა და მის წარმომადგენელთა (პოლიტიკური თანამდებობის პირები) მიმართ. ასეთ დროს ევროპული სასამართლო არ მოითხოვს, რომ ფაქტები აბსოლუტური სიზუსტით იყოს დამტკიცებული და საკმარისად მიიჩნევს, თუნდაც მცირედი ფაქტობრივი წინაპირობის არსებობას. საქმეში CASTELS VS SPAIN სასამართლომ განმარტა, რომ მთავრობის მოქმედებათა გაკრიტიკების უფლება წარმოადგენს არჩეული წარმომადგენლის სიტყვის თავისუფლების განუყოფელ კომპონენტს. ამ მხრივ, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა CASE OF LINGENS VS AUSTRIA; ამ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნული კანონი, რომელიც ჟურნალისტისაგან მოითხოვდა, დაემტკიცებინა თავისი აზრის სისწორე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს აზრი პოლიტიკურ ფიგურებს შეეხებოდა, უმართებულოდ ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასევე მნიშვნელოვანი საქმეა DICHAND AND OTHERS VS AUSTRIA (რომელიც ეხებოდა პარლამენტის საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარის – ბატონის გრაფის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს), სადაც ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ, მართალია, სტატია სუსტ ფაქტობრივ მონაცემებს ეყრდნობოდა და პოლიტიკური ხასიათის იყო, მაგრამ ის არ არღვევ-

და დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და ამიტომაც დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა ამ სტატიის შეზღუდვის გამო. ამ საკითხზე ასევე „კერძო“ და „საჯარო“ პირის ცნებებს განსაზღვრავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ (საჯარო პირი — „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადანყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება) და „კ“ (საჯარო პირი — „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი; პირი, რომლის გადანყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება) ქვეუნიქტები და ამ ორი პირის მიმართ გაკეთებული ცილისწამებლური განცხადებების მიმართ დაცვის სხვადასხვა საფეხურებს ანებს (მუხლი 13. „პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა“ და მუხლი 14. „პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება). დასაშვები კრიტიკის ფარგლები ასევე შედარებით ფართოა საჯარო მოსამსახურეთა მიმართ (თუმცა, რა თქმა უნდა. უფრო ვიწრო, ვიდრე პოლიტიკოსების მიმართ); საჯარო მოსამსახურეები, იმის გამო, რომ მათ შეგნებულად არ აურჩევიათ ღია პოლიტიკური კარიერა და, შესაბამისად, შედარებით ნაკლებად დააყენეს თავიანთი თავი საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე, რა თქმა უნდა, მცირედით მეტი დაცვით სარგებლობენ. გარდა ამისა, ევროპის სასამართლო ხელმძღვანელობს მიდგომით, რომ რაც უფრო დაუცველია პირი, მით მეტია სახელმწიფოს პოზიტიუ-

რი ვალდებულება მისი დაცვისა; სასამართლო ასევე მნიშვნელობას ანიჭებს, თუ კრიტიკაზე პასუხის გაცემის რა საშუალებები გააჩნია ამ კრიტიკის ადრესატს. თუ კრიტიკის ადრესატი აღჭურვილია თავის დაცვის ქმედითი ბერკეტებით, მაშინ რთულდება მისი სახელმწიფოს მიერ დაცვის სტანდარტის დარღვევის დადგენა. საქმეში JANOWSKI VS POLAND, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ არ შეიძლება სახელმწიფო მოხელეთა გათანაბრება პოლიტიკოსებთან, ვინაიდან საჯარო მოხელეები, სამოხელეო ეთიკის ფარგლებში შეზღუდულნი არიან საჯარო განცხადებების გზით დაიცვან თავიანთი თავი და მათ არც პასუხის გაცემის ადეკვატური საშუალება უპყრიათ ხელთ. შესაბამისად, სახელმწიფოს მეტი ლეგიტიმური საფუძველი აქვს, დაიცვას მათი უფლებები. აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო ძლიერდება მოსამართლეებთან მიმართებაში. გარდა ამისა, მოსამართლეთა პირად უფლებას – მათი რეპუტაციის დაცვის შესახებ, რიგ შემთხვევებში ემატება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების საჯარო ინტერესიც, რაც გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მნიშვნელოვან იარაღს ქმნის ღირებულებათა კონფლიქტში (მაგ: CASE OF SUNDAY TIMES VS THE UNITED KINGDOM, HRICO VS SLOVAKIA, BARFORD VS DENMARK და სხვა).

31. ყველაზე უფრო შეზღუდული არის დასაშვები კრიტიკის ფარგლები კერძო პირთა მიმართ, თუმცა, არც ამ შემთხვევაში გვაქვს ცალსახა მიდგომები. საინტერესოა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ევროპის სასამართლო კერძო პირის მიმართ კრიტიკის მიუხედავად, სასწორს მაინც გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადახრის ხოლმე; განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც საკითხი ეხება საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიებში მონაწილეობას და ასევე ღირებულებათა კონფლიქტში ჩართულია პრესის თავისუფლება. ასევე ჯეროვანი ყურადღება მიექცევა ზიანს, რომელიც პირმა განიცადა; მაგალითად საქმეში FRESSOZ AND ROIRE VS FRANCE, რომელშიც კრიტიკა მიმართული იყო საფრანგეთის ავტომანქანების მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილ კომპანიაში არსებულ დავაზე, სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან საკითხი ეხებოდა გარკვეულ სამუშაოებსა და გადასახადებს, ის დიდ საზოგადოებრივ ყურადღებას იპყრობდა და ამიტომაც „საზოგადოებრივი ინტერესი, ყოფილიყო ინფორმირებული, გადასწონიდა სხვა საკითხებს“. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაიცვა ჟურნალისტთა გამოხატვის თავისუფლება საქმეში BERGENS TIDENDE AND OTHERS VS NORWAY. სასამართლომ საზოგადოებისათვის მაღალი აქტუალობის მქონე საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების ჭრილში არ უარყო და არ და-

საჯა პრესა ისეთი სტატიებისათვის, რომლითაც უკიდურესად შეიძლება შელახულიყო ერთ-ერთი ცნობილი პლასტიკური ქირურგის რეპუტაცია უხარისხო მომსახურებაში მისი დადანაშაულების გამო. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კერძო პირთა მიმართ „დასაშვები კრიტიკის“ ვინაობა ფარგლები, თავის რეალურ შინაარსს მაშინ იძენს, როდესაც საქმე ეხება ძალიან მძიმე სიტყვიერ შეურაცხყოფას, ან უკიდურესად სერიოზულ და ამავე დროს სავესტით უსაფუძვლო ბრალდებას. ამ მხრივ საინტერესოა საქმე MCVICAR VS THE UNITED KINGDOM; საქმეში, ჟურნალისტიკა უკიდურესად მძიმე ბრალი წაუყენა ცნობილ სპორტსმენს – იგი ამხილა აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში სპორტული შედეგების გასაუმჯობესებლად. ამის გათვალისწინებით ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ დიფამაციურ განცხადებას, რეალურად შეეძლო მძიმე შედეგები მოეტანა ამ სპორტსმენისათვის და, შესაბამისად, აქ უკვე ამ განცხადების ნამდვილობისა და დასაბუთების მოთხოვნა ჟურნალისტის მიმართ გამართლებული იყო. ასევე ცნობილი საქმეა ALVES COSTA VS PORTUGAL, რომელიც ეხებოდა პრესაში გამოქვეყნებულ ღია წერილს, რომლითაც ავტორი თავისი ქალიშვილის გარდაცვალებაში ბრალს დებდა ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების დირექტორს სამედიცინო ცენტრში დაბალი დონის მეურნელობის გამო. ევროპის სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ დიფამაციის ავტორი ვალდებული იყო, ასეთი მძიმე ბრალდების (ადამიანის სიკვდილი) გარკვეული ფაქტობრივი საფუძველი მაინც წარმოედგინა. BERGENS TIDENDE საქმეზე ბრალდება იყო ბევრად უფრო მძიმე და სერიოზული. ამიტომაც ევროპის სასამართლომ არ დაიცვა ასეთი გამოხატვის თავისუფლება.

32. კერძო პირების დასაშვები კრიტიკის ფარგლების თაობაზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც ეს კერძო პირები თუ ასოციაციები მოღვაწეობენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხების სფეროში, მათ მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები ფართოვდება და მიჩნეულია, რომ ასეთ დროს კრიტიკისადმი მათ მეტი თმენა მართებო. ზემოაღნიშნული საქმე – STEEL AND MORRIS VS THE UNITED KINGDOM სწორედ რომ ისეთ სუბიექტს შეეხებოდა, რომელიც თითქოს, ერთი შეხედვით, კერძო სამართლის სუბიექტს და შესაბამისად „კერძო პირს“ წარმოადგენდა. თუმცა, ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ასეთი „კერძო პირები“, თავიანთი გავლენიანი მდგომარეობის გამო, ვერ იქნებიან ისევე დაცულები, როგორც რიგითი მოქალაქეები. ამ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ ის საფუძველი რის გამოც დასაშვებია ხელისუფლების ორგანოთა კრიტიკა, თანაბრად შეესატყვისებოდა ძლიერ კორპორაციებს, მათ შორის იმის გამოც, რომ მათი

საბაზრო ძალაუფლება იყოს დაბალანსებული მაღალი ანგარიშვალდებულებით (ეს მსჯელობა უაღრესად მნიშვნელოვანია წინამდებარე სამართალურთიერთობისათვისაც). საბოლოოდ, ევროპული სასამართლოს მიდგომით, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე კომპანიების მიმართ, ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლები გაცილებით ფართოა. კერძო პირების კრიტიკის დასაშვებობისა და შემწყნარებლობის მაგალითია ასევე საქმე BUSUIOC VS MOLDOVA; ამ საქმესა და მიმდინარე სამართალწარმოების შინაარსს შორის მჭიდრო კავშირს ხედავს სასამართლო. საქმე ეხებოდა სახელმწიფო აეროპორტის ხელმძღვანელი პირების მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ განცხადებებს, რომლებიც, შეფასებითი მსჯელობის გარდა, ფაქტებსაც გადმოსცემდნენ. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში, მართალია, დაადგინა, რომ არასწორი და დაუსაბუთებელი ფაქტების გადმოცემა არ შეესაბამებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს, მაგრამ მისი დასკვნა რამდენიმე გარემოებას დაეფუძნა: ბრალდება იყო უკიდურესად სერიოზული და ეხებოდა ქრთამის აღების თაობაზე მსჯელობას; გარდა ამისა, კრიტიკა მიმართული იყო უშუალოდ პიროვნებების (და არა უწყების – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აეროპორტის) მიმართ და კონფლიქტში ჩართული იყო მათი პირადი რეპუტაცია; ეს პირები არ წარმოადგენდნენ საჯარო მოხელეებს და თანაც კრიტიკა არ იყო დასაბუთებული მცირედი ფაქტობრივი საფუძვლითაც კი.

33. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ასევე მნიშვნელოვანია ვის მიერ არის გამოთქმული კრიტიკა; როგორია ინფორმაციისა და იდეების შინაარსი; ჩართულია თუ არა ღირებულებათა კონფლიქტში მედია; როგორია ის აუდიტორია, ვისთვისაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა (CASE OF MULLER AND OTHER VS SWITZERLAND), როგორია კანონიერი ინტერესებისათვის (მაგ: რეპუტაციისათვის) მიყენებული ან პოტენციური ზიანი და სხვა. სასამართლო განმარტავს, რომ მნიშვნელობა ენიჭება აზრისა და ფაქტის დეფინიციებს. აზრი, რომელიც არის შეფასებითი კატეგორია და ნაკლებად ექვემდებარება მტკიცებას, შედარებით უფრო დაცულია. თუმცა არც ეს დაცვაა აბსოლუტური: ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ რაც უფრო უხეში და სერიოზული ბრალდების შემცველია აზრი და, ამავე დროს, რაც უფრო დაუცველი პირის მიმართ არის ის გამოთქმული, მით მეტია ალბათობა ასეთი გამოხატვის შეზღუდვისა. მეორე მხრივ, შედარებით ნაკლებად შეიძლება იყოს დაცული ფაქტების გავრცელება. თუმცა აბსოლუტური და ერთობლივი მიდგომა არც აქ არსებობს; ევროპის სასამართლო მოწოდებულია შეიწყნაროს გარკვეული – თუნდაც მცირე ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ინფორმაცია, განსაკუთრებით ისეთ

პირობებში, როდესაც ღირებულებათა კონფლიქტში ერთეობა ისეთი მნიშვნელოვანი აქტორები როგორებიცაა „საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხები“ და პრესის თავისუფლება; ასევე – როდესაც გამოხატვა მიმართულია ნაკლებად დაცვადი (ანუ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ნაკლები მოთხოვნილების მქონე) პირისადმი – ხელისუფლების ორგანოს, ძლიერი ეკონომიკური სუბიექტის, პოლიტიკოსის მიმართ (ვრცლად იხ. ზემოთ).

34. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბალანსის სწორად გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადახრას იწვევს, არის პრესა და მისი მონაწილეობა ღირებულებათა კონფლიქტში. საქმეში LINGENS VS AUSTRIA, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ პრესა უნდა ეცადოს და არ გადააბიჯოს იმ ზღვარს, რასაც სხვათა რეპუტაციის დაცვა ჰქვია, მას, უპირველეს ყოვლისა, ევალება ინფორმაციისა და იდეების გავრცელება როგორ პოლიტიკურ, ასევე საზოგადოების ინტერესების სფეროში შემავალ სხვა საკითხებზეც. ასეთი ინფორმაციისა და იდეების გავრცელება არა მხოლოდ პრესის ვალდებულებაა, არამედ საზოგადოებასაც აქვს უფლება მათი მიღებისა“. გამოხატვის თავისუფლება, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე საჯარო დისკუსიის გამართვის საშუალება, იმავდროულად თვითონ წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს. ეს დებულება ათმაგ დატვირთვას იძენს, როდესაც საქმე პრესის თავისუფლებას შეეხება. „გამოხატვის თავისუფლების პრინციპები განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს პრესისათვის, რომლის წამყვანი როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს“ (CASE OF CASTEL VS SPAIN); „კონვენციის მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ პრესის თავისუფლებას, მოამარაგოს საზოგადოება ინფორმაციით, არამედ საზოგადოების უფლებასაც – იყოს სათანადოდ ინფორმირებული“ (CASE OF SUNDAY TIMES VS THE UNITED KINGDOM). საგულისხმოა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის „დეკლარაცია მე-10-ში პოლიტიკური დებატების თავისუფლების შესახებ“; დეკლარაცია მოიაზრებს პრესის უფლებას, გაავრცელოს ნეგატიური და კრიტიკული შეხედულებები, ისევე როგორც საზოგადოების უფლებას – მიიღოს ისინი. სასამართლო მოიშველიებს ევროპის სასამართლოს განმარტებას საქმეზე FRESSOZ ET ROIRE VS FRANCE: „პრესის თავისუფლებაში ჩარევა, მხოლოდ მაშინ შეესაბამება კონვენციის მე-10 მუხლს, თუ ეს ჩარევა გადამწყვეტია საზოგადოებრივი ინტერესებისათვის“. პრესის მიერ თავისი მნიშვნელოვანი როლის შესრულების უზრუნველყოფას ემსახურება ე.წ. „მუსხხავი ეფექტის“ (CHILLING EFFECT) კონცეფცია. აღნიშნულში იგულის-

ხმება პრესის თავისუფლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც დააშინებს პრესას და ნებაყოფლობით ხელს ააღებინებს დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისი როლის შესრულებაზე.

35. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს ე.წ. „კვალიფიციური პრივილეგიის“ დოქტრინაზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პრესა დიდი ალბათობით მიიღებს დაცვას, თუ საკითხი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონეა. სასამართლო აღნიშნავს, რომ პრესა, მედია, თავისი არსობრივი ბუნებით (მისი ვალდებულება მოამარაგოს საზოგადოება ინფორმაციით), უკვე ბუნებრივ და თავისთავად კონფლიქტშია სხვა ღირებულებებთან. კიდევაც რომ დაეუშვათ საზოგადოებრივ მსჯელობა, ეს თავად პრესას გამოაცლის თავის ძალასა და ღირებულებას; ასეთი პრესა კი ევრასოდეს შეასრულებს „მოდარაჯე ნაგაზის“ (WATCHING DOG) როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში. სასამართლო პრესის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობაზე მსჯელობისას, წინამდებარე გადანყვეტილებაში უკვე მოხსენიებული საქმეების გარდა, ასევე მიუთითებს საქმეზე WHITE VS SWEDEN; ამ საქმეში პრესა შედეგითი პრემიერ-მინისტრის – უ. პ-ეს მკვლელობაში ადანაშაულებდა განმცხადებელს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის გადაცემისას მედიას არ ჰქონდა დარღვევითი შესაბამისი მოვალეობანი და პასუხისმგებლობანი, რადგან მათი ინფორმაცია ემყარებოდა გარკვეულწილად სანდო მონაცემებს. სასამართლო ასევე ორ საქმეზე მიუთითებს – JERSILD VS DENMARK და THOMA VS LUXEMBURG, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ არ შეიწყნარა პრესის გამოხატვის თავისუფლებაში იმ მოტივით ჩარევა, რომ ჟურნალისტები მკვეთრად არ გაემიჯნენ გადაცემაში სხვა პირის მიერ გამოთქმულ ინფორმაციებსა და იდეებს. განსაკუთრებით საინტერესოა იერსილდის საქმე (JERSILD VS DENMARK), რომელშიც ჟურნალისტი დაისაჯა იმის გამო, რომ ის არ გაემიჯნა რესპონდენტის უაღრესად შეურაცხყოფელ, რასისტულ და ძალადობაზე ორიენტირებულ განცხადებებს. მიუხედავად ასეთი მძიმე ბრალდებისა, ევროპის სასამართლომ გამართლებულად არ მიიჩნია ჟურნალისტის დასჯა რასისტული იდეების გავრცელების ხელშეწყობისათვის. საბოლოოდ, ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორი განაპირობებს გამოხატვის თავისუფლებისა და სხვა უფლებათა შორის ღირებულებათა კონფლიქტის სამართლიანად გადანყვეტის შედეგებს და იმის გააზრებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არის თუ არა სახეზე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება. ღირებულებათა ეს კონფლიქტი, თავისი ბუნებით, გარკვეულწილად ერთ-ერთი ცნობილი ქართული ნაწარმოებიდან ამოღებულ ფრაზას გავს

– „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

36. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არ არსებობს აბსოლუტურად დაცული, ან აბსოლუტურად დაუცველი სფერო. ხშირად მცდარი და დაუსაბუთებელი ფაქტის გავრცელებაც კი არ არის საკმარისი გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად. აუცილებელია გააზრებულ იქნეს, რომ უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – შეზღუდვისათვის შესაფერისი და საკმარისი საფუძვლები, რომლებიც განაპირობებენ ამ „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და, შესაბამისად, შეზღუდვის აუცილებლობის ცნებამდე მიყვანას, უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. საქმეში GORELISHVILI VS GEORGIA ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებაა შეზღუდვის საჭიროების საკითხის გადანაცვებისას, შეაფასოს არსებობს თუ არა შეზღუდვის „სოციალური აუცილებლობა“. ოლსონის საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ ზედსართავი – „აუცილებელია“ გულისხმობს, რომ ადამიანის უფლებაში ჩარევა, უნდა შეესაბამებოდეს გადაუდებელ საზოგადოებრივ საჭიროებას და, რაც მთავარია, უნდა იყოს ერთადერთი ეფექტიანი საშუალება კანონიერი მიზნის მიღწევისა. სააპელაციო სასამართლო, აქვე მოიშველიებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან განმარტებას, რომელიც ფაქტობრივად იზიარებს გამოხატვის თავისუფლების პრიმატს (ხშირ შემთხვევაში, თუმცა რა თქმა უნდა არა ყოველთვის) სხვა უფლებებთან მიმართებით (სუსგ №ას-378-359-2013, 15.11.2013 წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ექიმის ინტერესებისა და პროფესიული რეპუტაციის დაცვა, ვერ აღემატება მედიის თავისუფლების მაღალ მნიშვნელობასა და, კონკრეტულ შემთხვევაში, საზოგადოებისათვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას. ეს საქმე, შეეხებოდა ექიმის რეპუტაციას; მას ამხელდნენ არაკვალიფიციურობაში და „ექიმბაშობაში“. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები კერძო პირთა მიმართ ყველაზე ვიწროა, მას მაინც აფართოებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ისეთ საკითხზე წარმოებული საჯარო დისკუსია, როგორიცაა ჯანმრთელობა (აღნიშნული გადანაცვეტილება უზენაესმა სასამართლომ დააყრდნო ზემოთ აღნიშნულ ევროპულ საქმეს – BERGENS TIDENDE AND OTHERS VS NORWAY).

37. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაც დაახლოებით ანალოგიური მიდგომების გამოყენებით ხასიათდება და მეტიც, აშშ-ში უფრო მეტადაც კი არის დაცული გამოხატვის

თავისუფლება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება პრესის თავისუფლებას. თუ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით ამომწურავად არის ფორმულირებული ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებსაც უნდა ემსახუროდეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, აშშ-ში ასეთი ამომწურავი თეზისები არ არსებობს და სამართალწარმოების დროს, ინდივიდუალური საქმის მოცემულობიდან, სასამართლო თვითონ ადგენს ლეგიტიმური მიზნის არსებობისა თუ არარსებობის გარემოებებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დასაბუთება კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს. სასამართლო მიუთითებს საქმეზე TEXAS VS JOHNSON 1989; დალასში, რესპუბლიკური პარტიის საერთო ამერიკული ყრილობის დროს, ბატონმა ჯონსონმა, რომელიც მონაწილეობდა პრეზიდენტ რ. რეიგანის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაში, საჯაროდ დაწვა აშშ-ის დროშა, რისთვისაც მას 1 წლით პატიმრობა და ჯარიმა – 2000 აშშ დოლარის ოდენობით მიუსაჯეს. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ტეხასის შტატის ხელისუფლებას არ ჰქონდა უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნა აღედგა მოქალაქის წინააღმდეგ, რომელმაც გამოავლინა პოლიტიკური პროტესტი, თუნდაც ასეთი ფორმით. სასამართლომ აღნიშნა, რომ „დროშის შეურაცხყოფის კონსტიტუციური დაცვა, არის დადასტურება სწორედ იმ თავისუფლების პრინციპისა, რომელსაც დროშა განასახიერებს“. მოსამართლე ბრენანმა, თავის თანმხვედრ აზრში აღნიშნა: „ჩვენი დღევანდელი გადანწყვეტილება კი არ დააკნინებს, არამედ პირიქით, გააძლიერებს და აამაღლებს იმ რანგს, რომლითაც დროშა სარგებლობს ამერიკულ საზოგადებაში. ეს გადანწყვეტილება დაადასტურებს შემწყნარებლობისა და თავისუფლების პრინციპს და დამტკიცებს ფაქტს, რომ ასეთი კრიტიკული შინაარსის მქონე გამოხატვის დამშვება, წარმოადგენს ქვეყნის ძლიერების წყაროს“. სააპელაციო სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა დიფამაციის თაობაზე განხილულ საქმეზე GERTZ VS ROBERT WELCH, რომელშიც ამერიკულმა სასამართლომ განმარტა, რომ „დიფამაციის თითოეული მსხვერპლისათვის დაცვის პირველი და საუკეთესო საშუალება – თვითშეგლეა, ანუ არსებული შესაძლებლობის გამოყენება სიცრუის უარსაყოფად, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შესაძლო ზიანი“. ასევე საყურადღებოა აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე NEW YORK TIMES VS SULLIVAN; ამ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ „ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის სიცრუე არ აბრკოლებს მის დაცვას; თავისუფალი კამათის მსვლელობის დროს მცდარი განცხადებები გარდაუვალია და ისინი დაცული უნდა იყვნენ სარჩელებისაგან, რათა გამოხატ-

ვის თავისუფლებას ქონდეს საჰაერო სივრცე, რომელიც მას ესაჭიროება გადარჩენისთვის“. ასევე მნიშვნელოვან თეზისს შეიცავს საქმე FCC VS LEAGUE OF WOMEN VOTERS; ამ საქმეში, სასამართლომ განმარტა, რომ „ცნობების მიწოდება ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, იმსახურებს უაღრესად მკაცრ და თანმიმდევრულ დაცვას“.

38. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაძლო დიფამაციური – ცილისმწამებური განცხადების წინააღმდეგ სარჩელი შემოტანილია როგორც ფიზიკური პირის, ისე იურიდიული პირის მიერ და მოთხოვნილია გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა; სარჩელის ასეთი ფორმულირების დაკმაყოფილებით, სასამართლო თავისთავად განახორციელებდა „ჩარევას“ პრესის გამოხატვის თავისუფლებაში. სსკ-ის მე-18 მუხლი, ასევე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლები (ნორმათა დეფინიცია იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 30-ე პუნქტში) ითვალისწინებენ ამა თუ იმ სუბიექტის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლო სამართალწარმოების გზით. შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის, შეიძლება ითქვას, „ფორმულის“ (რომელიც გათვალისწინებულია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით) პირველი ელემენტი – „ჩარევა გათვალისწინებულია კანონით“ გამოვლენილია და ეს სადავო არ არის. ამ „ფორმულის“ მე-2 ელემენტი – „ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს“, ასევე გამოვლენილია. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით რეგლამენტირებული ლეგიტიმური მიზნებიდან ერთ-ერთს სწორედ საქმიანი რეპუტაციის შელახვა (მოსარჩელე სკოლის შემთხვევაში) წარმოადგენს და განსახილველი სარჩელიც სწორედ ამ საკითხის ირგვლივ არის წარმოდგენილი. ამავე დროს, მოსარჩელე სკოლის დირექტორის სარჩელის შემთხვევაში ნათელია, რომ ლეგიტიმური მიზანი სწორედ მისთვის სსკ-ის მე-18 მუხლით ნაგულები უფლებების დაცვაა. შესაბამისად, „პირველადი კრიტერიუმები“, როგორც ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ უმრავლესობა საქმეებში, აქაც გადალახულია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლომ მართებულად დაადგინა, რომ მოპასუხე იურიდიული პირების მიერ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) სადავო სტატიების გავრცელებისას არ დარღვეულა მოსარჩელე სკოლის დირექტორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ასევე – მოსარჩელე სკოლის საქმიანი რეპუტაცია, რის გამოც სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს

39. მოსარჩელების მოთხოვნასთან დაკავშირებით მოპასუხე ფიზიკური პირის მიმართ, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომ თავისთავად

ვად გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევად უნდა განიხილებოდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის ამა თუ იმ გაჟღერებული ინფორმაციის უარყოფის დავალება, როგორც ამას მოსარჩელები ითხოვენ. აღნიშნული მიდგომის საფუძვლიანობას ადასტურებს თუნდაც ევროპის სასამართლოს განმარტება საქმეში STEEL AND MORRIS VS THE UNITED KINGDOM, რომლის თანახმადაც, გაერთიანებულ სამეფოში გამართული „დი-ფამაციური პროცესი და მისი შედეგები“ (იგულისხმება სასამართლო სამართალწარმოება და ამის შედეგად განმცხადებელთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს მიერ), წარმოადგენდა მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რისთვისაც სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო. შესაბამისად, ნათელია, რომ სანამ სასამართლო ასეთი ფორმით „ჩაერევა“ და „შეზღუდავს“ გამოხატვის თავისუფლებას (განსახილველ შემთხვევაში – მედიის გამოხატვის თავისუფლებას), მან უნდა შეაფასოს და გაიაროს ის ტესტი, რომლითაც ევროპის სასამართლო სწორედ ჩარევისა და შეზღუდვის აუცილებლობას აფასებს. ევროპული სასამართლოსათვის, მნიშვნელოვანია, რა სახის ინფორმაცია გავრცელდა – ფაქტი თუ მოსაზრება (ე.წ. – VALUE JUDGEMENT); ვის წინააღმდეგ გავრცელდა ინფორმაცია – პოლიტიკური პირის, თუ სხვა პირი წინააღმდეგ და ა.შ.

40. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა საჯარო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ, ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა და განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი, ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება. დასახელებული სპეციალური კანონის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით სადავო განცხადებების საჯაროდ გავრცელების ფაქტი მხარეთა მიერ სადავო არ არის. სპეციალური კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ამავდროულად, პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება. აქედან გამომდინარე, მოცემული კატეგორიის დავების

სწორად გადანყვეტისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, სადავო გამონათქვამები მიეკუთვნება ფაქტებსა თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს), რადგან აზრის გამოხატვა, მისი აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობის გათვალისწინებით, გამორიცხავს პირისათვის რაიმე სახის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. აზრი არის შეფასებითი კატეგორია და ნაკლებად ექვემდებარება მტკიცებას, შედარებით უფრო დაცულია. თუმცა ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არც ეს დაცვაა აბსოლუტური. ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ რაც უფრო უხეში და სერიოზული ბრალდების შემცველია აზრი და, ამავე დროს, რაც უფრო დაუცველი პირის მიმართ არის ის გამოთქმული, მით მეტია ალბათობა ასეთი გამოხატვის შეზღუდვისა. მეორე, მხრივ, შედარებით ნაკლებად შეიძლება იყოს დაცული ფაქტების გავრცელება. თუმცა აბსოლუტური და ერთობლივი მიდგომა არც აქ არსებობს. ევროპის სასამართლო მოწოდებულია შეიწყნაროს გარკვეული, თუნდაც მცირე ფაქტობრივი მონაცემების შემცველი ინფორმაცია, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ღირებულებათა კონფლიქტში ერთგვებიან ისეთი მნიშვნელოვანი მონაწილეები, როგორებიცაა „საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხები“ და პრესის თავისუფლება; ასევე როდესაც გამოსატყა მიმართულია ნაკლებად დაცვადი (ანუ სახელმწიფოს მხრიდან დაცვის ნაკლები მოთხოვნილების მქონე) პირისადმი – ხელისუფლების ორგანოს, ძლიერი ეკონომიკური სუბიექტის, პოლიტიკოსის მიმართ.

41. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ფრაზების ნაწილის მოპასუხის მიერ გავრცელების ფაქტი სადავო არ არის. მოპასუხის მტკიცებით, ეს გამონათქვამები იყო მისი აზრი, შეფასება და მსჯელობა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია და განმარტა, რომ სადავო გამონათქვამები ისეთ კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს, რომელთა დადასტურება ან უარყოფა შესაძლებელია. ხშირად აზრისა და ფაქტის გამიჯვნა რთულია, თუმცა, როგორც სპეციალური კანონის, ისე ადამიანთა უფლებათა ევროპის სასამართლოს პრეცედენტული გადანყვეტილებებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, მათი განსხვავება/გამიჯვნა შესაძლებელია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ №ას-1477-1489-2011, 3.04.2012);

41.1. მოცემულ შემთხვევაში, სადავო გამონათქვამებში გავ-

რცელებული ინფორმაცია: „ნ. ჯ-ა არის 4-ჯერ ნასამართლელი“; „ნ. ჯ-ამ მ. კ-ის 6 წლის შვილები სკოლიდან გამოყარა“; „დაზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს ემსახურება“; „ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯანმრთელ საკვებს“; „ავტობუსის მომსახურებაში მშობლები დამატებით 700 დოლარს იხდიან“; „ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული, არაეთიკური სკოლა; სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“; არის მტკიცებითი და არა შეფასებითი ფორმის, ანუ, განცხადებების დროს გამონათქვამები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ მსმენელზე დადასტურებული ფაქტის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაიმე მსჯელობა ან იმაზე მინიშნება, რომ ეს მხოლოდ მოსაზრებაა, არ გვხვდება. ცილისწამების შემადგენლობის უმთავრესი ელემენტია სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპის თანახმად, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს. სააპელაციო სასამართლომ განსახილველ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ გავრცელდა ფაქტები, რომლებიც არ ეფუძნება სინამდვილეს და, შესაბამისად, ზიანს აყენებს მოსარჩელის ღირსებას;

41.2. საქმეზე PETRENCO v. MODLOVA ევროპულმა სასამართლომ, ზოგადად კვლავ განმარტა, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ პოზიტიური ვალდებულება, დაიცვან პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრება, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მე-8 მუხლი (პუნქტი 52). გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება გასცდეს გარკვეულ საზღვრებს (პუნქტი 53). უფრო დაცულია გამოხატვა, რომელიც მიმართული პოლიტიკური პირების წინააღმდეგ; მნიშვნელოვანია ფაქტებისა და შეფასებითი მსჯელობის განსხვავება. ამავე დროს შეფასებითი მსჯელობის დროსაც კი უნდა იყოს საკმარისი და დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც ასე ვთქვათ „ზურგს გაუმაგრებს“ გაკეთებულ განცხადებებს (პუნქტი 56);

41.3. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, განსახილველ შემთხვევაში გავრცელებულია ისეთი ცნობები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ლახავენ მოსარჩელების საქმიან რეპუტაციას. შესაბამისად გამოკვეთილია, რომ: 1. მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება სსკ-ის მე-18 მუხლსა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონს; შესაბამისად, ევროპული კონვენციის მოთხოვნა, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, დაცულია; 2. სარჩელით

მოთხოვნილი შეზღუდვა ემსახურება იმ ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით – „გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ... სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დასაცავად“. გავრცელებულმა ინფორმაციამ ხელყო მოსარჩელე მხარის უფლებები; 3. საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, მოპასუხის გამოხატვის თავისუფლებაში ხდება ჩარევა, თუმცა ასეთი ჩარევა აკმაყოფილებს კრიტერიუმს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“;

41.4. დადგენილია, რომ სადავო ინფორმაცია მართლაც მოპასუხემ გაავრცელა; დადგენილია, რომ გავრცელებული ინფორმაცია საქმიანი რეპუტაციის შემლახველი და დადასტურებადი ფაქტის შემცველია; დადგენილია, რომ ასეთი ინფორმაცია ზიანს აყენებს ინფორმაციის ადრესატებს; მოპასუხეს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად, საპირისპიროდ კი მოსარჩელებმა წერილობითი სახით წარმოადგინეს საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც უარყოფს მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული განცხადებების შინაარსს.

გამოხატვის თავისუფლება, როგორც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლება, ხშირად კონფლიქტშია ამავე კონვენციით გარანტირებულ სხვა უფლებასთან, კერძოდ პირადი ცხოვრების უფლებასთან (მუხლი 8). არაერთი გადაწყვეტილებითაა დადგენილი, რომ პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია დაცულია სწორედ მე-8 მუხლით და ასევე მრავალია საქმე, როდესაც ამ ორი მნიშვნელოვანი ღირებულების კონფლიქტში რომელიმე გადასწონის და იმარჯვებს. აქედან გამომდინარე, სასამართლო პოზიტიურ ვალდებულებების ჩრილში, რომელიც მას (სახელმწიფოს) აკისრია კონვენციის მე-8 მუხლით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, უფლებამოსილია მოპასუხეს დააკისროს სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება;

41.5. სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებასთან (ცნობების უარყოფის შესახებ) დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სსკ-ის, ისე „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. სამოქალაქო კოდექსში 2004 წლის 24 ივნისის ცვლილების განხორციელებამდე არსებული რედაქცია (მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი) ითვალისწინებდა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის ისეთ მექანიზმს, როგორიც იყო სასამართლოს მეშვეობით პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა. თუმცა, 2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც 2004 წლის 16 ივლისიდან ამოქმედდა, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა განისაზღვრა ასევე სპეციალური კანონით, რომელმაც, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა როგორც დაცვის მექანიზმები, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ ადგენს ცილისწამების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის არსს, სასამართლოს არ აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილებით მხარეს მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი ვიდრე ის მოითხოვდა. აღნიშნული მსჯელობა და დასკვნა შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ. სუსგ-ები: №ას-810-1129-07, 16.05.2008 წ; №ას-334-654-09, 8.10.2009 წ.) ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით, განსაზღვრული ფრანგების შეუსაბამობა სიმართლესთან.

41.6. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცებების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (იხ. სუსგ №ას-589-589-2018, 06.07.2018წ.). კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტმა (მოპასუხემ) ვერ შეძლო სააპელაციო საჩივრის მართებულობის დამტკიცება, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

42. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

42.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილე-

ბის მიღებით, სარჩელის სრულად უარყოფა;

42.2. კასატორის ძირითადი პრეტენზიები ეფუძნება იმას, რომ გასაჩივრებული განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი, ეწინააღმდეგება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საერთაშორისო აქტებსა და სასამართლო პრაქტიკას. პირს მაშინ შეიძლება დაეკისროს გარკვეული ინფორმაციის უარყოფა, თუ ეს ინფორმაცია პირადად ამ პირისაგან (სუბიექტისაგან) მომდინარეობს (ანუ ინფორმაციის გავრცელებული არის პირველად წყარო), შესაბამისად, პასუხისმგებლობა არ დადგება მაშინ როდესაც ინფორმაცია სხვა პირის/სუბიექტის მიერ არის გავრცელებული და ამას სხვა პირი გაიმეორებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ სრულად და ზუსტად არის დაცული გავრცელებული ინფორმაციის კონტექსტი;

42.3. საკასაციო საჩივარში მოპასუხე უთითებს იმ გამონათქვამებზე, რომელთა უარყოფა მას არასწორი ფაქტობრივ-სამართლებრივი შეფასების გამო დაეკისრა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია მისი უფლების შეზღუდვა იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელებს საერთოდ არ მიდგომიათ ზიანი, ისევე როგორც არ არის ნამსჯელი, სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობა როგორ უზრუნველყოფს მოსარჩელეთათვის თითქოსდა აბსტრაქტულად მიყენებული ზიანის კომპენსირებას;

42.4. კასატორი უთითებს საერთაშორისო აქტებსა და სასამართლო პრაქტიკაზე, ასევე, მის მიმართ გამოტანილ საკასაციო სასამართლოს განჩინებაზე (საქმე №ას-547-2020, 14.12.2021წ.), სადაც სასამართლომ არ მიიჩნია საჭიროდ პირის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა;

42.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე „არაქონებრივ-სამართლებრივ დავებში საკასაციო საჩივარი დასაშვებია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე“.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის

არსებითად განხილვის გზით შემონმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმების გზით მოსარჩელე სკოლის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

43. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევად) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებათა სამართლებრივი შეფასების გზით, შესაძლებელია ნაწილობრივ ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

44. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის, მისი თავისუფალი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ამ უფლებების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალუ-

რად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად (იხ. მრავალთა შორის ბოლოდროინდელი სასამართლო პრაქტიკა – სუსგ-ები: №ას-348-2020, 31.10.2022; №ას-989-2019, 28.06.2022; №ას-1016-2021, 25.05.2022; №ას-358-2021, 13.04.2022; №ას-336-2021, 26.01.2022; №ას-547-2020, 14.12.2021; №ას-960-2020, 13.10.2021; №ას-697-651-2017, 20.05.2021; №ას-706-2020, 21.04.2021; №ას-981-2020, 21.04.2021; №ას-1151-2019, 21.04.2021; №ას-938-2020, 18.05.2021; №ას-810-2019, 05.03.2021; №ას-1705-2019, 27.11.2020; №ას-1606-2019, 25.11.2020; №ას-1696-2018, 31.07.2020; №ას-1366-2019, 6.04.2020; №ას-648-648-2018, 26.03.2020.).

45. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებას განსაკუთრებულ მიშენელობას ანიჭებს, მის შესაზღუდად შეფასების მაღალ სტანდარტებს იყენებს და ამის სასამართლებლად წონად დასაბუთებას მოითხოვს. შესაბამისად, ამ უფლების სხვა ღირებულებებთან დაპირისპირების დროს „სამართლიანი ბალანსის“ განსაზღვრისას, ეროვნულ სახელმწიფოთა შეფასების თავისუფლების არეალი ძალიან ფართო არასდროს არის, თუმცა, განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებრივ მიზნებთან მიმართებით (გოცირიძე ევა, გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქციის მიხედვით, თბილისი, 2008, გვ.128).

47. გამოხატვის თავისუფლება არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, მეტიც, იგი დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 30) და დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნდამენტურ ელემენტს მიეკუთვნება (იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის /IDFI/ გზამკვლევი – გამოხატვის თავისუფლება v პატივისა და ღირსების დაცვა; 2018; გვ.4) „გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 6). „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 13.).

48. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს შემდეგ ქცევის წესს: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიერ არსებითად განხილვისა და შეფასების საგანს წარმოადგენს მოსარჩელე სკოლის დირექტორისა და მოსარჩელე სკოლის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელი, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ კონკრეტული გამონათქვამების უარყოფა, შემდეგი სახით:

48.1. სკოლის დირექტორის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის საფუძველზე მოპასუხეს დაეკისრა ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემ-

დეგი ფორმით: „სიცრუეა, რომ ნ. ჯ-ია არის 4-ჯერ ნასამართლევი; სიცრუეა, რომ ნ. ჯ-ამ მ. კ-ის 6 წლის შვილები სკოლიდან გამოყარა“;

48.2. სკოლის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელის საფუძველზე მოპასუხეს დაეკისრა ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი ფორმით: „სიცრუეა, რომ დაზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს ემსახურება; სიცრუეა, რომ ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯანმრთელ საკვებს; სიცრუეა, რომ ავტობუსის მომსახურებაში მშობლები დამატებით 700 დოლარს იხდიან; სიცრუეა, რომ ბ.ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული, არაეთიკური სკოლა; სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“;

49. საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის პასუხად, რომელიც ეხება მოსარჩელე სკოლის დირექტორის სასარგებლოდ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას (იხ. 47.1 ქვეპუნქტი), განმარტავს, რომ არ იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მოპასუხის (კასატორის) მოსაზრება გამოქვეყნებულია – „3-ჯერ თუ 4-ჯერ ყოფილა ნასამართლევი და კრიმინალები არიან მამ ვინ არიან“ ცალსახად მოსაზრებაა და არავითარი მტკიცებითი ფორმა მას არ გააჩნია, გარდა აღნიშნულისა, არსად არც ერთ მტკიცებულებაში პირდაპირ და კონტექსტიდან ამოგლეჯის გარეშე არ იკითხება. კასატორის მტკიცებით, ეს კომენტარი შეკითხვის ფორმიტაა და მისი პირველწყარო მოპასუხე საერთოდ არ არის, მეტიც, პირველწყარო არის „ფეისბუქ-მომხმარებელი“ მ. გ. და თანაც ეს ინფორმაცია უკავშირდება სკოლის დირექტორს – ვინმე დ. ც-ძეს, რომელიც, როგორც ირკვევა, მოსარჩელე სკოლის დირექტორის მეუღლე ყოფილა (იხ. საკასაციო საჩივარი);

49.1. ამ საკასაციო პრეტენზიის შემოწმება მოხდა კონკრეტული ელემენტების: ვინ თქვა, რა თქვა, ვის მიმართ, რა ვითარებაში და როგორია კონკრეტულად გამოთქმული/გამოხატული ფრაზის კონტექსტის კვლევისა და შემოწმების საფუძველზე, რათა შეფასდეს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს პირის გამოხატვის თავისუფლებით დაცული მოსაზრება (აზრი — შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს) ცილისწამებისაგან (არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება);

49.2. საკასაციო სასამართლო გაიზიარებდა კასატორის პრეტენ-

ზიას (იხ. 48-ე პუნქტი), რომ რიტორიკული შეკითხვის, ე.წ. „ფეის-ბუქ-კომენტარის“ სახით არის მის მიერ დაწერილი: „3-ჯერ თუ 4-ჯერ ყოფილა ნასამართლევი და კრიმინალები არიან მაშ ვინ არიან“, მხოლოდ ეს ფრაზა და კონტექსტი რომ ყოფილიყო. თუმცა, სკოლის დირექტორის სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო მოთხოვნაზე, რომელიც შემდეგი სახითაა ფორმულირებული: მოპასუხეს დაევალოს, რომ გააერცულოს: „სიცრუეა, რომ ნ. ჯ-ია არის 4-ჯერ ნასამართლევი“, რაც ეფუძნება, არა მოპასუხის მიერ მიერ მითითებულ ე.წ. „ფეისბუქ-კომენტარს“ სხვა პირის „პოსტზე“, რომელიც მართლაც შეკითხვის ფორმითაა ჩამოყალიბებული, რიტორიკულია და თუ მხოლოდ ეს კომენტარი იქნებოდა, მოპასუხის მოსაზრების უარსაყოფად საჭირო არც გახდებოდა სკოლის დირექტორის ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენა, რადგან აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ „პოსტს“ ემყარება, რაც, თავის მხრივ, ბრჭყალებშია ჩასმული, როგორც მოპასუხის სიტყვები და გააზიარა ერთ-ერთმა ინტერნეტ გამოცემამ. მოპასუხის ამ საჯარო განცხადებაში („პოსტში“) მკაფიოდ და არაორაზროვნად, მტკიცებითი ფორმით იკითხება: „ბ.ქ. სკოლა მისი ფეისბუქ გვერდიდან ყველა უკმაყოფილო მშობლის კომენტარს შლის და მშობლებს ბლოკავს გვერდიდან... მაგრამ არ იციან რომ ეხლა უამრავი უკმაყოფილო მშობელი ვზივართ ჟურნალისტებთან და ხალხს ჩვენს ხმას მივანდენთ ...:“ იმასაც ვამბობთ მშობლებს მედიასთან ურთიერთობა კონტრაქტით აკრძალული რომ გვაქვს, იმასაც 5000 დოლარიან სკოლაში ტუალეტის ქაღალდი ბავშვებმა რომ უნდა ატაროს... იმასაც, სკოლის დირექტორი რომ 4 ჯერ ნასამართლევი და ნაციხარი რომაა... დაგველოდეთ და კიდევ ბევრს გაიგებთ...“;

49.3. საკასაციო სასამართლო უშუალოდ მოპასუხის მიერ დაწერილ „ფეისბუქ-პოსტზე“ ამახვილებს ყურადღებას და მიაჩნია, რომ მოპასუხის მიერ სკოლის დირექტორის 4-ჯერ ნასამართლევადა დასახელება, საჯაროდ გავრცელებული განცხადების შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით, არ იძლევა მისი მოსაზრებად (აზრად) კვალიფიკაციის შესაძლებლობას. საკასაციო სასამართლო „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს (ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიან-

ნობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ავტორიზაციის წესებს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს) მოიხმობს, რომლის მიხედვით დირექტორად შეიძლება განწესდეს ამ კანონის შესაბამისად არჩეული ან დანიშნული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (მუხლი 41.2), ამასთან, დირექტორი, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი არ შეიძლება იყოს განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლევ პირი, რომელსაც მოხსნილი არ აქვს ნასამართლობა (მუხლი 42.22); სკოლის დირექტორის ნასამართლობის შესახებ არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელება, პირისათვის ზიანის მომტანი და მისი სახელის გამტეხია. ამდენად კასატორის პრეტენზია, თუ როგორ დააკომპენსირებს მოსარჩელის მოთხოვნას ნასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მოპასუხისათვის დაკისრებული ცნობის უარყოფა, რადგან მოსარჩელე სკოლის დირექტორს რეალურად ზიანი არ მიდგომია, მოპასუხის სუბიექტური მოსაზრებაა და არ არის გასაზიარებელი. სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის შესახებ მოპასუხის მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაცია, რომელიც შემდეგ გაზიარებულია მედიაპლატფორმის მეშვეობით სოციალურ ქსელში, არა მხოლოდ პირთა განსაზღვრული წრისათვის, არამედ მცდარი ინფორმაციის/ფაქტის განუსაზღვრელი მასშტაბით გავრცელებას უკავშირდება და არაქონებრივი სახით განცდილი ზიანი, უმეტესწილად ფაქტობრივად დამდგარ მატერიალურ ზიანსაც კი აღემატება. „აზრის საჯაროდ დაფიქსირება, მაშასადამე, აზრის საჯარო გამოვლინება, პირთა განუსაზღვრელი წრისადმი ხდება. ასეთ დროს არ აქვს მნიშვნელობა, სახალხო (საჯარო თავშეყრის ადგილას, თუ ტელემაუწყებლის ეთერში და ა.შ.) დააფიქსირებს პირი თავის აზრს, თუ სოციალურ მედიაში გამოაქვეყნებს პოსტს. მეტიც, სოციალურ მედიაში პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისას მისი მოძიება უფრო მარტივია, ვიდრე საჯარო თავშეყრის ადგილებში განხორციელებული ქმედებისას. ასეთი ქმედების შედეგად უფლების დარღვევის შემთხვევაში, მოთხოვნაც ანალოგიური საშუალებით გავრცელებას უნდა შეეხოს. მაგალითად, თუ პირმა „Facebook-ის“ კედელზე განათავსა პოსტი, რომელიც მიჩნეულ იქნა ცილისწამებლურ განცხადებად, სასამართლოს მიერ უარყოფისათვის შეიძლება დადგინდეს იგივე ფორმა, რომლითაც ქმედება განხორციელდა“ (იხ. ჯორბენაძე სერგი; სოციალური მედიის სამართალი; რედაქტორი – პროფ. ძლიერიშვილი ზურაბი; თბილისი, 2019; 123-124). ამიტომ ამ ნაწილში საკვებით

გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები და საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მოსარჩელე სკოლის დირექტორის 4-ჯერ ნასამართლობის შესახებ მტკიცებით ფორმაში გამოთქმული არსებითად მცდარი გამონათქვამი მოპასუხეს ეკუთვნის, მის მიერ სოციალურ ქსელში საჯაროდ გამოქვეყნებული განცხადებაა („პოსტია“) და სწორედ ამიტომ ამ ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა მართებულად დაეკისრა მოპასუხეს.

49.4. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ მას დაუსაბუთებლად დაეკისრა მის მიერ გავრცელებული ცნობის, როგორც არასწორი ინფორმაციის/ფაქტის: „სიცრუეა, რომ ნ. ჯ-ამ მ. კ-ის 6 წლის შვილები სკოლიდან გამოყარა“ უარყოფა. სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლეების (ამ შემთხვევაში მოპასუხის შვილების) „სკოლიდან გამოყრა“, სასწავლო პროცესიდან გათიშვა, გაძევება, დასამტკიცებელ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს და თანაც საკმაოდ მარტივად დასადატურებელს. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ არათუ სარჩელის აღძვრის დროს, არამედ სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესშიც კი, მოპასუხის შვილები, აგრძელებდნენ მოსარჩელე სკოლაში სწავლას და მოსარჩელე სკოლის დირექტორს ბავშვები არ ჩამოუშორებია სასწავლო პროცესისაგან. შესაბამისად, არასწორი ინფორმაციის გავრცელება ცილისმწამებლურია და სინამდვილის შეუსაბამო, რაც სკოლის დირექტორის მხრიდან დაცვის ღირსი ინტერესის სფეროში თავსდება და არც ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხის საკასაციო საჩივარი, შესაბამისად, მოსარჩელე სკოლის დირექტორის სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სარჩელი უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილებითაც;

50. მოსარჩელე სკოლის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრებული ცნობების უარყოფის ნაწილში ნაწილობრივ არის გაზიარებული საკასაციო პრეტენზია. კერძოდ, მოპასუხეს მის მიერ გავრცელებული არსებითად მცდარი, ცილისმწამებლური ცნობის უარყოფა დაეკისრა წინამდებარე გადანყვეტილების 47.2 ქვეპუნქტში ასახული ფრაზების გამო. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მოსარჩელე სკოლის მიმართ მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ:

50.1. „დაზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს ემსახურება“ არის სიცრუე, რადგან მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული ასეთი ფაქტის გადამონმება და დამტკი-

ცემა შესაძლებელია, თუმცა, მოპასუხეს სასამართლოსათვის არც ერთი ფაქტი არ მიუთითებია და მტკიცებულება არ წარუდგენია ამის დასამტკიცებლად, შესაბამისად, მას მართებულად დაეკისრა გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების, როგორც სიცრუის, უარყოფა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გავრცელების გზით;

50.2. „ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯანმრთელ საკვებს“ არის სიცრუე, რადგან მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული ასეთი ფაქტის გადამოწმება და დამტკიცება შესაძლებელია, თუმცა, მოპასუხეს სასამართლოსათვის არც ერთი ფაქტი არ მიუთითებია და მტკიცებულება არ წარუდგენია ამის დასამტკიცებლად, შესაბამისად, მას მართებულად დაეკისრა გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების, როგორც სიცრუის, უარყოფა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გავრცელების გზით;

50.3. „ავტობუსის მომსახურებაში მშობლები დამატებით 700 დოლარს იხდიან“ არის სიცრუე, რადგან მოპასუხის მიერ საჯაროდ გავრცელებული ასეთი ფაქტის გადამოწმება და დამტკიცება შესაძლებელია, თუმცა, მოპასუხეს სასამართლოსათვის არც ერთი ფაქტი არ მიუთითებია და მტკიცებულება არ წარუდგენია ამის დასამტკიცებლად, შესაბამისად, მას მართებულად დაეკისრა გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადების, როგორც სიცრუის, უარყოფა სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გავრცელების გზით;

51. საკასაციო სასამართლო მოპასუხისათვის დაკისრებული სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ გამოსაქვეყნებელი ცნობის შესახებ, რომელიც შემდეგი სახითაა დადგენილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ: „სიცრუეა, რომ ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული, არაეთიკური სკოლა; სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“, ნაწილობრივ იზიარებს საკასაციო პრეტენზიას და ადგენს, რომ, წინამდებარე გადაწყვეტილების 49.1-49.3 ქვეპუნქტებში მითითებულის გარდა, მოპასუხეს (კასატორს) უნდა დაეკისროს ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი ფორმით: სიცრუეა, რომ ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული სკოლა;

51.1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის II თავი ადგენს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო ამ თავში შემავალი მე-8 მუხლით განსაზღვრულია ძირითადი გარანტიები, კერძოდ: „1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დად-

გენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით. 2. სკოლას უფლება აქვს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე არადისკრიმინაციულ საფუძველზე შეზღუდოს გარეშე პირთა უფლებები და თავისუფლებები 3. სკოლამ შეიძლება დაადგინოს სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების უფლებებისა და თავისუფლებების არადისკრიმინაციული და ნეიტრალური შეზღუდვის წესები ამ კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად, აგრეთვე თუ არსებობს საფუძვლიანი და გარდაუვალი საფრთხე: ა) ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრების უსაფრთხოებისა; ბ) ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან თამბაქოს მოხმარების ან უკანონო ქმედების წახალისებისა; გ) უხამსობის ან ცილისწამების გავრცელების, ეთნიკური ან რელიგიური შუღლის გაღვივების, დანაშაულისაკენ ან ძალადობისაკენ წაქეზებისა; დ) სასწავლო პროცესის მსვლელობის, სკოლის საქმიანობის ან სკოლის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისათვის ხელის შეშლისა“. ამავე კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს ნორმა არ გამოირიცხავს შესაძლებლობას შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო, პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებას, ასევე სხვა სტატუსის სკოლებში. შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება“; ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია“, ხოლო მე-5 ნაწილით: „ნებისმიერი განმასხვავებელი ქმედება ან გამოწვევის დაშვება ჩაითვლება დისკრიმინაციად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება ან გამოწვევის საშუალებითი და გონივრულია, ემსახურება თითოეული პირისა და ჯგუფის თავისუფალი განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას“. საკასაციო სასამართლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ მოიხმობს „დისკრიმინაციის ყველა შესაძლო ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონს, რადგან მოცემულ შემთხვევაში კასატორს უნდა განემარტოს, თუ რატომ არ არის გაზიარებული მისი საკასაციო პრეტენზია და რის გამო უნდა დაეკისროს მას მოსარჩელე სკოლის მიმართ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის, როგორც ცი-

ლისმნამებლურის და არსებითად არასწორის, უარყოფა. დისკრიმინაცია, როგორც ისეთი ქმედება ან გამონაკლისის დაშვება, რომელიც არ არის სამართლიანი, გონივრული და არ ემსახურება თანასწორ მოპყრობას, თანასწორი შესაძლებლობების ხელშეწყობას და მხარდაჭერას, ყოველთვის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას უკავშირდება, შესაბამისად, დისკრიმინაციული საფუძვლით მოდავე პირმა უნდა ამტკიცოს, რომ არასამართლიან და არათანასწორ მოპყრობას ჰქონდა ადგილი. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სკოლის მიმართ მოპასუხის (კასატორის) მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული სკოლა, კონკრეტულ ფაქტს უნდა ეფუძნებოდეს და როდესაც ამ ცილისმნამებლური ინფორმაციის გავრცელებას სადავოდ ხდის მოსარჩელე, მოპასუხეს ეკისრებოდა ვალდებულება, დაემტკიცებინა, რომ მოსარჩელე სკოლის გადანყევტილებები/ქმედებები დისკრიმინაციული იყო, რაც სწორედ კასატორის მტკიცების ტვირთს განეკუთვნებოდა, რომელიც მან ვერ დაძლია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეს სწორედ წინამდებარე გადანყევტილების 50-ე პუნქტში ასახული ფორმით უნდა დაევალოს გავრცელებული მცდარი ინფორმაციის შეესახებ ცნობის გამოქვეყნება;

51.2. საკასაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ გაზიარებული საკასაციო პრეტენზია უკავშირდება სიტყვებს „არაეთიკური...“ და „სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“ (იხ. 48.2 ქვეპუნქტი), რომელიც უნდა ამოირიცხოს მოპასუხის მიერ სასამართლო გადანყევტილების შემდეგ გასავრცელებული ცნობიდან. მითითებული გამონათქვამები, რომლებიც სადავო არაა, რომ მოპასუხეს ეკუთვნის და მის მიერ საჯაროდ არის გავრცელებული, ცალსახად შეფასებითი კატეგორიისა და მათი გადამოწმება, ანუ დამტკიცება, შეუძლებელია, ამიტომ ისინი განეკუთვნებიან პირის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომელიც შესაძლოა არა მხოლოდ მიუღებელი, არამედ შემაშფოთებელი, სუბიექტურად შეურაცხმყოფელი და, გნებავთ, შოკისმომგვრელიც კია მოსარჩელე სკოლისათვის, თუმცა, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებშია გამოთქმული, როგორც მწვავე, მკვახე და კრიტიკული შეფასება და არა ფაქტი, რომლის დამტკიცებაც შესაძლებელია;

51.3. მოსარჩელე სკოლის მიერ სადავოდ ქცეული სიტყვების ურთიერთკავშირის, შესაფასებელი ელემენტებისა და კონტექსტის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე გადანყევტილების 48.1 ქვეპუნქტი), მოცემულ შემთხვევაში სიტყვა „არაეთიკური“, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხის (კასატორის) მიერ საჯაროდ გამოთქმული კრიტიკული მოსაზრების ნაწილია. აღსანიშ-

ნავია, რომ კონკრეტული კონტექსტის მიხედვით, „არაეთიკურობა“ შესაძლოა არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური ინფორმაცია იყოს. დისკრიმინაციისაგან განსხვავებით, რომელიც, თავის მხრივ, არათანასწორო, უსამართლო ქმედებას/მოპყრობას, გადანყევტილებას, აქტს ან სხვას უკავშირდება, ეთიკურობა, რომელიც მორალური ქცევის სოციალურ-ზნეობრივი კატეგორიაა, ამ შინაარსით შედარებით დრეკადია, შეიძლება ითქვას, ელასტიური, რადგან ეთიკურად თუ არაეთიკურად ქმედების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზედმინევნით ინდივიდუალური კვლევისა და შემონმების საგანია. შესაბამისად, ეთიკურობა/არაეთიკურობა შესაძლებელია ხან მოსაზრება იყოს, ხანაც კი არსებითად მცდარი ინფორმაცია;

51.4. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელე სკოლის მიმართ გავრცელებული ინფორმაცია, რომ ეს არის „სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“ ცალსახად, მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოხატვის თავისუფლებით დაცულ მოსაზრებას განეკუთვნება, რადგან სკოლის დისკრიმინაციულად, ანუ ის, ვინც დისკრიმინაციას ეწევა, მიჩნევა, როგორც ზემოთ ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური განცხადებაა, კონკრეტული ფრაზა, „სკოლა სადაც ყვავის დისკრიმინაცია, რომ არის სატანიზმის კერა“ ხატოვანი და აქცენტირებული სუბიექტური მოსაზრებაა მოპასუხის მიერ მანამდე საჯაროდ გავრცელებული არსებითად მცდარი ფაქტის ხაზგასასმელად „რომ ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული სკოლა“. ზოგადად სიტყვა „აყვავება“ განიმარტება, როგორც ყვავილის გამოღება, ყვავილებით შემოსვა, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით – აღორძინება, განვითარება. რაც შეეხება სიტყვებს: „სატანიზმის კერა“, გარდა იმისა, რომ ზემოხსენებული ერთიანი ფრაზაა, განცალკევებულადაც რომ იყოს მოპასუხის მიერ მითითებული, მაინც არ იცვლება ვითარება, რადგან ასეთ შემთხვევაშიც და ზემოთ მითითებული სრული სახითაც დასახელებული გამონათქვამი მოპასუხის მხრიდან გამოთქმული კრიტიკული სუბიექტური შეფასებაა, მოკლებულია ობიექტურ ნიშნებს, მისი გადამონმება, რაიმე ფორმით დამტკიცება/დადასტურება შეუძლებელია;

52. კასატორის მიერ მოხმობილი სასამართლო განჩინება საქმეზე №ას-547-2020 (იხ. წინამდებარე გადანყევტილების 42.4 ქვეპუნქტი), მოცემულ შემთხვევაში არ გამოდგება მისი პოზიციის გასამყარებლად, რადგან იმ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეები ითხოვდნენ მოპასუხის მიერ, პირად „ფეისბუქის“ („Facebook“-ის) გვერდზე გამოქვეყნებული განცხადებიდან შემდეგი წინადა-

დებების უარყოფას: „1) „შემდეგ ვთხოვეთ სტატიკური ბანერის დამზადება, რომლის ფასი პრაქსში იყო 50 დოლარი, თუმცა ლივინგსტონმა ფასი შეცვალა და 150\$ მოითხოვა“; 2) „შევახსენეთ მონოდებულ ფასებზე. პასუხი ასეთი იყო – მაშინ არ გვიღირს“, მოპასუხის მიერ პირად „ფეისბუქის“ გვერდზე საჯარო განცხადების განთავსების გზით; ასევე ერთ-ერთი განცხადების კომენტარებში მოპასუხის მიერ დანერილი შემდეგი წინადადებების უარყოფას: 1) „ორი კლასის განათლება არ აქვთ არც კლიენტთან ურთიერთობაში, არც სეილსა და მარკეტინგში“; 2) „პავლესავით 2 კლასის customer service-ით არ ვეურთიერთობები ჩემს კლიენტებსა თუ პაციენტებს“, და გამოქვეყნებული ცნობების გამო, მოპასუხის მიერ მეორე მოსარჩელისათვის ბოდიშის მოხდას, მოპასუხის მიერ პირად „ფეისბუქის“ გვერდზე საჯარო განცხადების გამოქვეყნებით და ა.შ. ამ საქმეზე საკასაციო სასამართლომ დადგენილი ეროვნული სასამართლო პრაქტიკის, ევროსასამართლოს სტანდარტებისა და განმარტებების საფუძველზე იმსჯელა ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნის თაობაზე და დამატებით მიუთითა ბერლინის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 11.03.2020წ. გადაწყვეტილებაზე (№ 10 W 13/20, §23, 24), სადაც სასამართლომ განმარტა: „ერთი მხრივ, პირის ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით და, მეორე მხრივ, გამოხატვის თავისუფლებით დაცული კონსტიტუციური გარანტიების ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, როგორც წესი, პირველ რიგში უნდა მოხდეს აწონდაწონვა, რომლის ფარგლებშიც, პიროვნულ უფლებებზე ზემოქმედების სიმძიმეს დაუპირისპირდება აზრისა და გამოხატვის თავისუფლებისათვის მიყენებული ის დანაკარგი, რასაც მისი აკრძალვა ან შეზღუდვა გამოიწვევს. მაგრამ ეს წესი არ მოქმედებს, შეურაცხმყოფელი და პატივის შემბლაღავი გამონათქვამების შემთხვევაში, როდესაც ისინი წარმოადგენენ ფორმალურ შეურაცხყოფას ან უხამს ლანძღვას. გამოხატვის თავისუფლების პრიმატის უგულებელყოფისთვის ეს გადამწყვეტი ფაქტორი ითხოვს, რომ მკაცრი სტანდარტები იყოს გამოყენებული ფორმალური შეურაცხყოფისა და უხამსი კრიტიკის ან უხამსი ლანძღვის არსებობის დადგენისთვის. ზოგადი პრინციპის თანახმად, უხამსი კრიტიკის ან უხამსი ლანძღვის დადგენა არ ხდება, როდესაც აზრი გამოთქმულია საკითხის განხილვის კონტექსტში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გამოხატვის შეურაცხმყოფელი ხასიათი იმდენად მძიმე და დიდია, რომ იგი, ნებისმიერ შესაძლო წარმოსახვით კონტექსტში, მარტოოდენ შეურაცხყოფის მიყენებად აღიქმება და, აქედან გამომდინარე, მისი კონკრეტული კონტექსტის მიუხედავად, ყოველთვის განხილულ უნდა იქნეს პირადად შეურაცხმყოფელ უხამსობად, რა-

საც ადგილი შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებით მძიმე სალანძღავი სიტყვების გამოყენებისას... გარდა ამისა, გამართლებულად ვერ ჩაითვლება ასევე ისეთი გამოხატვები, რომელიც არანაირ კავშირში არ არიან კონკრეტულ საკითხთან და წარმოადგენენ „უკიდურესად გადაჭარბებულ შეფასებას“ („Wertungsexzess“). შედარებით მაღალი მოთხოვნები წაეყენება ადამიანის ღირსებაზე თავდასხმის დაშვების შემთხვევებს. ადამიანის ღირსების შელახვა არ შეიძლება გამართლებული იქნეს აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე დაყრდნობით. თუმცა აქაც ადამიანის პატივის ყოველგვარი შელახვა იმთავითვე ადამიანის ღირსებაზე თავდასხმასთან არ უნდა გაიგივდეს. ღირსების შელახვის დადგენისათვის აუცილებელია, რომ კონკრეტულ პირს ეზღუდებოდეს ამ სახელმწიფო საზოგადოებაში სხვათა თანასწორად, სხვათა თანაბარი მნიშვნელობისა და თანაბარი ღირებულების მატარებელ სუბიექტად არსებობის უფლება, და მას, როგორც მნიშვნელობის არმქონე არსებას (არარაობას), ისე ეპყრობოდნენ. ამდენად, თავდასხმა მიმართული უნდა იყოს მისი პიროვნების ადამიანური ღირსების მსაზღვრელი უმთავრესი ბირთვისადმი და არა, მარტოდენ მისი ცალკეული პირადი უფლებების წინააღმდეგ“ (იხ. სუსგ №ას-740-2020. 14.12.2021წ.)

53. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სპეციალური კანონის საფუძველზე დადგენილი და განმარტებულია, რომ მოსარჩელის ვალდებულებაა, დაადასტუროს გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს „ფაქტს“/„განცხადებას“ თუ იგი არის „მოსაზრება“, რადენადაც, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სკოლის დირექტორმა სრულად დაამტკიცა, ხოლო მოსარჩელე სკოლამ ნაწილობრივ დაადასტურა, რომ მოპასუხემ მათ შესახებ გაავრცელა არსებითად მცდარი და ცილისმწამებლური განცხადებები. თუმცა, საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, მოპასუხემ, თავის მხრივ, ნაწილობრივ დაასაბუთა, რომ მის მიერ მოსარჩელე სკოლის მიმართ გავრცელებული განცხადებების ნაწილი, მწვავე და კრიტიკული მოსაზრებების გამომხატველია და დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

54. საკასაციო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებზე მიუთითებს, რომლებითაც დადგენილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია; ამასთან, ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თა-

ვიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის თვითრეალიზაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ის შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ლეგიტიმური მიზნით (იხ. სუსგ №ას-237-2022, 16.12.2022წ.). კერძოდ, „არც ერთი ადამიანის თავისუფლება არ შეიძლება ეფუძნებოდეს სხვისი თავისუფლების ხელყოფას. ამიტომ გამოხატვის თავისუფლების ზღვარიც სხვათა უფლებებია. ის არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით. მაშინ როდესაც ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობამ რეალური დარღვევის საფრთხე შეიძლება შეუქმნას ამა თუ იმ უფლებას, გამოხატვის თავისუფლებაც შეიძლება შეიზღუდოს და ესეც დემოკრატიის ერთი-ერთი მთავარი წესია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44). სწორედ ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან;

55. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად (მუხლი 2); გავრცელებული ინფორმაციის ცილისწამებად მიჩნევისა და შედეგად სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების სპეციალურ წესს სწორედ დასახელებული კანონი არეგულირებს. ინფორმაციის გავრცელების შედეგად სხვა პირის უფლებების შელახვისთვის პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შეფასებისას, პირველ ყოვლისა, უნდა მოხდეს აზრისა და ფაქტების გამიჯვნა. „სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ და-

მოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამოხატუებები, რომლებშიც თავს იყრის, როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამოხატუებების, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს, შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამოხატუებების შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამოხატუებების შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამოხატუება უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში“ (იხ. სუსგ №ას-1278-1298-2011). ამასთანავე, საგულისხმოა, რომ გამოხატუვის თავისუფლებით დაცულია არა მარტო ის „ინფორმაცია“ თუ „იდეები“, რომლებიც ხელსაყრელად მიიღება ან მიიჩნევა როგორც არაშეურაცხყოფელი ან უმნიშვნელო, არამედ აგრეთვე ისეთის მიმართ, რომელიც შეურაცხყოფელია, შოკირებადია და შემანუხებელი. ასეთია მოთხოვნები პლურალიზმის, ტოლერანტობის და ფართო აზროვნებისა, რომლის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის №5493/72 გადაწყვეტილება საქმეზე „ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, § 49).

56. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხემ ნაწილობრივ დაასაბუთა საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინების ნაწილობრივ გაუქმების გზით მოსარჩელე სკოლის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხისათვის სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ გასავრცელებელი ცნობების უარყოფის შესახებ ასახული მსჯელობა და დასკვნები უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით. დანარჩენ ნაწილში (სკოლის დირექტორის სარჩელი), საკასაციო საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო, უცვლელად

დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

57. სახელმწიფო ბაჟი განსაზღვრულია სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით და ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 6 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ნაწილობრივ ახალი გადაწყვეტილება, შპს „ბ-ქ. ა-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში;
3. შპს „ბ-ქ. ა-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. მ. კ-ს დაეკისროს ცნობის გამოქვეყნება სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი ფორმით:
 - სიცრუეა, რომ დაზიანების შემთხვევაში ავტობუსები მხოლოდ უცხოელ ბავშვებს ემსახურება;
 - სიცრუეა, რომ ქართველ ბავშვებს ნაგავს აჭმევენ პრესქულში და ბრიტანელებს საგანგებოდ მომზადებულ ჯანმრთელ საკვებს;
 - სიცრუეა, რომ ავტობუსის მომსახურებაში მშობლები დამატებით 700 დოლარს იხდიან;
 - სიცრუეა, რომ ბ-ქ. ა-ა არის დისკრიმინაციული სკოლა;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 6 აპრილის განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
6. შპს „ბ-ქ. ა-ას“ მ. კ-ის სასარგებლოდ, დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის გადახდა.
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

გადანყვებითლება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1553-2018

24 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ნ. ა-მა (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“ ან „კასატორი“) მიმართ და მოითხოვა მისთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 9200 ლარის, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 15 000 ლარის დაკისრება.

2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. მოსარჩელე 2011 წლის სექტემბრიდან მუშაობდა ქ-ა. უ-ის რუსეთის კვლევების ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად, სადაც მისი ყოველთვიური, დარიცხული ხელფასი შეადგენდა 500 ლარს;

2.2. 2011 წლის 20 დეკემბრიდან მოპასუხემ, სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ მეშვეობით დაიწყო მოსარჩელის ღირსებისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელება. აღნიშნული ცნობების გავრცელების გამო, მოსარჩელის მიმართ არაჯანსაღი და ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც იგი იძულებული გახდა პირადი განცხადების საფუძველზე დაეტოვებინა სამსახური;

2.3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მის მიერ გავრცელებული ცნობების იმავე სოციალური ქსელის მეშვეობით უარყოფა;

2.4. დავის მიმდინარეობისას მოპასუხე კვლავ აგრძელებდა ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებას, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდიდა ამავე პროფილის ორგანიზაციაში სამსახურის დაწყებას და ხელფასის სახით შემოსავლის მიღებას;

2.5. მოპასუხე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც აგრძელებდა ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებას, რის გამოც მოსარჩელის მიერ მიღებული ზომა ამ

ცნობების უარყოფის დავალდებულების შესახებ, არ აღმოჩნდა საკმარისი მიღებული მორალური ტრავმის დასაკმაყოფილებლად;

2.6. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ზემოთხსენებულ საქმეზე 2014 წლის 09 იანვარს გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა მოსარჩელის სახელისა და პატივის შემლახველი ცნობების გავრცელება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მოპასუხემ 2014 წლის 23 თებერვალს სოციალური ქსელის, „ოდნოკლასნიკების“ მეშვეობით კვლავ გამოაქვეყნა მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელი ცნობები, სადაც აღნიშნულია შემდეგი: მოპასუხემ გამოარქვია, რომ მისი უფროსი ძმა 2007 წლის 02 ივლისს სწორედ მოსარჩელეს მოუწამლავს, რის შედეგადაც იგი იმავე წლის 07 ივლისს გარდაიცვალა. 2014 წლის 06 აპრილს იმავე სოციალური ქსელის მეშვეობით მოპასუხემ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოსარჩელემ 10 000 აშშ დოლარად შეუკვეთა მისი ოჯახის მკვლელობა;

2.7. მოსარჩელემ მოპასუხის ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელებით განიცადა მორალური ზიანი. ასევე, მას მიადგა მატერიალური ზიანი 9200 ლარის (23 თვის ხელფასი სამემოსავლო გადასახადის გარეშე) ოდენობით, რომელსაც იგი ხელფასის სახით მიიღებდა 2011 წლის დეკემბრიდან (გათავისუფლებიდან) 2013 წლის დეკემბრამდე (სამსახურის დახურვის დრომდე) პერიოდში.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი:

3.1. მოსარჩელეს არანაირი მატერიალური ზიანი არ განუცდია, რაც შეეხება მორალურ ზიანს, მის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა არ შეესაბამება არც კანონის მოთხოვნებს და არც სასამართლო პრაქტიკას;

3.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 24.05.2012წ. გადაწყვეტილებით არ დადგენილა, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულიყო სამსახურიდან;

3.3. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულებულია, რაც გულისხმობს, რომ ზიანის ანაზღაურება სახზეა. ამასთან, მასში არ არის მითითებული, რომ მოპასუხე აგრძელებდა მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური ცნობების გავრცელებას სასამართლო დავის მიმდინარეობისას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნულს მისცემდა შესაბამის შეფასებას. მოსარჩელეს არ გააჩნია მტკიცებულება იმისა, რომ მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შემდგომ კვლავ გამოაქვეყნა მასზე რაიმე ინფორმაცია.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-

ლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელებით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. მხარეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივრები. მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით – 9200 ლარის, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, დამატებით 5000 ლარის დაკისრება; მოპასუხემ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 5000 ლარის შემცირება 1000 ლარამდე.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, დაუშვებლობის გამო.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ და ამ უკანასკნელს დაევალა სოციალურ ქსელ Facebook-ში 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამავე ქსელში შემდეგი სახით: „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/1878-12 დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ. 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ Facebook-ში გავრცელებული ცნობები მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად, მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელ და სახელის გამტეხ ქმედებად“;

8.2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 09 იანვრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი;

8.3. სოციალური ქსელის, Facebook-ის მეშვეობით 2011 წლის 20 დეკემბერს მოპასუხემ საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა შემდეგი განცხადება: „მოსარჩელემ 2007 წლის 02 ივლისს დილით მონამღული მწვადები დაუტოვა თავისი შვილების მამას, დ. კ-ს და ბავშვები გააფრთხილა, რომ ეს ხორცი მათ არ ეჭამათ. დ. დილის 10:00 საათზე მივიდა მოსარჩელესთან სახლში, სამზარეულოში რომ შევიდა, შვილებმა უთხრეს: დედამ ღორის მწვადები დაგიტოვა და აბა, შენ იცი, დედას არ აწყენინო და ჭამეო. დ-მ შვილებსაც უთხრა: – დამიჯექით და ერთად ვჭამოთო. ნ-მ უპასუხა: მამა ხო იცი, მე ჭამა არ მინდა და ისედაც მარხვაზე ვარ, დ-მ ლ-გ-ც დაპატიჟა საჭმელად, რაზედაც მას დედისთვის მიცემული პირობის გამო უთქვამს უარი. დ-მ მარტო ჭამა ის მწვადი. ნ. საღამოს 6 საათისთვის დაბრუნდა სახლში, მაშინვე სახლში შევიდა, ტაფა ცარიელი რომ ნახა, გახარებია, ერთი რაც უკითხავს ბიჭისთვის: სიმართლე მითხარი, შენ ერთი ნაჭერი მაინც ხომ არ გიჭამია ამ ტაფიდანო? და არ გაბეღო ჩემი მოტყუებაო. ეს ყველაფერი თვითონ ნ-მ და ლ-გ-მ მოგვიყვანე ვახშმობისას 2007 წლის 13 სექტემბერს საღამოს 10:00 საათისთვის, დედამისიც, მოსარჩელეც სუფრაზე იჯდა ჩვენთან ერთად და მანაც დაადასტურა“;

8.4. სოციალური ქსელის, Facebook-ის მეშვეობით 2012 წლის 11 იანვარს მოპასუხემ საკუთარ ფეისბუქგვერდზე გააკეთა შემდეგი განცხადება: „2009 წლის 25 აპრილს დაყაჩაღების საქმეზე 30 წლით დაპატიმრებულია ი. ნ. ძე დ-ძე, მან არ აღიარა, რომ ეს საშინელება მოპასუხის რძლის – მოსარჩელის და მისი საყვარლის, ვ. ვ. ძე ო-ას დავალებული იყო, რომ მოპასუხის პირად ქონებას (5-7 მილიონ დოლარს) დაპატრონებოდნენ, რძალმა და მისმა საყვარელმა ვ-ამ წინასწარ მისცეს 20 000 დოლარი და ნახევარ მილიონ დოლარს დაპირდნენ 6 თვის გასვლის შემდეგ, როცა მოპასუხის ქონება მოსარჩელის ხელში გადავიდოდა“;

8.5. სოციალური ქსელის, Facebook-ის მეშვეობით 2012 წლის 28 იანვარს მოპასუხემ საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა შემდეგი განცხადება: „2009 წლის 25 აპრილს დაყაჩაღების გათამაშებით მოპასუხის რძლის, მოსარჩელისგან დაქირავებულმა „არაკაც-მა“ ი. დ-ძემ 20 000 დოლარად სასიკვდილოდ გამიმეტა მოპასუხე და ექვს თვენახევრის ორსული მეუღლე ე. გ-ი“;

8.6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებში მითითებულია, რომ მოპა-

სუხის მიერ გავრცელებული ფაქტები საზოგადოებაში აღქმულ იქნა რეალურად, მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ აღნიშნულ განცხადებებს მოჰყვა მისი რეპუტაციის დისკრედიტაცია. მოსარჩელე მუშაობდა ..., მეცნიერ-მუშაკად კვლევით ინსტიტუტში, გავრცელებული ცნობების გამო სამსახურში შეიქმნა არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ, სტუდენტებში დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ის იყო მსუბუქი ყოფაქცევის, მკვლელი, იძულებოდა ლექციები, რასაც მან ორი კვირა გაუძლო, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა წამოსულიყო სამსახურიდან. ამდენად, ზემოაღნიშნული განჩინებებით დადგენილია ის გარემოება, რომ გავრცელებული განცხადებებით გამოწვეული უარყოფითი რეზონანსის გამო მოსარჩელემ საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა;

8.7. შპს „ქ-ა. უ-ის“ მიერ 2014 წლის 12 ივნისს გაცემული ცნობის თანახმად, მოსარჩელე ქ-ა. უ-ის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა 2011 წლის სექტემბრიდან 2011 წლის დეკემბრის ჩათვლით;

8.8. შპს სამედიცინო ცენტრ „ი-ას“ მიერ 2010 წლის 02 მარტს გაცემული ცნობის თანახმად, მოპასუხეს დადგენილი აქვს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი: მკვეთრად გამოხატული, მესამე ხარისხის; მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს 2011 წლის 25 თებერვლის ცნობის თანახმად, ვ-გ ძე კ-ი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, ვადით – 2027 წლის 01 მაისამდე; სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის 2000 წლის 04 მაისის დასკვნის თანახმად, ი. ვ ძე კ-ს (მოპასუხის ძმა) მინიჭებული აქვს შესაძლებლობის შეზღუდვის პირველი ჯგუფი, უვადოდ, არის ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. ამდენად, ზემოაღნიშნული სამედიცინო ცნობებით დასტურდება, რომ მოპასუხეს აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი. ამასთან, მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა ის გარემოება, რომ მოპასუხესთან ერთად ცხოვრობენ მისი არასრულწლოვანი შვილი და სრულწლოვანი ძმა, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები. მოპასუხესთან, ასევე, ცხოვრობს პენსიონერი დედა;

8.9. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციის თანახმად, მოპასუხე არის თბილისში, ... მდებარე 179,02 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრე, რომელიც გაქირავებული ჰქონდა 2017 წლის 01 მაისამდე, ქირის ოდენობა შეადგენდა თვეში – 1300 აშშ დოლარს. მოპასუხის საკუთრებაშია, ასევე, თბილისში, ... მდებარე 247,99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, რომლის იჯარის საფასური შეადგენდა თვეში – 2000 აშშ დოლარს, ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2016 წლის 01 იანვარს;

8.10. მოპასუხემ 2012 წლის 27 სექტემბერს Facebook-ის მეშვეობით, ასევე, 2014 წლის 23 თებერვალს და 06 აპრილს „ოდნოკლასნიკის“ მეშვეობით გაავრცელა განცხადებები მოსარჩელის მიმართ, რასაც მოსარჩელე მიიჩნევს ცილისმწამებლურად, კერძოდ: 2014 წლის 23 თებერვალს სოციალურ ქსელში – „ოდნოკლასნიკები“ მოპასუხემ გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: „დღეს ჩემი გარდაცვლილი ძმის, დ-ს ბიჭის ლ-გ-ს 21-ე დაბადების დღეა. ჩემს ძმისშვილს 2008 წლის მერე პირადად ველარ ვულოცავ დაბადების დღეს მისი უღირსი დედის, მოსარჩელის გამო, რადგან როგორც 2009 წლის 25 აპრილს ჩემ პირად ოჯახზე თავდასხმიდან გამომდინარე გავარკვიე, ჩემი უფროსი ძმა დ. 2007 წლის 2 ივლისს სწორედ მოსარჩელეს მოუწამლავს და 7 ივლისს გარდაიცვალა; 2014 წლის 06 აპრილს სოციალურ ქსელში – „ოდნოკლასნიკები“ მოპასუხემ გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება: „ამ სურათზეა ჩემი ახალ შექმნილი ოჯახის ამოსაწყვეტად ჩემივე უღირსი რძლის მოსარჩელის მიერ 10 000 დოლარად დაქირავებული არაკაცი ი. ნ. ძე დ-ძე. ფუი შენს კაცობას ი. ნ. ძე დ-ძე, რომ სასიკვდილოდ გაგვიმეტე მეც და ჩემი 6 თვენახევრის ორსული მეუღლე ე. დ. ასული გ-ი, რომელიც ცოცხალი გადარჩა და პატარა 6 თვენახევრის სიყვარულის ნაყოფი ვ. გ.-ც საკეისროთი ცოცხალი ამოიყვანეს. მაგრამ ჩემი ე. გ-ი დღესაც აზროვნება დაუბრუნებელი ცოცხლობს „ცოცხალი მცენარის“ სტატუსით. ფუ შენ ადამიანობას. რას გვერჩიოდი, რა დაგაკელით? სიყვარულის და პატივისცემის მეტი ხომ არაფერი გამიკეთებია შენთვის და შენი ოჯახისთვის?“;

8.11. მოსარჩელემ მოპასუხის მიერ 2012 წლის 27 სექტემბერს, 2014 წლის 23 თებერვალს და 2014 წლის 06 აპრილს გავრცელებული განცხადებების შესახებ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2014 წლის 17 ოქტომბერს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ვადის (განცხადების გაცნობიდან 100 დღე) დარღვევით, რის გამოც, ამ განცხადებების ნაწილში სარჩელი ხანდაზმულია.

9. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა მოპასუხის მიერ მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. მოსარჩელემ დაასაბუთა მოთხოვნის საფუძვლიანობა, მან დაამტკიცა, რომ აღნიშნულ განცხადებებს მოჰყვა მისი რეპუტაციის დისკრედიტაცია, კერძოდ, მოსარჩელე მუშაობდა ..., მეცნიერ-მუშაკად კვლევით ინსტიტუტში, თუმცა, გავრცელებული ცნობების გამო სამსახურში შეიქმნა არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ, სტუდენტებში დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ის იყო მსუბუქი ყოფაცქევის, მკვლელი, იშლებოდა ლექციები, რასაც მოსარჩელემ ორი კვირა გაუძლო, მაგ-

რამ ბოლოს იძულებული გახდა წამოსულიყო სამსახურიდან.

10. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობდა მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის შემცირების საფუძვლები. სასამართლოს განმარტებით, სწორედ მოპასუხისა და მისი ოჯახის წევრების მიმღე ჯანმრთელობისა და მატერიალური მდგომარეობის, დამოუკიდებლად სტაბილური შემოსავლის მიღების შეუძლებლობის გამო მიიჩნია სასამართლომ მიზანშეწონილად მისთვის სარჩელით მოთხოვნილი 15 000 ლარის ნაცვლად 5 000 ლარის დაკისრება.

11. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ. მან მოითხოვა განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 5000 ლარის შემცირება 1000 ლარამდე.

12. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

12.1. მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხა უნდა განისაზღვროს გონივრულობისა და სამართლიანობის საფუძველზე. დაკისრებულმა თანხამ არ უნდა გამოიწვიოს მოპასუხის გაკოტრება, აღნიშნული არ უნდა გახდეს მისი უკიდურესი მატერიალური გაჭირვების მიზეზი;

12.2. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ნამსჯელია, რომ სადავო კომენტარები გაკეთდა ფეისბუქის საშუალებით, ისინი არ გავრცელებულა მასობრივი ინფორმაციის ისეთი საშუალებით, როგორიც არის პრესა და ტელევიზია. შესაბამისად, მისი შინაარსი გასაცნობად ხელმისაწვდომი არ გამხდარა საზოგადოების ფართო წრისათვის;

12.3. მართალია, მოპასუხის საკუთრებაში ირიცხება რამდენიმე უძრავი ქონება და მას გააჩნია შემოსავალი, თუმცა, გასათვალისწინებელია მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოპასუხესთან ერთად ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი, სრულწლოვანი ძმა და დედა, რომლებიც, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან და მუდმივად ესაჭიროებათ სამედიცინო მეთვალყურეობა და შესაბამისი ფინანსური ხარჯი. ამასთან, მოპასუხეს და მისი ოჯახის წევრებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოუკიდებლად სტაბილური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა არ აქვთ. აღნიშნული გარემოებები იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა მძიმედ შეფასდეს;

12.4. გაქირავებული (იჯარით გაცემული) უძრავი ქონება, რომლის ქირავნობის ფასი დღეისათვის საკმაოდ შემცირებულია, მოპასუხის შემოსავლის ძირითადი წყაროა, თუმცა, მისი და მისი ოჯა-

ხის წევრების მკურნალობისა და რეაბილიტაციისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯი, რასაც მოპასუხის შემოსავალი ვერ წვდება. აღნიშნული მიზეზით მოპასუხემ ერთ-ერთი უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთა, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა;

12.5. სააპელაციო სასამართლომ საქმეს არ დაურთო მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდებოდა მისი გასავალი და ის აუცილებელი ხარჯები, რაც მისი და მისი ოჯახის წევრებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

12.6. არსებობს ახალი ფაქტობრივი გარემოება – უძრავი ქონება, მდებარე: ..., ფართი 247,99 კვ.მ., ს.კ. ... ამჟამად დაცარიელებულია და მისგან მოპასუხე არანაირ შემოსავალს აღარ იღებს. ხელშეკრულება დადებული იყო 2018 წლის 22 ივნისის ჩათვლით და შეწყდა ამ ვადის დასრულებისთანავე.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 08 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

16. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის მართლზომიერება.

17. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კერძოსამარ-

თლებრივ ურთიერთობებს ჩვეულებრივ, შესაძლოა, თან ახლდეს მორალური, სულიერი განცდები, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე [არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით], სამოქალაქო პასუხისმგებლობა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ე.ი კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ რომელი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში შეუძლია დაზარალებულს, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. დასახელებული ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი (იხ. სუსგ საქმე №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი).

18. სამართლის მიერ დაცულ ერთ-ერთ სიკეთეს, რომლის ხელყოფის შედეგად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, წარმოადგენს – პირადი არაქონებრივი უფლებები. აღნიშნული უფლებების დარღვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. იმავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმოყოფის ბრალისა. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის, მათ შორის, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

19. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი – „კანონით დადგენილი წესით“ გულისხმობს, როგორც საკუთრივ სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ასევე, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალურ კანონს, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივლისიდან და რომლითაც ახლებურად მოწესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა და ნორმის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლებების რეალიზაცია.

20. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ეკისრება სამო-

ქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიადგა. იმავე კანონის მე-17 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. ხოლო, თუ მოპასუხე კანონით დადგენილ ვადაში განახორციელებს შესწორებას ან უარყოფას, მაგრამ შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის, მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს მოსარჩელისათვის მიყენებული ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

21. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ და ამ უკანასკნელს დაევალა სოციალურ ქსელ Facebook-ში 2011 წლის 12 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს მოსარჩელის მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ამავე ქსელში შემდეგი სახით: „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით საქმეზე №2/1878-12 დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი მოპასუხის მიმართ. 2011 წლის 12 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ Facebook-ში გავრცელებული ცნობები მიჩნეულ იქნეს ცილისწამებად, მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელ და სახელის გამტეხ ქმედებად“ (აღნიშნული განცხადებების შინაარსი დეტალურად იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 8.3, 8.4 და 8.5 პუნქტებში). აღნიშნული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად [მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ], ზემოაღ-

ნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს განსახილველი დავის მიმართ აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა (24.05.2012წ. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღნიშნული საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ), შესაბამისად, ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხის მიერ 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 და 28 იანვარს მოსარჩელის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ცილისწამებას, მტკიცებას აღარ საჭიროებს. კერძო პირის ცილისწამებისთვის კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას (მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი). ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება, შესაბამისად, მიიჩნიეს, რომ მოპასუხის მიერ ცილისმწამებლური ცნობების უარყოფის გამოქვეყნება არ იყო საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის. ეს გარემოება მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. იგი სადავოდ ხდის მხოლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული თანხის ოდენობას.

23. რაც შეეხება მორალური ზიანის ოდენობას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მორალური ზიანის გამოთვლის წესს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი (რომელიც ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ზოგად წესს). აღნიშნული მუხლის შესაბამისად, სასამართლო ადამიანის პიროვნული ღირებულებების ხელყოფის ფაქტის შემთხვევაში მორალური ზიანის შინაარსსა და მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ეს საკითხი სასამართლოს შეფასებითი მსჯელობის საგანია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, თავად შემთხვევის ინდივიდუალობისა და თავისებურების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს (იხ. სუსგ საქმე №ას-645-2019, 26 ივლისი, 2019 წელი).

24. მორალური ზიანის მოცულობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას. ფულადი კომპენსაცია ამ შემთხვევაში უზრუნველყოფს იმ დადებით ემოციას, რომელიც ეხმარება დაზარალებულს, სრულფასოვნად ჩაერთოს სოციალურ ურთიერთობებში. ეს ის შედეგია, რომელიც საბოლოოდ ითვალისწინებს მორალური ზიანის კომპენსაციას და არა ხელყოფილი უფლების რესტიტუციას. მორალური ზიან-

ნის შეფასებისას შეუძლებელია ეკვივალენტური პრინციპის გამოყენება, რადგან სულიერი ტანჯვის კომპენსირება სრულად შეუძლებელია. მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს ამ პასუხისმგებლობის განსაზღვრის ყველა წინაპირობებს (იხ. სუსგ საქმე №ას-370-352-2013, 08 ნოემბერი, 2013 წელი).

25. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე, დაზარალებულის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით (მაგ., ასაკი, ფიზიკური მდგომარეობა), აგრეთვე სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა. მორალური ზიანი სახეზეა, როდესაც სახეზეა ადამიანის ფსიქიკის სფეროში ნეგატიური ცვლილების არსებობა, რაც გამოიხატება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანი სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები, მსგავსად მსუბუქი ფიზიკური ტკივილისა, მხედველობაში არ მიიღება, ხოლო როდესაც ადგილი აქვს ისეთ ზიანს, რომლის დროსაც, როგორც წესი, მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა, და ა. შ. მოქმედებს ე.წ. მორალური ზიანის პრეზუმფცია და ზიანის მიმყენებლის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ აღნიშნულმა პირმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა (იხ. სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი; №ას-669-2019, 11 ივლისი, 2019 წელი).

26. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მიზნად არ ისახავს მიყენებული ზიანის სრულ რესტიტუციას, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის ხარისხის და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უზომოდ გაზრდილი და არ უნდა მოწყდეს რეალობას, მისი მიზანი არ უნდა იყოს მოპასუხის დასჯა. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელყოფის ხასიათი, მისი გავლენა პირის არამატერიალურ სიკეთეზე (იხ.

სუსგ №ას-660-660-2018, 20 ივლისი, 2018 წელი, №ას-1040-2018, 26 ივლისი, 2019 წელი).

27. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: დადგენილია, რომ მოპასუხე წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს (შრომისუნარიანობის შეზღუდვა მე-3 ხარისხის), მასთან ერთად ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი, რომელიც, ასევე, არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ვადით – 2027 წლის 01 მაისამდე, სრულწლოვანი ძმა, რომელსაც მინიჭებული აქვს შესაძლებლობის შეზღუდვის პირველი ჯგუფი (უვადოდ) და პენსიონერი დედა; დადგენილია, ასევე, რომ მოპასუხეს საკუთრებაში აქვს თბილისში, ... №90-ში მდებარე 179,02 კვ.მ. და 247,99 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, რომლის გაქირავებითაც იღებს გარკვეულ შემოსავალს; ამასთან, აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, მოპასუხის მიერ 2011 წლის 20 დეკემბერს, 2012 წლის 11 იანვარს და 2012 წლის 28 იანვარს სოციალურ ქსელ Facebook-ში გავრცელებული ცნობები მიჩნეულ იქნა ცილისწამებად, მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელ და სახელის გამტეხ ქმედებად; აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოსარჩელე მუშაობდა ..., მეცნიერ-მუშაკად კვლევით ინსტიტუტში, გავრცელებული ცნობების გამო სამსახურში შეიქმნა არაჯანსაღი დამოკიდებულება მის მიმართ, სტუდენტებში დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ის იყო მსუბუქი ყოფაცხვის, მკვლელი, იშლებოდა ლექციები, რასაც მან ორი კვირა გაუძლო, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა წამოსულიყო სამსახურიდან. მოსარჩელემ დაამტკიცა, რომ აღნიშნულ განცხადებებს მოჰყვა მისი რეპუტაციის შელახვა.

28. ამრიგად, ერთი მხრივ, დადასტურებულია მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური ცნობების გავრცელების ფაქტი, რამაც გამოიწვია ამ უკანასკნელის პატივისა და ღირსების შელახვა, თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა, კერძოდ მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეს საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება, საიდანაც იღებს შემოსავალს, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მოსარჩელისა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობას, რის გამოც ისინი შესაძლოა პერიოდულად ან/და მუდმივად საჭიროებდნენ დამატებით ხარჯებს, მაგალითად მკურნალობის ან/და რეაბილიტაციისათვის. გარდა ამისა, მოპასუხე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად დასაქმდეს და ჰქონდეს სტაბილური შემოსავალი. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე,

ერთადერთი შემოსავლის წყარო, რაც მოპასუხეს გააჩნია, არის უძრავი ქონების გაქირავებით მიღებული შემოსავალი.

29. ზემოაღნიშნული გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ასევე, მორალური ზიანის ფუნქციისა და მისი პრევენციული ბუნების გათვალისწინებით, სასამართლო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად გონივრულ და სამართლიან ოდენობად მიიჩნევს 3000 ლარს. შესაბამისად, მოპასუხეს სწორედ ამ ოდენობით უნდა დაექისროს მორალური ზიანის ანაზღაურება.

30. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ მისი კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე: ... ქ. №90, ფართი 247,99 კვ.მ., ს.კ. ... ამჟამად დაცარიელებულია და მისგან მოპასუხე არანაირ შემოსავალს აღარ იღებს. აღნიშნული წარმოადგენს ახალ გარემოებას, რომელზეც არ ყოფილა მსჯელობა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს (სსსკ-ის 407-ე მუხლი). საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს. მისი მსჯელობის საგანია მხოლოდ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სწორი სამართლებრივი შეფასება.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინება და სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელებით მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება 3 000 ლარის ოდენობით.

34. რაც შეეხება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათი მოთხოვნების დასაბუთებლად და მითითებული ფაქტების დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებების წარდგენის საკმაოდ მკაცრად განერილ პროცედურას, რომლის შესაბამისად, მხარეებს მტკიცებულებათა წარდგენა შეუძლიათ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას შესაბამისი წესების დაცვით. გამოჩენის შემთხვევაში, კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ახალი მტკიცებულების წარდგენა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოშიც (სსსკ-ის 380-ე მუხლი), თუმცა საქმის საკასაციო სასამართლოში განხილვისას მხარე ასეთ შესაძლებლობას მოკლებულია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადანყევტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნულ წესზე გავლენას ვერ მოახდენს მხარის მითითება, რომ მისთვის კონკრეტული გარემოების ან მტკიცებულების არსებობის შესახებ ცნობილი გახდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყევტილების მიღების შემდეგ ან დოკუმენტები, რომელთა წარდგენაც მხარეს სურდა, შეიქმნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადანყევტილების მიღების შემდეგ. ამგვარი მტკიცებულებები მოცემული დავის ფარგლებში საკასაციო პალატის მსჯელობის საგანი ვერ გახდება. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (შპს „ს“-ს დირექტორის

ბ. ხ-ის მიერ 2017 წლის 13 ნოემბერს გაცემული ცნობა №163 და ცნობა №164; 2018 წლის 16 იანვრის ანგარიშ-ფაქტურა №9; საგადახდო დავალება №52; ფოტოსურათების ასლები; გადახდის ქვითრები; ექიმ ბ-ის სამედიცინო ცენტრის კონსულტაციის ბარათი; 2018 წლის 12 თებერვლის გადახდის დავალება; „SOLO“ გადარიცხვის დოკუმენტი; ანგარიშიდან ამონაწერი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართობის იჯარის შესახებ; ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ №6401106-ა; საკრედიტო ხელშეკრულება №6401106-ა-6401106) მთლიანობაში „133“ ფურცლად; ასევე, მოსარჩელესაც უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (იპოთეკის ხელშეკრულება №893903-3; შეთანხმება იპოთეკის ხელშეკრულებაში №893903-3 ცვლილებების შეტანის შესახებ; სს „თ. ბ-ის“ ... მოედნის სერვის ცენტრის დირექტორის დ. წ-ძის 2012 წლის 11 აპრილის №01/124-11 წერილი; სს „თ.ბ-ის“ საბურთალოს ფილიალის გაყიდვების კოორდინატორის ვ. ს-ძის 2017 წლის 6 ოქტომბრის №172/124-02 წერილი; ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართობის იჯარის შესახებ; ქირავნობის ხელშეკრულება; ცვლილება 2015 წლის 24 დეკემბრის ქირავნობის ხელშეკრულებაში; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ: ...); იჯარის ხელშეკრულება; 23/07/2018 წლის იჯარის ხელშეკრულების დანართი №1; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ: ...) მთლიანობაში „35“ ფურცლად.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

36. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ,

მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

37. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა შეადგენდა ჯამში 24 200 ლარს (მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 9200 ლარი და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 15 000 ლარი). სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 3000 ლარის მოთხოვნის ნაწილში, ანუ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის 12,4%, შესაბამისად ვინაიდან მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი – 726 ლარი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 90,02 ლარის (726 ლარის 12,4%) გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

38. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა მისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 5000 ლარის 1000 ლარამდე შემცირება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში დავის საგანი იყო 4000 ლარი, საიდანაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 2000 ლარის ნაწილში (5000 ლარს – 3000 ლარი), ანუ დავის საგნის 50%. შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხე გათავისუფლებული იყო სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 80 ლარის (4000 ლარის 4% შეადგენს 160 ლარს, ხოლო 160 ლარის 50% 80 ლარს) გადახდა.

39. მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა მისთვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დაკისრებული 5000 ლარის 1000 ლარამდე შემცირება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოში დავის საგანი იყო 4000 ლარი, საიდანაც საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 2000 ლარის ნაწილში (5000 ლარს – 3000 ლარი), ანუ დავის საგნის 50%. შესაბამისად, ვინაიდან მოპასუხე გათავისუფლებული იყო საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 150 ლარის (4000 ლარის 5% შეადგენს 200 ლარს, თუმცა, სსკ-ის 39-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკასაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 5%-ს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა, რომლის 50% შეადგენს 150 ლარს) გადახდა.

40. ამდენად, საბოლოო ჯამში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 90,02 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 230 ლარის (80 ლარს+150 ლარი) გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა

1. გ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 აპრილის განჩინება;
3. ნ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გ. კ-ს ნ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისროს პატივისა და ღირსე-
ბის შემლახავი ცნობების გავრცელებით მისთვის მიყენებული მო-
რალური ზიანის ანაზღაურება 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენო-
ბით;
5. გ. კ-ს (პ/ნ:...), ნ. ა-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს 90 (ოთ-
ხმოცდაათი) ლარისა და 02 თეთრის გადახდა ამ უკანასკნელის მი-
ერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. ნ. ა-ს (პ/ნ: ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (თბილი-
სი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგა-
რიშის №..., სახაზინო კოდი №...) დაეკისროს 230 (ორას ოცდაათი)
ლარის გადახდა;
7. გ. კ-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარ-
მოდგენილი მტკიცებულებები (შპს „ს“-ს დირექტორის ხ. ხ-ის მიერ
2017 წლის 13 ნოემბერს გაცემული ცნობა №163 და ცნობა №164;
2018 წლის 16 იანვრის ანგარიშ-ფაქტურა №9; საგადახდო დავალე-
ბა №52; ფოტოსურათების ასლები; გადახდის ქვითრები; ექიმ ბ-ის
სამედიცინო ცენტრის კონსულტაციის ბარათი; 2018 წლის 12 თე-
ბერვლის გადახდის დავალება; „SOLO“ გადარიცხვის დოკუმენტი;
ანგარიშიდან ამონაწერი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; ხელ-
შეკრულება არასაცხოვრებელი ფართობის იჯარის შესახებ; ხელ-
შეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ №6401106-ა;
საკრედიტო ხელშეკრულება №6401106-ა-6401106) მთლიანობაში
„133“ ფურცლად;
8. ნ. ა-ს დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოში მის მიერ წარ-
მოდგენილი მტკიცებულებები (იპოთეკის ხელშეკრულება
№893903-3; შეთანხმება იპოთეკის ხელშეკრულებაში №893903-3
ცვლილებების შეტანის შესახებ; სს „თ. ბ-ის“ ... მოედნის სერვის
ცენტრის დირექტორის დ. წ-ძის 2012 წლის 11 აპრილის №01/124-
11 წერილი; სს „თ. ბ-ის“ საბურთალოს ფილიალის გაყიდვების კო-
ორდინატორის ვ. ს-ძის 2017 წლის 6 ოქტომბრის №172/124-02 წე-
რილი; ხელშეკრულება არასაცხოვრებელი ფართობის იჯარის შე-

სახე; ქირავნობის ხელშეკრულება; ცვლილება 2015 წლის 24 დეკემბრის ქირავნობის ხელშეკრულებაში; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ; ...); იჯარის ხელშეკრულება; 23/07/2018 წლის იჯარის ხელშეკრულების დანართი №1; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ს/კ; ...) მთლიანობაში „35“ ფურცლად;

9. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მორალური ზიანის ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-1129-2020

16 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

მ. მ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „პაციენტი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ქ. თ. ფ. ჯ. ც-ის“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „კასატორი“, „სამედიცინო დაწესებულება“) მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურება.

2. სარჩელის საფუძვლები:

2.1. მოსარჩელე დაინტერესებულია აღმოსავლური სპირიტუალიზმით, ბუდიზმითა და იოგით. მისი რწმენა და ინტერესები გახდა ოჯახში კონფლიქტის მიზეზი. მოსარჩელე 2014 წელს წავიდა სამუშაოდ ყატარში, თუმცა, სამსახურის დაკარგვის გამო, 2015 წელს დაბრუნდა საქართველოში. იგი დაახლოებით ოთხი თვის განმავლობაში მუდმივად იმყოფებოდა სახლში და ძირითად დროს უთმობდა საკუთარი ინტერესების რეალიზაციას, იოგასა და მედიტაციას, მარხვას, კვების სპეციალური რაციონის შემუშავებასა და საკვების მიღების ინტენსივობის შემცირებას, მარილიანი წყლით

ორგანიზმის განმენდას. მოსარჩელის დედამ, რომელსაც სურდა, რომ შვილს ფსიქიატრისათვის მიემართა, უარის შემდეგ გადაწყვიტა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მისი სტაციონარში განთავსება.

2.2. 2015 წელს სამედიცინო დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მკურნალობა გაგრძელდა 13 დღის განმავლობაში. მოსარჩელე იძულებით იღებდა შეთავაზებულ მედიკამენტებსა და საკვებს. სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ მას ჰქონდა მუდმივი, რაციონალური შიში, რომ ბუდიზმისა და იოგის შესაბამისი ცხოვრების წესის გამო, კვლავ მოათავსებდნენ სტაციონარში.

2.3. 17.10.2017 წელს, მშობელთან ერთ-ერთი მორიგი ოჯახური კონფლიქტის დროს, მოსარჩელე არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოათავსეს მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში. ექიმ-ფსიქიატრთა დასკვნის მიხედვით, არსებობდა არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონირების ყველა კრიტერიუმი: 1. მოსარჩელეს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნდა გადაწყვეტილების მიღების უნარი; 2. სტაციონარში მოთავსება იყო ფსიქიატრიული დახმარების განევის ერთადერთი გზა; 3. დახმარების დაყოვნება საფრთხეს უქმნიდა, როგორც მოსარჩელის, ისე – სხვის ჯანმრთელობას და შესაძლებელი იყო მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანის დადგომა. მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.10.2017 წლის ბრძანებით, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, მოსარჩელე მოათავსეს სტაციონარში, მკურნალობის კრიტერიუმების ამოწურვამდე. ბრძანება გასაჩივრდა და გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.10.2017 წლის ბრძანებით, შეწყდა მოსარჩელის მიმართ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობა და მისი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება იმთავითვე არაკანონიერად იქნა მიჩნეული.

3. მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ სასამართლოში კანონის სრული დაცვით შეიტანა არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების თაობაზე განცხადება. მოსარჩელე სასწრაფო დახმარების ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში საპატრულო პოლიციის თანხლებით შეიყვანა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება აუცილებელი გახდა მისი აგრესიული ქმედებების გამო, რაც ასახულია სამედიცინო ისტორიაში.

3.2. 2015 წლის ეპიზოდთან მიმართებით, რომელიც ეხება მოსარჩელის პირველ სტაციონირებას, სასამართლოს ბრძანების კა-

ნონიერება სადავოდ არ გამხდარა. 2017 წელს დაწესებულებაში მოთავსების შემდეგ მოსარჩელეს მედიკამენტებით არ მკურნალობდნენ, ვინაიდან რამდენიმე დღიანი შიმშილის შემდეგ, უარს აცხადებდა საკვების მიღებაზე და ფსიქოტროპულ მედიკამენტებს, შესაძლოა, გამოეწვია მისი ჯანმრთელობის გაუარესება. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის განხილვისას პაციენტის სტაციონირებიდან გასული იყო 11 დღე და სწორი მკურნალობის შედეგად პროცესზე წარსდგა განონასწორებელი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძვლები:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.05.2019 წლის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4.1. 19.03.2015 წლიდან 01.04.2015 წლამდე მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.03.2015 წლის ბრძანების საფუძველზე, სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოთავსდა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში. დიაგნოზი: მწვავე და გარდამავალი ფსიქოზური აშლილობა შიზოფრენიის სიმპტომების გარეშე §23.0.

4.2. 17.10.2017 წელს მოსარჩელე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟისა და დედის თანხლებით, გადაიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. 18.10.2017 წელს მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის სტაციონარში მოთავსება მოითხოვა. დიაგნოზი: მწვავე და გარდამავალი ფსიქოზური აშლილობა შიზოფრენიის სიმპტომებით §23.1.

4.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.10.2017 წლის ბრძანებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, მოსარჩელე მოთავსდა სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის კრიტერიუმების ამონურვამდე, მაგრამ არა უმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადით.

4.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.10.2017 წლის ბრძანებით, მოსარჩელის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.10.2017 წლის ბრძანება და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა არ

დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაევალა სტაციონარიდან მოსარჩელის დაუყოვნებლივ განერა.

4.5. არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად 17.10.2017 წელს მოსარჩელის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციითა (შემდეგში „კონსტიტუცია“) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები.

4.6. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ პაციენტი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში კანონიერად იყო მოთავსებული.

4.6.1. კონსტიტუციით აღიარებული და დაცულია ადამიანის თავისუფლების უფლება. ნებადართულია მხოლოდ თავისუფლების მართლზომიერი აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი მართლზომიერი შეზღუდვა, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონით განსაზღვრული წესითა და სასამართლო გადანაცვლებით.

4.6.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 5.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია: ... „ე“ პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულის ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანკანალების კანონიერი დაპატიმრება.

4.6.3. უშუალოდ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა თავისუფლების აღკვეთასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა ფსიქიკური ავადმყოფობის საფუძველზე პირის კანონიერი დაპატიმრების სამი მინიმალური პირობა: სარწმუნოდ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ პირი ფსიქიკურად დაავადებულია, რაც ნიშნავს, რომ ფსიქიკური აშლილობა კომპეტენტური ორგანოს წინაშე უნდა დადასტურდეს ობიექტური სამედიცინო მტკიცებულების საფუძველზე; ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს იმ ტიპის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს თავისუფლების იძულებით აღკვეთას; და თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის კანონიერება დამოკიდებული უნდა იყოს აშლილობის განგრძობად ხასიათზე (იხ: ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., §39; ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (საჩივარი №22520/93), 24.10.1997წ., §60; სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (საჩივარი №36760/

06), 17.01.2012წ., §145; X ფინეთის წინააღმდეგ (საჩივარი №34806/04), 03.07.2012წ., §149; შტუკატუროვი რუსეთის წინააღმდეგ (საჩივარი №44009/05), 27.03.2008წ., §149).

4.6.4. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ საქართველოს კანონი ეფუძნება თანამედროვე ფსიქიატრიის მიდგომებს, რომ ფსიქიატრიული მკურნალობა ნებაყოფლობითია და ტარდება პირის ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი არ არის საკმარისი პირობა ნების წინააღმდეგ მკურნალობისა და საფუძველი ადამიანისათვის სხვადასხვა უფლების, თავისუფლებისა თუ საქმიანობის შეზღუდვისათვის; ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს პირის არა მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზს, არამედ მის ფსიქიკურ მდგომარეობას და სოციალური ადაპტაციის ხარისხს.

4.6.5. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და დასკვნებზე, რომლებიც საფუძველად დაედო არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარს. პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს დაწესებულებაში მოთავსების დღიდან არ ჩატარებია ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი, არ მიუღია არანაირი წამალი, სამკურნალო სამუალები, მიუხედავად ამისა, პაციენტი იყო მშვიდი, გარეგნულად მონესრიგებული, გასაუბრებისათვის მისაწვდომი, შეკითხვებზე პასუხობდა არსებითად, ადგილსა და დროში ორიენტირდებოდა სწორად, არ იყო სოციალურად საშიში, არ გამოხატავდა აგრესიას. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სტაციონარში მიყვანისას პაციენტის ემოციური მდგომარეობა, რაც საფუძველად დაედო პაციენტის სტაციონარში იძულებით მოთავსებას, უკავშირდებოდა არა მის დაავადებას, არამედ იმ ოჯახურ კონფლიქტს, რაც წინ უძღოდა საპატრულო პოლიციის გამოძახებას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პოზიცია, რომ მოსარჩელე ფსიქიკური აშლილობის გამო გაუცნობიერებლად ამბობდა უარს ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე და ამ დახმარების გარეშე საფრთხე ექმნებოდა მის ან სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

4.6.6. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა არ წარმოადგენს ერთდერთ მტკიცებულებას, რასაც სასამართლო ეყრდნობა პირის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების ჩვენების ფაქტის დადგენისა და პირის სტაციონარში მოთავსების საკითხის განსაზღვრისას, თუმცა, ვინაიდან პა-

ციენტის ჯანმრთელობისა და მკურნალობის კრიტერიუმების განსაზღვრა უშუალოდ მედიცინის პრეროგატივაა და აღნიშნულ საკითხში სასამართლოს კომპეტენცია არ გააჩნია, პირის სტაციონარში მოთავსების საკითხის განსაზღვრის პროცესში სასამართლო მტკიცების მაღალ ხარისხს ანიჭებს სწორედ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას. ამდენად, დასკვნის გამცემი ვალდებულია, მაქსიმალურად აწონ-დაწონოს პაციენტის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირების სარგებელი და ის შესაძლო რისკები, რაც დაკავშირებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების შეზღუდვასთან.

4.6.7. ნებაყოფლობით მკურნალობაზე მოსარჩელის თანხმობის არარსებობის პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგინდა მოპასუხის ექიმ-ფსიქიატრთა დასკვნის დაუსაბუთებლობა, სასამართლომ მოსარჩელის მოთავსება სტაციონარში შეაფასა თავისუფლების შეზღუდვად, რომელიც ვერ იქნება მართლზომიერი და გამართლებული.

4.7. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 1005-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ სსკ არ ითვალისწინებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების წესს, თუმცა უდავოა, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას აქვს მყარი ლეგიტიმური საფუძველი. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული სტანდარტებისა და საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ 17.10.2017 წელს მოსარჩელის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება შეაფასა თავისუფლების უკანონო შეზღუდვად, რაც მას ანიჭებს შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლებას კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

4.8. სსკ-ის 413-ე მუხლი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს და ადგენს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

4.9. სსკ-ის 18.2. მუხლით, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. მიუხედავად იმისა,

რომ აღნიშნული ნორმა, ერთი შეხედვით, ამომწურავად ჩამოთვლის დაცულ არამატერიალურ სიკეთეთა წრეს, თავად ამ სიკეთეთა შინაარსობრივი მხარე და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის კონცეფცია, რომელსაც ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და კონსტიტუცია, ეროვნულ სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, აღნიშნული ნორმის ფარგლებში უზრუნველყონ იმ არაქონებრივ უფლებათა და სიკეთეთა დაცვა, რომლებიც იმანენტურია ადამიანისათვის, როგორც უმაღლესი ფასეულობისათვის და განაპირობებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების არსს. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმოყვანის ბრალისა, ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

4.10. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფით მოყვებულნი მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს მორალური ზიანის არსებობა. მორალური ზიანი გულისხმობს სამართლებრივად დაცული იმ არაქონებრივი ინტერესის ხელყოფას, რომელსაც ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის განმსაზღვრელი არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტის არსებობა, მოცემულ შემთხვევაში აშკარაა. მოსარჩელის თავისუფლების უკანონო შეზღუდვით ხელყოფილ იქნა მისი პატივი და ღირსება, პირადი ცხოვრების ავტონომიაზე უფლება, რამაც მოსარჩელეს ღრმა ზნეობრივ-ფსიქიკური ტანჯვა განაცდევინა. განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს ფაქტი, რომ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა მისი ფსიქიკური დანეგებულებაში არანებაყოფლობითი მოთავსების გზით, როდესაც არ არსებობს მსგავსი შეზღუდვის სამედიცინო აუცილებლობა და მით უფრო, როდესაც პირს აქვს გადაწყვეტილების მიღებისა და გარემო სიტუაციის აღქმის, შეფასების უნარი, უარყოფითად აისახება ნებისმიერ, თუნდაც სრულიად ჯანსაღი ფსიქიკის მქონე ადამიანზე.

4.11. ფაქტი, რომ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიკური დაზიანების მიზანშეწონილობის საკითხის გადაწყვეტისას იმ არსებით გარემოებებს, რომლებიც წინ უძღოდა მოსარჩელის სტაციონირებას, მოპასუხის მხრიდან არ მოჰყოლია არათუ სათანადო რეაგირება, არამედ შეფასებაც კი, დასტურდება როგორც

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 27.10.2017 წლის ბრძანებით, ასევე, საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციითა და მოპასუხე მხარის ინიციატივით გამოძახებული სპეციალისტის სასამართლო პროცესზე გამოხატული პოზიციიდანაც, რაც ექიმ-ფსიქიატრთა მხრიდან, მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხის გადასაჭრელად არსებით გარემოებათა ზედაპირული შესწავლის პირდაპირი გამოვლინებაა. არსებობს მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ყველა პირობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ღამდგარ შედეგს შორის.

4.12. მორალური ზიანის მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო სრულად. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 5000 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და საფუძველი:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.08.2020 წლის განჩინებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებებს და დამატებით მიუთითა შემდეგი:

6.1. სააპელაციო სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზე და პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ა.ა. ქვეპუნქტზე (პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია პაციენტის უფლებების დარღვევით). სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 17.10.2017 წელს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის დაწესებულებაში მოთავსებით დაირღვა მისი კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული

ლი თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებები, რაც მას მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა.

6.2. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისას, რომელიც არ არის დაკავშირებული საკუთრების უფლების ხელყოფასთან. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონო მოთავსებისა და ღირსების შელახვის გამო განიცადა და მძიმე სულიერი ტკივილი, რის შესაბამისადაც არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები.

6.3. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოთხოვნის საფუძველზე. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი წონასწორობის მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას წარმოადგენს. მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი ფაქტორით. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, არსებობს მოპასუხისთვის მორალური ზიანის სახით 5000 ლარის გადახდის დაკისრების საფუძველი.

საკასაციო საჩივარი აგებულია შემდეგ მოსაზრებებსა და სავარაუდო დარღვევებზე:

7. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდე-

გი საფუძვლებით:

7.1. პირველი ინსტანციის სასამართლო არასწორად უთითებს სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და ფსიქიატრებს ადარებს გამომძიებლებს, პროკურორებს, რომლებსაც ვითარების გამოსაკვლევად დიდი რესურსი აქვთ. ფსიქიატრი აფასებს მიწოდებულ ფაქტებს და პირის ფსიქიკური აშლილობის ხარისხს, მის სოციალურ საშიშროებას ადგენს მიწოდებული ფაქტებისა და პაციენტის გამოკითხვის საფუძველზე. ფსიქიატრს ვერ ექნება იგივე ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რაც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენლებს.

7.2. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია/პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელე უკანონოდ მოთავსდა სამედიცინო დაწესებულებაში. ამ ქმედების კანონიერებაზე სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლო ვერ იმსჯელებს.

7.3. სასამართლოს არ უმსჯელია, რა სახის ზიანი მიადგა მოსარჩელეს და შეესაბამებოდა თუ არა მის მიერ მოთხოვნილი თანხა კანონიერების პრინციპს. ექიმებს მოსარჩელისთვის არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ. სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 413-ე მუხლი.

7.4. კასატორმა დაიცვა ყველა საკანონმდებლო სტანდარტი და ფსიქიატრების კომპეტენტურ აზრზე დაყრდნობით მიმართა სასამართლოს არანებაყოფლობითი მკურნალობის შესახებ შუამდგომლობით. სასამართლოებმა ყოველგვარი ალტერნატიული სამედიცინო ექსპერტიზისა და სპეციალისტის ჩართვის გარეშე გადანწყვიტეს დავა და დაუსაბუთებლად უგულებელყვეს ფსიქიატრების მრავალწლიანი პრაქტიკა და სპეციალური ცოდნა. ექიმები ეყრდნობდნენ სასწრაფო დახმარების ექიმებისა და საპატრულო ეკიპაჟის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ასევე – პაციენტთან გასაუბრების შედეგად მისი ჯანმრთელობის შესახებ მიღებულ ინფორმაციას. მკურნალობის პერიოდში, რომელიც სულ რაღაც ათი დღე გრძელდებოდა, გამოვლენილ სომატურ მდგომარეობაზე დაყრდნობით ექიმებმა პრიორიტეტულად მიიჩნიეს მოსარჩელის საადამიანო ფოფიდან განერა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.03.2021 წლის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყო-

ფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საქმეზე დადგენილია და საკასაციო საჩივრით დასაშვები, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის, რომ:

10.1. 19.03.2015 წლიდან 01.04.2015 წლამდე მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.03.2015 წლის ბრძანების საფუძველზე სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოთავსებული იყო მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში. დიაგნოზი: მწვავე და გარდამავალი ფსიქოზური აშლილობა შიზოფრენიის სიმპტომების გარეშე F23.0.

10.2. 17.10.2017 წელს მოსარჩელე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟისა და დედის თანხლებით, გადაიყვანა სამედიცინო დაწესებულებაში. 18.10.2017 წელს მოპასუხემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოითხოვა მოსარჩელის სტაციონარში მოთავსება. დიაგნოზი: მწვავე და გარდამავალი ფსიქოზური აშლილობა შიზოფრენიის სიმპტომებით F23.1.

10.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.10.2017 წლის ბრძანებით დაკმაყოფილდა მოპასუხის შუამდგომლობა და დადგინდა მოსარჩელის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება სამედიცინო დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მკურნალობის კრიტერიუმების ამონურვამდე, მაგრამ არა უმეტეს 6 (ექვსი) თვის ვადით.

10.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.10.2017 წლის ბრძანებით მოსარჩელის საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.10.2017 წლის ბრძანება და არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მო-

სარჩელის სტაციონარში მოთავსების შესახებ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს დაევალა სტაციონარიდან მოსარჩელის დაუყოვნებლივ განერა. სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

10.4.1. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის კრიტერიუმების განსაზღვრა უშუალოდ მედიცინის პრე-როგატივად და აღნიშნულ საკითხში სასამართლოს კომპეტენცია არ გააჩნია. პირის სტაციონარში მოთავსების საკითხის განსაზღვრის პროცესში ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას, თუმცა სასამართლო მტკიცების მაღალ ხარისხს ანიჭებს. წარსულში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობის ფაქტს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პირის ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისას.

10.4.2. მოსარჩელეს სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების დღიდან არ ჩატარებია ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი, არ მიუღია არანაირი წამალი და სამკურნალო საშუალება, მიუხედავად ამისა, პაციენტი იყო მშვიდი, გარეგნულად მოწესრიგებული, გასაუბრებისათვის მისანვდომი, შეკითხვებზე პასუხობდა არსებითად, ადგილსა და დროს სწორად აღიქვამდა, არ იყო სოციალურად საშიში, არ გამოხატავდა აგრესიას; შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ის აღგზნებულობა, რა მდგომარეობაშიც, კომისიის დასკვნის მიხედვით, პაციენტი მიიყვანეს სტაციონარში, უკავშირდებოდა არა მოსარჩელის დაავადებას, არამედ საპატრულო პოლიციის გამოძახებამდე ოჯახურ კონფლიქტს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პოზიცია, რომ მოსარჩელე ფსიქიკური აშლილობის გამო გაუცნობიერებლად ამბობდა უარს ფსიქიატრიული დახმარების მიღებაზე და რომ ამ დახმარების გარეშე საფრთხე ექმნებოდა მის ან სხვა პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას. საქმეში წარმოდგენილია სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გამოკითხული მოსარჩელის მკურნალი ექიმის და იმ ექიმ-ფსიქიატრის განმარტებები, რომელიც ჩართული იყო მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების პროცესში (კომისიის წევრი) (მკურნალმა ექიმმა განაცხადა, რომ მოსარჩელეს სტაციონარში არ ჩატარებია არანაირი მკურნალობა... მოსარჩელის მდგომარეობა არის იგივე, როგორც შევიდა დაწესებულებაში..., მასში არ შეცვლილა არაფერი. თავად ექიმებიც მომხრეები არიან, რომ მოსარჩელე არ დარჩეს სამედიცინო დაწესებულებაში. კომისიის წევრის განმარტებით კი, არანებაყოფლობითი მკურნალობა უნდა შეიცავდეს შესაბამის კრიტერიუმებს, რომელიც ამ ეტაპზე არ არსებობს. მოსარჩელე არ არის სოციალურად საშიში, რომ საუკუთარ თავს რამე აუტეხოს ან ზიანი მიაყენოს ვინმეს ქონებას და

ა.შ.).

11. საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ 17.10.2017 წელს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებით დაირღვა კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით (შემდეგში „კონვენცია“) გარანტირებული პირადი ხელშეუხებლობისა და თავისუფლების უფლებები.

12. კონსტიტუციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა დაცულია. მასში იგულისხმება არა მარტო ფიზიკური ძალადობისაგან თავისუფლება, არამედ თავისუფლება ყოველგვარი ფიზიკური ძალდატანებისაგან — თავისუფლება იმისაგან, რომ განიცადო რაიმე ფიზიკური ზემოქმედება საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. იგი სრულიად განსხვავებულ უფლებებს მოიცავს. ადამიანის ჯანმრთელობაში ყოველგვარი ჩარევა შეიძლება მხოლოდ მისი თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობით, ხოლო განსაკუთრებულ და გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ასეთი თანხმობის მიღება შეუძლებელია — მხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობის ინტერესის შესაბამისად (ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 99).

13. ჰიპოკრატეს დროიდან მოყოლებული, პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა ეფუძნება სარგებლის მოტანისა და ზიანის არმიყენების ძირითად პრინციპებს. პატერნალისტური მიდგომა, როცა პაციენტის სასარგებლოდ და მის ნაცვლად, გადაწყვეტილებას იღებდა ექიმი, თანდათან ტრანსფორმირდა სამომხმარებლო ურთიერთობად, სადაც გადამწყვეტი პაციენტის ნებაა და ამ ნების უგულებელყოფა ფასდება ადამიანის ღირსების შელახვად (ირმა გელაშვილი, სამედიცინო სამართლის პრინციპები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2021წ., გვ.38).

14. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, კონვენციის მონაწილე მხარეებმა უნდა დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალურობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში (ძალაშია 01/03/2001-დან).

15. ბიოსამედიცინო ეთიკაში აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ავტონომია. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, იგი გულისხმობს პაციენტის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს

მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა საკითხი. ეს ნესი ხაზს უსვამს პაციენტის ავტონომიას პროფესიონალ სამედიცინო სფეროს მუშაკებთან ურთიერთობაში და ზღუდავს პატერნალისტურ მიდგომებს, რომლის პირობებში, ექიმის მხრიდან ზრუნვის და „აკეთე სიკეთეს“ პრინციპით, პაციენტის უფლებები შესაძლებელია იყოს იგნორირებული. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ქმედუნარიანი და სრულწლოვანი პაციენტის თანხმობის გარეშე, მის მიმართ განხორციელებული სამედიცინო ჩარევა შეუთავსებელია ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების დაცვის მოთხოვნებთან (V.C. v. SLOVAKIA, (საჩივარი №18968/07), 08.11.2011წ., §107). ასევე, მნიშვნელოვანი პრინციპია სარგებლიანობის პრინციპი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გაწევს ავალდებულებს პაციენტის სასარგებლოდ მოქმედებას. სარგებლიანობის პრინციპი მოიცავს „არ ავნო“ ვალდებულებასაც. სარგებლიანობა და ზიანის არმიყენება გულისხმობს სავარაუდო სარგებლის მაქსიმალურად გაზრდასა და სავარაუდო ზიანის მინიმუმამდე შემცირებას. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ფიზიკური, ისე – ფსიქიკური რისკი/ზიანი. რისკი უნდა იყოს მინიმუმამდე შემცირებული და სარგებლიანობის პროპორციული (ირმა გელაშვილი, სამედიცინო სამართლის პრინციპები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, 2021წ., გვ.39, 40).

16. კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით, ადამიანის თავისუფლება დაცულია. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული „ადამიანის თავისუფლება“ გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და მასში ჩარევა შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებლო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა, აფერხებს და ზოგჯერ სრულიად გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 06.04.2009წ. №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-6). კონსტიტუციის ამ მუხლით გარანტირებული უფლება ერთ-ერთი იუსტიციური უფლებაა. იგი იცავს ადამიანის თავისუფლებას.

ვისუფლებას და გარანტირებულია არამართო მატერიალური სამართლის ნორმით, არამედ კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმებით, რაც ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ ადგილს ძირითად უფლებათა სისტემაში. იმავდროულად, იგი წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული უფლების („თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება“) ანალოგს (მერაბ ტურავა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 130).

17. ადამიანის ფიზიკური თავისუფლების სფერო არ სარგებლობს აბსოლუტური დაცვით. პიროვნების დაკავება, დაპატიმრება, თავისუფლების აღკვეთა თუ მისი სხვაგვარი შეზღუდვა გამართლებულია საჯარო ინტერესის თვალსაზრისით, თუმცა, ჩარევა უნდა ხორციელდებოდეს სამართლებრივი განსაზღვრულობისა და სამართლის უზენაესობის პრინციპების სრული დაცვით, რათა ადამიანის თავისუფლება არ გახდეს ვინმეს თვითნებობის მსხვერპლი (Engel and others v. The Netherlands (საჩივარი №5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72), 08.06.1976წ., §58; Bozano v. France (საჩივარი №9990/82), 18.12.1986წ., §54; Assanidze v. Georgia (საჩივარი №71503/01), 08.04.2004წ., §175). თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს ნორმატიულად განსაზღვრულ საფუძველს, როდესაც სახელმწიფოს ჩარევის უფლება ენიჭება. „თავისუფლების აღკვეთა“ არ მოიცავს მხოლოდ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებულ ჩარევას, ანუ პიროვნების დაკავებას ან დაპატიმრებას დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე და კანონიერ პატიმრობას სასამართლოს განაჩენის შესაბამისად. „თავისუფლების აღკვეთად“ განიხილება ხელისუფლების ნებისმიერი ქმედება, რომელიც პიროვნების თავისუფლების დაკარგვას გულისხმობს, მათ შორის, არასრულწლოვანთა დაპატიმრება აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის გადასაცემად, პირის დაკავება ქვეყანაში უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან მისი დეპორტაციისა და ექსტრადიციის მიზნით, აგრეთვე – დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა თავიდან ასაცილებლად, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების, მანანწალების დაკავება და სხვა; „თავისუფლების აღკვეთად“ შეიძლება შეფასდეს ამა თუ იმ დანესებულებაში ადამიანის იძულებით გამწესებაც, სადაც თავისუფლების შეზღუდვის ხარისხი თავისუფლების აღკვეთას უტოლდება. მაგალითად, ფსიქიკურად ან სხვაგვარად დაავადებული პირის თავისუფლების შეზღუდვა დახურული ტიპის სამკურნალო დანესებულებას ან თავშესაფარში მისი ნების

საწინააღმდეგოდ, ანდა სამხედრო პირის მიმართ განხორციელებული თავისუფლების შეზღუდვა სამხედრო რეჟიმის შესაბამისად და სხვ. (ევა გოცირიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 56, 57).

18. ამიტომ, როგორც კონსტიტუცია, ისე კონვენციის მე-5 მუხლი, ამომწურავად მიუთითებს იმ საფუძვლებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც თავისუფლების აღკვეთა გამართლებულად შეიძლება შეფასდეს. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ამომწურავად არის ჩამოთვლილი. მითითებული პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით ასეთ დაშვებულ გამონაკლისს წარმოადგენს პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მანანალეზის კანონიერი დაპატიმრება.

19. თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომელზეც დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლების უზრუნველყოფა. პირის თავისუფლება და უსაფრთხოება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რის გამოც ევროპული სასამართლო იშვიათად განასხვავებს მათ. უსაფრთხოების უფლება ნიშნავს, რომ იკრძალება პირის უკანონო დაკავება. მიუხედავად ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ტერმინების მნიშვნელობისა, კონვენციის მე-5 მუხლში გამოყენებული ორი ტერმინი – დაკავება და დაპატიმრება, რომლებიც კონვენციაში ავტონომიური მნიშვნელობით განიმარტება, უნდა იქნეს გაგებული – როგორც პირისათვის თავისუფლების აღკვეთა. კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ პირისათვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით. საქმეზე – ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Winterwerp v. Netherlands*) – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ პირის დაკავების პროცედურამ უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესები (იხ.: კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004 წელი, გვ. 143).

20. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოკვეთა, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის

შესაბამისად, ფსიქიკური ავადმყოფობის საფუძველზე პირის კანონიერი დაპატიმრების სამი მინიმალური პირობა: 1) სარწმუნოდ უნდა იყოს ნაჩვენები, რომ პირი ფსიქიკურად დაავადებულია, რაც ნიშნავს, რომ ფსიქიკური აშლილობა კომპეტენტური ორგანოს წინაშე უნდა დადასტურდეს ობიექტური სამედიცინო მტკიცებულების საფუძველზე; 2) ფსიქიკური აშლილობა უნდა იყოს იმ ტიპის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს თავისუფლების იძულებით აღკვეთას; და 3) თავისუფლების აღკვეთის გახანგრძლივების კანონიერება დამოკიდებული უნდა იყოს ამგვარი აშლილობის განგრძობად ხასიათზე (იხ. ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., §39 ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 24.10.1997წ. §60, Reports 1997-VII; სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №36760/06, §145, 17.01.2012წ.) (საქმე X ფინეთის წინააღმდეგ (საჩივარი №34806/04) 03.07.2012წ.; §149. <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2016/07/CASE-OF-X-v.-FINLAND-Georgian-Translation-by-the-COE-Human-Rights-Trust-Fund.pdf>). ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, ევროპული სამართლო განმარტავს, რომ პირის დაპატიმრება იმდენად მკაცრი ზომაა, რომ ის გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როცა დადგენილია, რომ სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომები არასაკმარისია იმ ინდივიდუალური ან საზოგადო ინტერესის დასაცავად, რომელიც შეიძლება მოითხოვდეს განსახილველი პირის დაპატიმრებას (იხ. ვიტოლდ ლიტვა პოლონეთის წინააღმდეგ №26629/95, §78, ECHR 2000-III; ვარზანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, №31365/96, §46, ECHR 2000-X; ასევე, სტანევი, ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №36760/06, §143) (საქმე X ფინეთის წინააღმდეგ (საჩივარი №34806/04) 03.07.2012წ.; §151. <https://www.globalhealthrights.org/wp-content/uploads/2016/07/CASE-OF-X-v.-FINLAND-Georgian-Translation-by-the-COE-Human-Rights-Trust-Fund.pdf>).

21. კონვენცია არ განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვები „სულით ავადმყოფები“. აღნიშნულ ტერმინს არ შეიძლება მიეცეს მკაფიოდ განსაზღვრული ინტერპრეტაცია: ამ ტერმინის მნიშვნელობა გამუდმებით განიცდის ევოლუციას, ვინაიდან ვითარდება ფსიქიატრიული კვლევა, მკურნალობა სულ უფრო მოქნილი ხდება და იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება სულიერად დაავადებულების მიმართ, ხდება მათი პრობლემების გააზრება. ნებისმიერ შემთხვევაში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი აშკარად არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს უშვებს პირის დაკავებას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრები ან საქციელი განსხვავდება კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებუ-

ლი ნორმებისაგან. სხვაგვარი განმარტება არ იქნება შესაბამისობაში მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ტექსტთან, რომელიც იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს (იხ. Engel and others, 1976 წლის 8 ივნისი, სერია A №22, გვ. 24, პუნქტი 57, და საქმე Ireland v. the United Kingdom 1978 წლის 18 იანვარი, სერია A №25, გვ. 74, პუნქტი 194) იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ექვემდებარება შეზღუდულ ინტერპრეტაციას (მუტატის მუტანდის, Klaas and others, 1978 წლის 6 სექტემბერი, სერია A №28, გვ. 21, პუნქტი 42, და Sunday Times-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1979 წლის 26 აპრილი, სერია A №30, გვ. 41, პუნქტი 65). ეს არც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საგანსა და მიზანს შეესაბამება, კერძოდ, რომ არავის შეიძლება წაერთვას თავისუფლება თვითნებური გზით (იხ. Lawless-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1961 წლის 1 ივლისი, სერია A №3, გვ. 52, და Engel and others-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 25, პუნქტი 58). უფრო მეტიც, ეს უგულებელყოფდა თავისუფლების უფლების მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში (იხ. De Wilde, Ooms and Versyp-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, 1971 წლის 18 ივნისი, სერია A №12, გვ. 36, პუნქტი 65, და Engel and others-ის საქმეზე გამოტანილი განაჩენი, გვ. 35, პუნქტი 82) (საქმე ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., §37. <https://rm.coe.int/168008ebe2>). სასამართლოს აზრით, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, ადამიანს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, თუ დანამდვილებით არ იქნება ნაჩვენები, რომ იგი არის „სულით ავადმყოფი“. სულიერი აშლილობის ხასიათი, რაც უნდა დადგინდეს კომპეტენტური ეროვნული ხელისუფლების მიერ, საჭიროებს სპეციალურ ობიექტურ სამედიცინო შემოწმებას. უფრო მეტიც, სულიერი აშლილობა უნდა იყოს ისეთი სახის ან ხარისხის, რომ ამართლებდეს იძულებით დაკავებას (საქმე ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., § 39. <https://rm.coe.int/168008ebe2>).

22. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებაზე მსჯელობისას აუცილებელია, შეფასდეს: აღნიშნულის მიზანი არის მხოლოდ სოციალური, თუ ასევე – თერაპიული. შესაბამისად, უნდა გაირკვეს, არის თუ არა საჭირო სათანადო მკურნალობის მიღების ფაქტის დადასტურება დაკავების კანონიერად მიჩნევისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ადრეული გადაწყვეტილებებით (ვინტერვერპი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwerp v. the Netherlands) (საჩივარი №6301/73), 24.10.1979წ., §51 და ეშინგდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Ashingdane v. The United Kingdom) (საჩივარი

№8225/78), 28.05.1985წ., §44) სათანადო მკურნალობის უფლება არ მოიაზრებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დაცულ სფეროში და ყურადღება მხოლოდ დაცვის სოციალურ ფუნქციაზე მახვილდებოდა. მოგვიანებით, აერტსი ბელგიის წინააღმდეგ (*Aerts v. Belgium* (საჩივარი №25357/94), 30.07.1998წ., §49, §50) საქმის შემდეგ, სასამართლო პრაქტიკამ ცნო კავშირი თავისუფლების შეზღუდვის კანონიერებასა და მისი აღსრულების პირობებს შორის, ასე რომ, მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული განეული მკურნალობა და არა თავისუფლების აღკვეთის მიზანი. სათანადო მკურნალობის მიუღებლობა (რისთვისაც იზღუდება პირის თავისუფლება), წყვეტს აუცილებელ კავშირს დაკავების მიზანსა და მის კანონიერებას შორის, რაც საბოლოოდ იწვევს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას.

23. გადაწყვეტილებაში რუმანი ბელგიის წინააღმდეგ (*Rooman v. Belgium* [დიდი პალატა] (საჩივარი №18052/11), 31.01.2019წ., იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2020 წლებში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებული, საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანალიტიკური განყოფილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ.24-27) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მომჩივნის თავისუფლების შეზღუდვაზე. დიდმა პალატამ დაადასტურა, რომ განვითარებული პრეცედენტული სამართლისა და არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა შეიძლება ჩაითვალოს ორმაგი ფუნქციის მქონედ: ვინტერვერპისა და ემინგდენის საქმეებში (ორივე ციტირებულია ზემოთ) ხაზგასმულ სოციალურ ფუნქციასთან ერთად, მას თერაპიული ფუნქციაც ეკისრება, ამდენად, ამგვარი პატიმრისთვის „სათანადო და ინდივიდუალიზებული მკურნალობა“ მისი თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების პირობად იქცა. მკურნალობა მიზნად უნდა ისახავდეს პირის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი საშიშროების შემცირებას, სამომავლოდ გათავისუფლების მიზნით (დიდმა პალატამ გაიზიარა მსჯელობა: მიუხედავად იმისა, დაავადებამ შეასუსტა მომჩივნის აღქმის უნარი და დაუცველი გახადა იგი, ეს არ ნიშნავს, რომ პირს უნდა დაევალოს მკურნალობა. ამასთან, შემოთავაზებული უნდა ყოფილიყო მკურნალობა, რომელშიც მომჩივანი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ჩაერთვებოდა და ექნებოდა არჩევანის უფლება).

24. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის უფლება).

რაციასა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტთან ერთად, ქმნის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის (შემდეგში „პაქტი“) შესრულებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა კომიტეტი. პაქტის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით, თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას. არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკით, პაციენტის იძულებითი მკურნალობა ფსიქიატრიულ დანასებულებაში წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვას პაქტის მე-9 მუხლის მიხედვით (იხ.: ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისათვის, ავტორთა კოლექტივი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, გვ. 21, 27).

25. ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლით, კანონით განსაზღვრული დამცავი მექანიზმების გათვალისწინებით, მძიმე ხასიათის ფსიქიკური დაავადების მქონე პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაუტარდეს ამ დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებული ჩარევა მისი თანხმობის გარეშე, როდესაც ამ ჩარევის გარეშე მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება.

26. ამდენად, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ინსტიტუტი, თავისი არსით, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერი საფუძველია. ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (ამჟამინდელი სათაურია ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი (შემდეგში ტექსტში „კანონი“)) განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლის დროსაც სამედიცინო სფეროს თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევით, ფსიქიატრთა კომისიის დასკვნისა და სასამართლოს გადაწყვეტილებით პირს ეზღუდება თავისუფლება მისთვის მკურნალობის ჩატარების მიზნით. კანონის მიზანია, უზრუნველყოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ფსიქიატრიული დახმარების ხელმისაწვდომობა და უწყვეტობა, აღნიშნულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დაცვა; განსაზღვროს ფსიქიატრიის დარგის მუშაკთა უფლებები და მოვალეობანი.

27. კანონის (წინამდებარე განჩინებაში მითითებულია და შეფასებულია კანონის ნორმები სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციით) მე-18 მუხლი ადგენს კრიტერიუმებს, რომელთა დაკმაყოფი-

ლების შემთხვევაშიც პირს უტარდება არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება, კერძოდ, როდესაც პირს ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადანეცილებების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე, აგრეთვე, თუ: ა) დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის პაციენტის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; ბ) პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. მითითებული მუხლი შეიცავს მკაცრად განერილ პროცედურას, რის შესაბამისადაც უნდა განთავსდეს პირი სტაციონარში არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზნით (პაციენტის სტაციონარში არანებაყოფლობითი წინასწარი მოთავსება ხდება სტაციონარის მორიგე ექიმის გადანეცილებით. პაციენტის სტაციონარში მოთავსება ითვლება არანებაყოფლობითი მკურნალობის დასაწყისად (18.4 მუხლი). სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ-ფსიქიატრთა კომისიამ უნდა შეისწავლოს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა და გადანეციტოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზანშეწონილობის საკითხი (18.5 მუხლი). თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დაასკვნის, რომ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება არ არის მიზანშეწონილი, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაენეროს სტაციონარიდან (18.6 მუხლი). თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია დაასკვნის, რომ არსებობს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმები და არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება აუცილებელია, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს სასამართლოს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსების შესახებ შესაბამისი ბრძანების გამოცემის მოთხოვნით პირის სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში (18.7 მუხლი). სასამართლო ვალდებულია ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამისი მიმართვის მიღებიდან 24 საათის ვადაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განიხილოს იგი და მიიღოს გადანეცილებება პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (18.8 მუხლი). თუ სასამართლო არ მიიღებს გადანეცილებას არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ (ან სტაციონარში უკვე მოთავსებული პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების ვადის გაგრძელების თაობაზე), პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაენეროს სტაციონარიდან

(18.11 მუხლი).

28. ამდენად, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციით, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზანშეწონილობის საკითხის გადანყვეტისას განსაკუთრებული მტკიცებულებითი ძალა ენიჭება ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას, რომელშიც სპეციალისტების მიერ ფასდება კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი კრიტერიუმების არსებობა და, შესაბამისად, არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების აუცილებლობა. სწორედ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია წარმოადგენს პირველად რგოლს აღნიშნული საკითხის გადანყვეტისას და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების არსებობის ფაქტს, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პაციენტის სტაციონარში მოთავსებისათვის ბრძანების გამოცემის მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაენეროს სტაციონარიდან. გასაზიარებელია მსჯელობა მასზე, რომ დასკვნის გამცემ კომისიას მომეტებული პასუხისმგებლობა ეკისრება, დაიცვას ბალანსი პაციენტის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სტაციონირებიდან მომდინარე სარგებელსა და იმ შესაძლო რისკებს შორის, რაც დაკავშირებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნული თავისუფლების შეზღუდვასთან.

29. განსახილველ შემთხვევაში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების შესახებ ბრძანების გაუქმების ძირითადი საფუძველი გახდა ის, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების დღიდან მოსარჩელეს არ ჩატარებია ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი, არ მიუღია არანაირი წამალი, სამკურნალო საშუალება და, მიუხედავად ამისა, პაციენტი იყო მშვიდი, გარეგნულად მონესრიგებული, გასაუბრებისათვის მისაწვდომი, შეკითხვებზე პასუხობდა არსებითად, შეკითხვის ფარგლებს, ადგილს, დროსა და საკუთარ ვინაობას აცნობიერებდა, არ იყო სოციალურად საშიში, არ გამოხატავდა აგრესიას. თავად მკურნალი ექიმისა და ექიმ-ფსიქიატრის განმარტებებით (რომელიც ჩართული იყო მოსარჩელის სტაციონარში მოთავსების პროცესში) დადასტურდა, რომ არ არსებობდა მოსარჩელისათვის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების აღმოჩენის წინაპირობა, ანუ თავდაპირველი ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნა იყო მცდარი და სტაციონარში იძულებით ყოფნის პირობებში ვერ იქნებოდა მიღწეული ე.წ. თერაპიული მიზანი – მისი გამოჯანმრთელება.

30. საკასაციო პალატას მიაჩნია: სტაციონარში პირის იძულე-

ბით ყოფნა მაშინ, როცა ამის სამედიცინო ჩვენება რეალურად არ არსებობს, ვერ უზრუნველყოფს თავისუფლების შეზღუდვის ვერც სოციალურ და ვერც თერაპიულ მიზანს, რაც იწვევს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას და მოსარჩელეს ანიჭებს დაცვის ღირს ინტერესს.

31. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით პალატას მიაჩნია, რომ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მოსარჩელის თანხმობის არარსებობის პირობებში მისი მოთავსება მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში უნდა შეფასდეს არამართლზომიერ თავისუფლების შეზღუდვად, რომელიც ვერ იქნება გამართლებული, რამდენადაც არ აკმაყოფილებს კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ იმ მინიმალურ სტანდარტს, რაც სავალდებულოა პირისათვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის დასადგენად.

32. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, პირს უფლება აქვს, სამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმოყფის ბრალისა, ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმოყფს. ბრალეული ხელმოყფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია მოსარჩელის პირადი ხელშეუხებლობის შელახვის ფაქტი, რასაც საფუძვლად დაედო სამედიცინო დაწესებულების ექიმების გაუფრთხილებლობა – ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელება, ანუ საკითხის სრულყოფილი ანალიზის გარეშე დასკვნის შედგენა. აღნიშნული მოსარჩელეს ანიჭებს მორალური ზიანის მოთხოვნის უფლებას.

33. სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. აღნიშნული საკანონმდებლო მოწესრიგება მიზნად ისახავს, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება. მოსარჩელე მორალური ზიანის არსებობის

ფაქტს უკავშირებს იმ ფსიქო-ემოციურ სტრესს, რაც მან განიცადა მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში უკანონო მოთავსებით.

34. პალატა მიუთითებს, რომ მორალური ზიანის მახასიათებელია ადამიანის ფსიქიკურ და სულიერ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც გამოიხატება მის ზნეობრივ ტანჯვაში. ზიანის ანაზღაურებისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ზიანის სიმძიმე. მსუბუქი სულიერი განცდები მხედველობაში არ მიიღება, ხოლო, როდესაც მოსალოდნელია მძიმე ფსიქიკური განცდები, სულიერი ტანჯვა და ა. შ., ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ დაზარალებულმა მძიმე სულიერი ტკივილი განიცადა. განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონო მოთავსებით, მისი ხელშეუხებლობისა და თავისუფლების შეზღუდვით, განიცადა მძიმე სულიერი ტკივილი, ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, რის შესაბამისადაც არსებობს მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასებით იკვეთება მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

35. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით გადასახდელი თანხის ოდენობას, სასამართლო ხელმძღვანელობს გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმებით. პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული დამოკიდებულია პირის ფსიქიკურ სფეროზე ნეგატიური ზემოქმედების ხარისხსა და ხასიათზე, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული პირის სუბიექტური თავისებურებები განაპირობებს. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები, როგორიცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა, ბრალის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები (სუსტ №ას-660-660-2018, 20.07.2018წ.). მოცემულ შემთხვევაში, პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრული მორალური ზიანის ოდენობა – 5000 ლარი გონივრული და სამართლიანია.

36. სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ)

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

37. საკასაციო საჩივრის უარყოფის გამო საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ქ. თ. ფ.ჯ.ც-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.08.2020 წლის განჩინება.

3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ცილისნამების შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

ცილისნამების შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1544-1464-2017

3 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავედი

დავის საგანი: ცილისმწამებლური ცნობების უარყოფა, მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზ. ჯ-მა 2015 წლის 04 მაისს (შემდგომში – „მოსარჩელე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. კ-ძისა (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“ ან „ჟურნალისტი“) და შპს „მ. კ.“-ის (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“) მიმართ და მოითხოვა: მოპასუხეებს დაევალოთ მოსარჩელის მიმართ ცილისნამების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება იმავე ფორმით და საშუალებით, როგორც მოხდა ცილისმწამებლური ცნობების გამოქვეყნება, კერძოდ, მეორე მოპასუხის მიერ ინტერნეტ გვერდზე და გაზეთში გავრცელებული ცილისმწამებლური ცნობების უარყოფის გამოქვეყნება შემდეგი ფორმით: სიცრუეა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა მცდელობა გამოეძალა ფული ბიზნესმენ თ. უ-თვის „ა-ის“ საგადასახადო დავალიანების მოგვარების სანაცვლოდ; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, დაეკისროთ – 5 000 ლარის გადახდა.

2. მოსარჩელემ 2016 წლის 28 ივნისს დაზუსტებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში მოპასუხეთა მიმართ და დამატებით მოითხოვა: მოპასუხეებს დაევალოთ მოსარჩელის მიმართ ცილისნამების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნება იმავე ფორმით და საშუალებით, როგორც მოხდა ცილისმწამებლური ცნობების გამოქვეყნება, კერძოდ, მეორე მოპასუხის მიერ ინტერნეტ გვერდზე და გაზეთში გავრცელებული ცი-

ლისმწამებლური ცნობების უარყოფის გამოქვეყნება შემდეგი ფორმით:

- სიცრუეა, რომ მოსარჩელე ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩა-სატარებელი უზარმაზარი თანხების „ატკატებში“ პირადად იყო ჩარ-თული;

- სიცრუეა, რომ ყოფილ ტრანსგენდერს გ. ტ-ს, იგივე გ. ჩ-ს, იგივე გ. ო-ძეს, მეტსახელად „მ-ოს“ პირველი კონსტიტუციური სარ-ჩელის ღირებულება, 5000 დოლარი მოსარჩელემ შუამავლის მეშ-ვეობით გადაუხადა;

- სიცრუეა, რომ ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელიც ამ პერიოდში ნ-სი გაიმართა, მოსარჩელე ღიად იმუქრებოდა – „ავაყირავებთ ამ ხელისუფლებას და თუ საჭირო გახდა ბ. ი-საც ბორკილებს დავა-დებთ“;

- სიცრუეა, რომ შპს „ნ. კ-ა“ მოსარჩელის პირადი მეგობრების კომპანია არის და ისევე როგორც გაზეთის ტენდერების „ატკატი“, წყალმომარაგების „ატკატიც“ მოსარჩელესთან მიდიოდა;

- სიცრუეა, რომ იქნება ხმაურიანი დაჭერები, შესაძლოა მო-სარჩელე და დ. შ-ი მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

- სიცრუეა, რომ რეალურად შ-ის გადადგომა იმ კორუფციულ გარიგებებს უკავშირდება, რომელსაც უწყებაში ჰქონდა ადგილი და რომელშიც ჩართული იყო მოსარჩელე;

- სიცრუეა, რომ გ-სი ავტობანის მშენებლობისთვის ავანსის სა-ხით გადარიცხული თანხები 43 მილიონი ლარის ოდენობით გაქრა და ამ საქმეში უშუალოდ იყო ჩართული მოსარჩელე.

3. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

3.1. გაზეთ „ქ“-ში პირველმა მოპასუხემ გაავრცელა ინფორმა-ცია საკმაოდ მძიმე დანაშაულის შესახებ. 2015 წლის 21 იანვარს გაზეთი „ქ-კა —“ ი. ლ-სა და ბ. ი-ს შორის ურთიერთობის დაძაბვის შესახებ საუბრობს და მიზეზად თ-ის ფაქტორს ასახელებს. გაზე-თი იუწყება, რომ საქმე ეხება „ა-ის“ საქმეს და ბიზნესმენ თ. უ-ას, რომელთანაც ოფიციალურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ იმ პე-რიოდში „ქ. ო-ის“ აღმასრულებელი მდივანი, მოსარჩელე და პრე-მიერ-მინისტრი ი. ლ-ის ცოლის ძმა, პარლამენტარი ლ. თ-ი. სტატი-ის ავტორის ცნობით, თ. უ-ამ შეხვედრისას საუბრის ვიდეოჩანაწე-რი გააკეთა, რაც მოგვიანებით მის უახლოეს მეგობარს ბ. ი-თან გაატანა. სტატიაში მოყვანილია დიალოგები უ-სა და მოსარჩელეს შორის, რომლებიც თითქოს გაიმართა გამოძალვის მცდელობისას. აღნიშნული გაკეთებულია მტკიცებითი ფორმით და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ფირი ნამდვილად არსებობს და აღნიშ-ნული განცხადებების ავტორი კარგად იცნობს მის შინაარსს;

3.2. გაზეთ „ა-დ-ის“ 2015 წლის 25-31 მაისის ნომერში პირველი

მოპასუხის მიერ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ველოდები ხმაურთან დაპატიმრებებს პრემიერის გარემოცვიდან!“. მასში აღნიშნულია – „პირდაპირ ვაცხადებ: ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩასატარებელი უზარმაზარი თანხების „ატკატებში“ პირადად არიან ჩართულები მოსარჩელე და ლ. ჩი-ი;

3.3. გაზეთ „ქ-კა“-ის 15.03.2016წ. №9 (140) ნომერში გამოქვეყნდა პირველი მოპასუხის სტატია სათაურით „ცხოველების ფერმა“, რომელშიც გავრცელდა სიმართლის შეუსაბამო, ცილისმწამებლური არაერთი ინფორმაცია;

3.4. მოსარჩელემ განიცადა ძლიერი სულიერი ტრავმა, ვინაიდან მის სახელს ჩრდილი მიადგა მოპასუხის მიერ გავრცელებული ინფორმაციით. მოსარჩელე სხვადასხვა დროს იკავებდა მაღალ თანამდებობებს. გავრცელებული ცნობების მიხედვით, მოპასუხემ პრაქტიკულად ბრალი დასდო მოსარჩელეს თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით მძიმე დანაშაულის – გამოძალვის ჩადენაში. ინფორმაციის გავრცელება მოხდა ისეთი ფორმით, თითქოს ის ეყრდნობოდა სარწმუნო ინფორმაციას და ჩანერგილი იყო იმ მხარის მიმართ, ვის წინააღმდეგაც ხორციელდებოდა გამოძალვა. აღნიშნულის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, მით უფრო ვიდეო ჩანაწერი. მოპასუხემ მოსარჩელეს მიზანმიმართულად ცილი დასწამა ისეთი ფორმით, რომ შეეღწახა მისი პატივი და ღირსება.

4. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს შემდეგი:

4.1. საგაზეთო სტატიებში გამოქვეყნებული მასალები სრულად ჯდება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. სადავოდ ქცეული მასალა ეყრდნობა წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და მოპასუხეთა მხრიდან გამოთქმულია მხოლოდ საკუთარი აზრი და კრიტიკული შეფასება. მოპასუხეები პასუხს არ აგებენ წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობაზე. მათი ქმედება არ შეიცავს რაიმე ფაქტის ნამდვილობის მტკიცებას;

4.2. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადანაცვლებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩი-

ვარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8.1. მოსარჩელეს 2012 წლის 06 ნოემბრიდან 2014 წლის 16 აპრილამდე ეკავა შსს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსის (დეპარტამენტის დირექტორი) თანამდებობა. 2014 წლის 07 ოქტომბერს იგი დაინიშნა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქ. ო-ა – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივნის თანამდებობაზე, ხოლო 2014 წლის 05 დეკემბერს, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა ზემოაღნიშნული თანამდებობიდან;

8.2. 2015 წლის 21 იანვარს გაზეთში „ქ.“ გამოქვეყნდა პირველი მოპასუხის სტატია სათაურით: „რატომ იჭერდნენ ლ. თ-ს“;

8.3. აღნიშნულ სტატიაში, სხვათა შორის, საუბარია ერთ-ერთ საწარმოზე, რომელსაც საგადასახადო ვალდებულების სახით 150 000 000 ლარი ეკისრებოდა. ჟურნალისტის პოზიციით, ამ საწარმოს პარტნიორს მოსარჩელე ფულს უკანონოდ სთხოვდა. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია: „პირველსავე შეხვედრაზე ... [მოსარჩელეს] უთქვამს – თუ გინდა ფინანსურ პოლიციას და დარიცხულ 150 მილიონს თავი დააღწიო, მოვილაპარაკოთ... – დარიცხული ჯარიმის ნახევარი, 75 მილიონი არაოფიციალურად გადაიხადე და ფინანსური პოლიცია შემოწმებას შეაჩერებსო... – გადაიხადე ნახევარი და პრობლემებიც მოგვარდებაო“;

8.4. სტატიის ავტორის თქმით, ეს ყველაფერი 2014 წლის ნოემბერში მოხდა, რასაც შედეგად აპელანტის თანამდებობიდან გათავისუფლებაც მოჰყვა;

8.5. გაზეთ „ა-დ-ის“ 2015 წლის 25-31 მაისის ნომერში კვლავ გამოქვეყნდა პირველი მოპასუხის სტატია სათაურით: „ველოდები ხმაურიან დაპატიმრებებს პრემიერის გარემოცვიდან“. სტატიაში, სხვათა შორის, მითითებულია: „პირდაპირ ვაცხადებ: ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩასატარებელი უზარმაზარი თანხების „ატკატებში“ პირადად არიან ჩართულები [მოსარჩელე] ...“;

8.6. გაზეთ „ქ.“-ის 2016 წლის 15 მარტის ნომერში გამოქვეყნდა პირველი მოპასუხის სტატია სათაურით: „ცხოველების ფერმა“. სტატიაში აღნიშნულია: „მოგვიანებით ... [მოსარჩელემ] – ე.წ. კ-ის კლანმა კი სრული კარტლანში მიიღო და შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტროლი დაიწყო... ყოფილ ტრანსგენდერს... საკონსტიტუციო სასამართლოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით სარჩელი რუსულ სპეცსამსახურებთან დაკავშირებულმა პი-

რებმა შეატანინეს. სულ საკონსტიტუციო სასამართლოში ოთხი სარჩელი უნდა შეტანილიყო და თითოში მას 5000 დოლარს უხდიდნენ. „ქ“-ის წყაროს ინფორმაციით... პირველი სარჩელის ღირებულება, 5000 დოლარი [მოსარჩელემ] შუამავლის მეშვეობით გადაუხადა... ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელიც ამ პერიოდში წ-სი გაიმართა, [მოსარჩელე] ღიად იმუქრებოდა – ავაცირავებთ ამ ხელისუფლებას და თუ საჭირო გახდა, ბ. ი-საც ბორკილებს დავადებთ“;

8.7. აპელანტის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 27 აპრილს ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ფაქტზე;

8.8. ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2016 წლის 12 აპრილის დადგენილებით საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

9. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა აპელანტს, რომ სადავო პუბლიკაციებით გავრცელდა არა მონინააღმდეგე მხარის მოსაზრებები მოსარჩელესთან დაკავშირებით, არამედ მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები.

10. სააპელაციო პალატამ მოიხმო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და განმარტა, რომ სადავო პუბლიკაციებში აღწერილი იყო იმგვარი მოვლენები, რომლებიც ავტორის აზრით, მართლაც მოხდა. ეს ყველაფერი კი გამყარებული იყო ინფორმაციის ანონიმურ წყაროებზე და თანადროულ ფაქტებზე მითითებით. ყველა სადავო პუბლიკაციის შინაარსიდან ცალსახად გამომდინარეობდა, რომ ჟურნალისტი თავის პიროვნულ დამოკიდებულებას კი არ გამოხატავდა აპელანტის მიმართ, არამედ ცდილობდა მკითხველი დაერწმუნებინა მიწოდებული ინფორმაციის სისწორეში. პუბლიკაციებში აღწერილი გარემოებები მტკიცებითი ხასიათის იყო, ე.ი. მათი როგორც დადასტურება, ასევე უარყოფაც სავსებით შესაძლებელი იყო. მეტიც, ფაქტები გადმოცემული იყო იმდენად დამაჯერებლად, რომ მათ საფუძველზე ქ. თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. შესაბამისად, ვინაიდან სადავო პუბლიკაციების ავტორს აპელანტის მიმართ თავისი მოსაზრებები არ გაუვრცელებია, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იგი კანონით გათვალისწინებული აბსოლუტური პრივილეგიით არ სარგებლობდა.

11. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ცნობები არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მათ

გავრცელეს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და აპელანტის სახელის გამტეხი განცხადება. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სადავო პუბლიკაციებში მითითებული ინფორმაციის საფუძველზე ქ. თბილისის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, გამოძიებით კი პუბლიკაციაში მითითებული ფაქტები არ დადასტურდა. ამასთან, სხვა მტკიცებულება, რომლითაც ზემოთხსენებული გარემოებების ნამდვილობა დადგინდებოდა, საქმეში არ მოიპოვებოდა.

12. ზემოაღნიშნულის მიხედვად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელი იყო.

13. სააპელაციო სასამართლომ მოიხზო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და განმარტა, რომ თუ გავრცელებული ცნობები დემოკრატიული საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის და-საკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია, მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით მიღებული მორალური დისკომფორტი მასმედიის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად საკმარისი არ არის.

14. სააპელაციო პალატის მითითებით, უდავოა, რომ სადავო პუბლიკაციებში გადმოცემული ინფორმაცია ეხებოდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საყურადღებო თემას. ამ ვითარებაში მოპასუხეთათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მოსარჩელეს უნდა მისდგომოდა იმგვარი ზიანი, რომელიც გავრცელებული ცნობებით დაცულ სიკეთეს აღემატებოდა. ამგვარი ზიანის თაობაზე აპელანტს სასამართლოსათვის არ მიუთითებია. ეს კი ნიშნავს, რომ მოპასუხე მხარე პასუხისმგებლობისაგან უნდა გათავისუფლდეს.

15. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, იხელმძღვანელა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით და აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საჯარო პირის ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელია გავრცელებული ცნობები იყოს მცდარი; მათი გავრცელების შედეგად პირს მიადგეს ზიანი და ამ ფაქტების მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყოს ცნობილი ან – უცნობი, ოღონდ აშკარა და უხეში დაუდევრობით.

16. სააპელაციო პალატის განმარტებით, უდავოა, რომ პუბლიკაციების გავრცელების დროისათვის აპელანტი იყო საჯარო პირი. ამასთან, როგორც აღინიშნა, იმგვარი ზიანის თაობაზე, რომელიც მოპასუხის გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად საკმარისი იქნებოდა, აპელანტს სასამართლოსათვის არ მიუთითებია. ამავდროულად, საქმის მასალებით არ მტკიცდება, რომ გავრცელებუ-

ლი ფაქტების უსწორობა მოპასუხისათვის ცნობილი იყო ან უნდა ყოფილიყო ცნობილი. როგორც სადავო პუბლიკაციებიდან ჩანს, მოპასუხე ცნობების გავრცელების დროს ეყრდნობოდა ინფორმაციის კონფიდენციალურ წყაროს, რომელიც მას არც სასამართლოსა და არც საგამოძიებო ორგანოში დაუსახელებია. ცნობების გავრცელების შემთხვევაში კი, ინფორმაციის ფარულ წყაროზე მითითება და მისი გაუმჟღავნებლობა დასაშვებია.

17. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი, რომ ცნობის გავრცელებისას ჟურნალისტი განზრახ არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა და მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო გავრცელებული ინფორმაციის უსწორობა, მოსარჩელეს, ე.ი. შეზღუდვის ინიციატორს ეკისრება. ეს ვალდებულება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარეობს. ამავე ნორმის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა ვერ დაამტკიცა, რომ მოპასუხისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო გავრცელებული ცნობების უსწორობის თაობაზე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა ამ თვალსაზრისითაც უსაფუძვლოდ ჩათვალა.

18. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ დაარღვია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

19. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო ორგანოსათვის მიმართვის შედეგად ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა.

20. სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი განცხადებით მიმართავს იმგვარ სახელმწიფო ორგანოს, რომელსაც მოვალის მიმართ მისი მოთხოვნის არსებობის დადგენა შეუძლია. საგამოძიებო ორგანოები კი მოპასუხის მიმართ აპელანტის მოთხოვნის არსებობას ვერ დაადასტურებდნენ. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვას ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეუწყვეტია.

21. სააპელაციო პალატამ, ასევე, აღნიშნა, რომ აღმასრულებელი მოქმედება იმგვარი მოქმედებაა, რომელიც ვალდებულების იძულებით აღსრულებისკენ არის მიმართული. მოცემულ შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოში განცხადების შეტანა, მით უფრო, თავად განმცხადებლის მიერ, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, მოპასუხის მიმართ ვალდებულების იძულებით

ბით აღსრულებისკენ მიმართული მოქმედება არ არის. ამასთან, საქმეში არ არის არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ აპელანტი გავრცელებულ ინფორმაციას მათი გავრცელების თარიღზე უფრო გვიან გაეცნო.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ წარადგინა საკასაციო საჩივარი. მან მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

23. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

23.1. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, ასევე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლი;

23.2. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ყველა აუცილებელი წინაპირობა: 1) უფლების შემლახველი ცნობები გამოქვეყნებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებით; 2) გავრცელებული ცნობები არ შეესაბამება სინამდვილეს და მიმართულია მხოლოდ პირის დისკრედიტაციისაკენ; 3) მოპასუხემ არ მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად და არ გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცოლისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; 4) მოპასუხე მიზნად არ ისახავს საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი მიზანი მხოლოდ პირის დისკრედიტაციაა. ამასთან, საყურადღებოა, რომ პირის დადანაშაულება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ან/და ბოროტად გამოყენებაში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და აღნიშნულის უპირობოდ გაცხადება წარმოადგენს „უდანაშაულობის პრეზუმფციის“ აშკარა დარღვევას და არ შეიძლება ემსახუროდეს საზოგადოების კანონიერ ინტერესს; 5) მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება;

23.3. როგორც პირველმა ინსტანციამ, ასევე, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა ხანდაზმულობის ვადები. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ მისი დარღვეული უფლების აღსადგენად 2015 წლის 24 აპრილს განცხადებით მიმართა თბილისის პროკურატურას და მოითხოვა ყველა იმ ფაქტის გამოძიება, რომელიც მოპასუხეთა მიერ იყო გავრცელებული. გამოძიება დასრულდა 2016 წლის 12 აპრილს, როდესაც შეწყდა გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და უტყუარად დადგინდა მოპასუხეთა მიერ გავრცელებული ფაქ-

ტების სიცრუე. შესაბამისად, კასატორის აზრით, ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2015 წლის 24 აპრილიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც მოსარჩელემ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოს მიმართა დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 15 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

26. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

28. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. იმავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

29. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯე-

ლობის საგანს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ის გარემოება მოსარჩელის მიერ პროკურატურისათვის მიმართვით შეწყდა თუ არა მოცემულ საქმეზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და შესაბამისად, ხანდაზმულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა.

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე (იხ. სუსგ საქმე №ას-158-154-2016, 10 თებერვალი, 2017 წელი; №ას-934-899-2016, 14 თებერვალი, 2017 წელი).

31. ხანდაზმულობა განეკუთვნება სასარჩელო მოთხოვნის შემაფერხებელ კატეგორიას, რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის შემთხვევაში, შეუძლებელია სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, თუნდაც დგინდებოდეს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობა (იხ. სუსგ საქმე №ას-179-172-2012, 01 ოქტომბერი, 2014 წელი).

32. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.

33. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესაძლებლობას. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები. იმავე კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

34. ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ლონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად, ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია (იხ. სუსგ საქმე №ას-1586-1489-2012, 22 აპრილი, 2013 წელი). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება ამავე ნორმაში მითითებული სამართლებრივი შედეგი, ვიდრე ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული ვადის დენის შეწყვეტაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს (იხ. სუსგ საქმე №ას-960-909-2015, 04 დეკემბერი, 2015 წელი).

35. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ აპელანტის განცხადების საფუძველზე, 2015 წლის 27 აპრილს ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება ცალკეული თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვის ფაქტზე; ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2016 წლის 12 აპრილის დადგენილებით საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. კასატორი მიიჩნევს, რომ საგამოძიებო ორგანოსათვის (პროკურატურისათვის) მიმართვით მისი მოთხოვნის მიმართ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა.

36. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მიზნებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანია უფლებამოსილი

ორგანოსათვის მიმართვა, მოცემულ შემთხვევაში კი, პროკურატურა არ წარმოადგენს ასეთ ორგანოს. კერძოდ, გამოძიების მიზანს წარმოადგენდა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების გამოაშკარავება და არა მოსარჩელის მოთხოვნის არსებობის დადგენა ან/და მისი დარღვეული უფლების აღდგენა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საგამოძიებო ორგანოები მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნის არსებობას ვერ დაადასტურებდნენ. საგამოძიებო ორგანოსათვის მიმართვის გზით ვერ განხორციელდებოდა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონესრიგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოსარჩელის მიერ პროკურატურისათვის მიმართვას არ გამოუწვევია მოპასუხეთა მიმართ არსებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა.

37. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელემ ცილისმწამებლური ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში წარადგინა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის (100 დღე) დარღვევით (ყოველკვირეულ გაზეთში „ქ-კა.“ 20.01.2015წ. ნომერში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით სარჩელი სასამართლოში აღძრულია 101-ე დღეს, 2015 წლის 04 მაისს (ფოსტაში ჩაბარდა 2015 წლის 01 მაისს); იმავე გაზეთის 15.03.2016წ. №9 (140) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით 105-ე დღეს, 2016 წლის 28 მაისს, ხოლო გაზეთ ა-დ-ის 2015 წლის 25-31 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდგომ, 2016 წლის 28 მაისს), მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ განუხორციელებადია (ხანდაზმულია). აღნიშნული გამორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

38. ვინაიდან დადგინდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ ხანდაზმულია, საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად აღარ მიიჩნევს სარჩელის საფუძვლიანობაზე მსჯელობას.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი განწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გან-

თავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

41. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ზ გ ი ნ ა:

1. ზ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge